# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 5 მაისი 2000 №83 (1105) | ფასი 50 თეთრი


## ქართველები ინგლისში?

მურთაზ ხურცილავას დაუმარცხებელ გუნდს სექტემბერში ლონდონს ინგლისი და სერიოზული გამოცდა ელის

## ფიფა ჩვენსკენ, ჩვენ კი მეზობლებისკენ

## არგენტინაში ფეხბურთი მოკვდა

... ჯერჯერობით ერთი კვირით

## გზა დაუთმეთ, ტაპი მოდის



ნაცნობი მარსელელი მაგნატი ფეხბურთს უბრუნდება

## ოთხი გუნდი კორაჩის თასზე

ფიბა-ს რეიტინგში 36-ე ადგილზე ყოფნა საქართველოს ამის უფლებას არ აძლევს

## ფრთხილად, სასიკვდილოა!

უხეიროდ ნატყორცნმა ურომ 18 წლის გოგოს სიცოცხლე შეიწირა

## რუსებმა პელუზოს აკოცონ

პეტერბურგში, ჰოკეისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრები სხვების საპატრონო გახდა

# სამნახევარი წინ, ნახევარი გვერდზე



საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი

## ძოძუაშვილს ბათუმში ჩასვლის ეშინია

— ზუსტად ახლა ვაპირებდი „სარბიელში" დარეკვას. თქვენი დღევანდელი გაზეთი წავიკითხე და ძალიან გაკვირვებული დავრჩი... იცოდეთ, „ლოკომოტივი" მსაჯებს ერთის მეტს არაფერს სთხოვს — პატიოსნად გვიმსაჯონ...

გუშინ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ და თბილისის „ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს ინტერვიუსთვის რომ შევეხმიანეთ, პირველად სწორედ ეს გვითხრა, თანაც დაამატა — აბა „სარბიელისთვის" ინტერვიუზე უარი როდის მითქვამს, რკინიგზის დეპარტამენტში ვარ, აქ მოდით და იმასაც გეტყვით, რამ აღმაშფოთაო.

მივაკითხეთ რევაზ ძოძუაშვილს დეპარტამენტში და ვიდრე ჩვენთვის საინტერესოზე, კონკრეტულად, საქართველოს ნაკრების სომხეთში თამაშსა და თბილისის „ლოკომოტივის" სადღეისო ამბებზე ვკითხავდით, თავად დაიწყო. საქმე „ლოკომოტივ" — თსუ-ს შაბათის მატჩის მსაჯ ალექსანდრე კრიჭაშვილისთვის მიცემულ ერთთვიან დისკვალიფიკაციას ეხება.

იხილეთ მეორე გვერდი

# საიქიოდან მობრუნებული ისევ პირველობისთვის იბრძვის

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

## დევიდ კულჰარდი გაზეთების პირველი გვერდიდან არ ჩამოდის

გუშინ ბარსელონაში ჩასული დევიდ კულჰარდი დღესვე საჭეს მიუჯდება, კვირას კი მონტმელოს ტრასაზე კვლავაც პირველობისთვის იბრძოლებს. ორი დღის წინ ავიაკატასტროფისას სიკვდილს სასწაულად გადარჩენილი შოტლანდიელი მრბოლი, მისივე თქმით, საუკეთესო ფორმაშია და ესპანეთის დიდი პრიზის მოგებასაც ეშურება. თუმცა, ბარსელონაში კულჰარდის ხილვით გაოცებულ ჩვენს კოლეგებს რბოლასა და ბოლიდებზე მეტად ლიონის აეროპორტში მომხდარი აინტერესებდათ და შოტლანდიელსაც ამაზე დააყარეს კითხვები. დევიდიც წვრილად მოჰყვა ავიაკატასტროფის შესახებ, დაღუპულ პილოტთა ოჯახებსაც მიუსამძიმრა. მერე ჟურნალისტებს სთხოვა, ძალიან გთხოვთ, გაითვალისწინეთ ჩემი მდგომარეობა, ამ თემაზე მეტს ნურაფერს მკითხავთო და „მაკლარენის" საჯინიბოს შეაფარა თავი.



REUTERS მონტმელოდან

დევიდ კულჰარდი დღეს ყველაზე პოპულარული მრბოლია

# სამნახევარი წინ, ნახევარი გვერდზე

## რევაზ ძოძუაშვილს ბათუმში ჩასვლის ეშინია

— ვერ გამიგია, ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი კრიჭაშვილს რას ერჩის. ის ერთი თვით უსაქმოდ დატოვეს. მსაჯმა თსუ-სთან მატჩში ჩვენს სასარგებლოდ ორი ნაღდი პენალტი დანიშნა და აი, ამიტომ დასაჯეს. გეკითხებით, ღირსი იყო? მე ყველა დაინტერესებულს ვაჩვენებ ამ თამაშის ვიდეოფირს და დავამტკიცებ, რომ კრიჭაშვილი პენალტების დანიშვნისას სწორად მოიქცა. კი ბატონო, თუ ფედერაციაში სურთ, სპეციალისტთაგან შეიქმნას კომისია და მათ გაარჩიონ ამ მატჩის თითოეული საეჭვო ეპიზოდი, რისთვისაც კრიჭაშვილს დისკვალიფიკაცია მისცეს. გული დამწყდა, ამ ნიჭიერ, პერსპექტიულ მსაჯს „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ ასპროცენტიანი პენალტების დანიშვნისთვის ასე უსამართლოდ რომ მოექცნენ. ახლა კი, შესაძლოა, მავანმა ისიც იფიქროს, „ლოკომოტივს“ მსაჯმა მოაგებინაო. ასეთი რამ, რაც მე ამ გუნდს ვწვრთნი, ჯერ არ ყოფილა. ჩვენ არბიტრების დახმარება არ გვჭირდება. მათ ვთხოვთ, ერთი-ორჯერ რომ დაგვჩაგრეს, ამას ნუღარ გაიმეორებენ. პატიოსნად იმსაჯონ. კრიჭაშვილს კი, სჯობს, დისკვალიფიკაცია მოუხსნან.

აი, ეს მსურდა თქვენთვის მეთქვა. ახლა კი გისმენთ. ინტერვიუ, არა?

**— დიახ, სომხებთან მატჩის შემდეგ აღარ გვისაუბრია. ნაკრების თაობაზე რამდენიმე კითხვა გვაქვს. თამაშით კმაყოფილი ვარო, ერევანში პრესკონფერენციაზე განაცხადეთ. ეს ალბათ ზოგადად თქვით. ახლა დაგვიკონკრეტეთ. ყველაფრით კმაყოფილი ვერ დარჩებოდით.**

— რა თქმა უნდა, თუმცა ისიც არის სათქმელი, რომ ბიჭებისადმი სასაყვედუროც ბევრი არაფერი მაქვს. იმ დღეს ძირითად შემადგენლობაში ორმა დებიუტანტმა ითამაშა, ორივე მცველია — თოდუა და მიქაძე. ალბათ დამეთანხმებით, სომხებთან ისეთი, უსაშველო არც ერთს გაუკეთებია. შეცდნენ რამდენჯერმე, მაგრამ ეს უფრო ნერვიულობის ბრალი იყო. ერევანში ოთხივე მცველმა კარგად ითამაშა. დავალებული შეასრულეს. იგივეს ვიტყვი ნახევარმცველებზეც. შუა მოედანს მთელი მატჩის განმავლობაში აკონტროლებდნენ. ბურთის თავდამსხმელებამდე ატანას არ აგვიანებდნენ, არც უკან დაბრუნებას. აი თავდასხმა კი... იცით, უკმაყოფილო რით დავრჩი? გოლი რომ ვერ გავიტანეთ. არადა, საამისოდ რამდენიმე კარგი შანსი გვქონდა.

**— მით უმეტეს, თამაში სამი თავდამსხმელით დაიწყეთ.**

— სამით კი არა, მარცხენა ნახევარმცველი ალექსიძეც მათ უფრო უნდა დახმარებოდა, ვიდრე მცველებს. შეიძლება ითქვას, სამნახევარი ფორვარდით ვითამაშეთ. დემეტრაძის დიდი იმედი მქონდა, მეგონა, გაიტანდა, მაგრამ რატომღაც ვერ მოახერხა. არადა, კარგ ფორმაში კი არის.

**— ცოტა გასაკვირიც იყო: ერთბაშად სამი ფორვარდი...? თანაც სტუმრად თამაშისას?**

— გასაკვირი? ამაზე მე და ყიფიანს ნაფიქრი გვქონდა. ამიტომ არის საჭირო ბევრი ამხანაგური მატჩი. ფეხბურთელები გვყავს გამოსაცდელი, ნაირ-ნაირი ტაქტიკა გვაქვს დასამუშავებელი, რა იცი, როდის რომელი დაგვჭირდება. ხანდახან ხომ არის შემთხვევა, სტუმრად რომ აუცილებელია ამდენი თავდამსხმელით თამაში? ჩვენც ვუყურებთ, ვაანალიზებთ, უკეთეს ვარიანტს ვარჩევთ. ერევანში დემეტრაძე, ყაველაშვილი და ჩალაძე პირველად იყვნენ ერთად. შეუთამაშებლობა ეტყობოდათ და უგოლოდაც ამიტომ დავრჩით. იონანიძეც პირველად თამაშობდა დემეტრაძესთან და ყაველაშვილთან.





რევაზ ძოძუაშვილი

**— მომავალ ამხანაგურ მატჩებში დებიუტანტებს კიდევ ველოდოთ?**

— აბა?! აზერბაიჯანთან და ესტონეთთან რამდენიმე ახალწვეული იქნება. ეროვნულ ჩემპიონატში ვინც თავს გამოიჩენს და ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, შანსი ყველას ექნება.

**— სადღეისოდ თუ გაქვთ ვინმეზე თვალი დადგმული?**

— კი, რამდენიმე ბათუმელზე.

**— კონკრეტულად?**

— მცველი არჩვაძე თამაშობს კარგად ამ ბოლო დროს, თავდამსხმელებიც — მაჭუტაძე და ხომერიკი. რამდენჯერმე ვნახე ისინი საქმეში, კმაყოფილი დავრჩი. უახლოეს მომავალში ნაკრებს ალბათ მეკარე ტოგონიძეც დაუბრუნდება.

**— შეგიძლიათ თქვათ, რომ ოფიციალურ მატჩებში ეროვნული გუნდის შემადგენლობა სახეცვლილი იქნება?**

— შემიძლია. შემადგენლობა სანახევროდ გადახალისდება. უფრო სწორად, ის ითამაშებს, ვინც უკეთ იქნება მომზადებული. ამდენ ახალგაზრდასაც დიდი კონკურენციისთვის ვიწვევთ ნაკრებში.

**— მეხუთედ ითამაშა ნაკრებმა თქვენი და ყიფიანის ხელმძღვანელობით. პროგრესი რაში გამოიხატება? სასიკეთოდ რა შეიცვალა?**

— თუნდაც ის, რომ ჯერ არ წაგვიგია. პროგრესი იგრძნობა უკანა ხაზზე თამაშში, დაცვა ნელ-ნელა დაცვას ემსგავსება, უკეთ და უკეთ თამაშობენ. ნაკრების მეკარეებსაც არა უშავთ. ნაკლი კი, გითხარით კიდეც, საგოლე მომენტების გამოუყენებლობაა. ხუთივე მატჩის შემდეგ ესეც ჩავინიშნეთ.

**— აზერბაიჯანი, სომხეთი, ესტონეთი... ასეთ გუნდებთან ამხანაგურად თამაშისას, ყველას და ყველაფერს ისე გამოცდით, როგორც გსურთ?**

— არა. სჯობს, რა თქმა უნდა, მათზე ძლიერებს გავეჯიბროთ. ჩვენი ძალა მაშინ უფრო გამოჩნდება. ჩვენ რომ ფიფას მატჩების გენტებთან საქმე აწყობილი გვქონდეს, საშუალო ევროპული კლასის გუნდებთან ამხანაგურ შეხვედრებზე მოლაპარაკება არ გაგვიჭირდებოდა. საამისოდ მენეჯერთა და სპონსორთა დახმარებაც გვჭირდება. დარწმუნებული ვარ, გაისად უკეთეს გუნდებთან ვითამაშებთ.

**— ახლა „ლოკომოტივზეც“. უმთავრეს მიზანს მიაღწიეთ — უძლიერესთა შორის ადგილი შეინარჩუნეთ.**

— ჯერ არა.

**— ქვეყანა უნდა დაიქცეს, რომ გავარდეთ. ხალხი ამბობს, „ლოკომოტივი“ თასის ფინალშიც არისო. თქვენ რას იტყვით?**

— არა, ბათუმში მატჩი რომ დამთავრდება, ყველაფერი მაშინ გადაწყდება. შანსები თანაბარია. „ბათუმმა“ თბილისში ისე შემოგვიტია, სტუმრად თამაშისა ძალიან მეშინია. „ბათუმი“ ერთ-ერთი საუკეთესო ქართული გუნდია. მწვრთნელიც კარგად მოაზროვნე ჰყავთ. აქ სიურპრიზი მოგვიმზადა, თასის ნახევარფინალში, წარმოიდგინეთ, ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა და ახალგაზრდული შემადგენლობით დაგვიპირისპირდა. ქუთაისში წაგებამ, ეტყობა, წარმოდგენა ბევრ ფეხბურთელზე შეუცვალა.

**— ბათუმში ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?**

— თითქმის ყველაფრის. სტადიონი ალბათ გადაჭედილი იქნება, ქომაგების მხარდაჭერა კი, ხომ იცით, რამდენს ნიშნავს.

**— ფინალში თუ გახვედით, მეტოქედ რომელ გუნდს ისურვებდით?**

— „დინამოსა“ და „ტორპედოს“ შორის სხვაობა თითქმის არ არის. ორივე ძლიერი გუნდია.

**— მაინც?**

— მაინც... „ტორპედოს“. ფინალი თბილისში უნდა იყოს და ამიტომ.

**ბობა ინასარიძე**

# სამხარაძე ბელინცონაში

22-25 აპრილს შვეიცარიაში 19-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. წარმომადგენლობაც სოლიდური იყო. მასპინძელ „ბელინცონას“ გარდა, ტურნირზე „ბარსელონა“, „პარმა“, „ლიდს იუნაიტედი“, „ბოკა ხუნიორსი“, „ბაია“, „ბაიერნი“, აგრეთვე იაპონიის ნაკრები მონაწილეობდნენ. ჩვენთვის საინტერესო კი ის არის, რომ ტრადიციულ, რიგით მესამოცე ტურნირში მასპინძელთა შორის ქართველმა ირაკლი სამხარაძემ ითამაშა.

17 წლის ირაკლი სამხარაძე ქართველ გულშემატკივარს ალბათ დაამახსოვრდებოდა ამას წინათ თბილისში გამართულ 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიდან. ნაკრების კაპიტანი ნამდვილად გამოირჩეოდა თანატოლთა შორის და გუნდის ულიმღამო თამაშის ფონზე კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა.

რაც შეეხება შვეიცარიის ტურნირს, პირველ შეხვედრაში „ბელინცონას“ ახალგაზრდა ქართველმა „ლიდსის“ წინააღმდეგ ითამაშა. მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. სამხარაძე მოედანზე 51-ე წუთზე შევიდა. ირაკლის მეორე შეხვედრაშიც, „ბოკა ხუნიორსის“ წინააღმდეგ, შეცვლაზე მოუხდა შესვლა თუმცა, ვერაფრით დაეხმარა თავის გუნდს — იმ წუთისთვის ანგარიში 0:2 იყო არგენტინელთა სასარგებლოდ და ეს მატჩი ასეც დამთავრდა. ქვეჯგუფის მესამე მატჩი კი „პარმასთან“ (0:2) სრულად ჩაატარა ქართველმა. საბოლოოდ მეშვიდე-მერვე ადგილებისთვის ბრძოლაში „ბელინცონა“ იაპონიის ნაკრებთან დამარცხდა 1:4. სამხარაძე 53-ე წუთზე შეცვალეს. ტურნირი კი „ბოკა ხუნიორსმა“ მოიგო, არგენტინელებმა ფინალში „ბარსელონას“ სძლიეს 3:0.





ირაკლი სამხარაძე

სამხარაძემ შვეიცარიას გაზაფხულზე მიაშურა და უპრობლემოდ ჩაირიცხა „ბელინციონას“ ახალგაზრდულ გუნდში. მას სამომავლოდ უმაღლეს დონეზე თამაშის პერსპექტივაც გამოუჩნდა. საქმე ის გახლავთ, რომ ამ კლუბის ძირითადი შემადგენლობა შვეიცარიის უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად იბრძვის და წლევანდელ გათამაშებაში ჩვენთვის კარგად ცნობილ „ციურიხთან“ მეთორმეტე-მეცამეტე ადგილებს იყოფს.

**პაატა ძვანტალიანი**

# ქართველები ინგლისში?

## მურთაზ ხურცილავას გუნდს სექტემბერში სერიოზული გამოცდა ელის

რაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად მურთაზ ხურცილავა დაინიშნა, მას შემდეგ ჩვენს ახალგაზრდებს ერთი მატჩიც არ წაუგიათ. ამას წინათ საფრანგეთში ჩატარებული ტურნირის ჩათვლით (თუმცა იქ შეხვედრები 30-წუთიანი ტაიმებისგან შედგებოდა) გუნდმა უკვე 12 მატჩი გამართა. წარმატებული სერია, ალბათ, ცამეტამდეც უპრობლემოდ გაგრძელდება, რადგან 3 ივნისს ხურცილავას შეგირდები ეროვნულ ნაკრებთან ერთად აზერბაიჯანს უნდა ესტუმრონ. აი, მერე კი...

ცოტა ხნის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ინგლისის ფეხბურთის ასოციაციიდან ფაქსი მოვიდა. ინგლისელები ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ეპატიჟებიან. აბა, ასეთ წინადადებაზე უარს ვინ იტყოდა, სფფ-მაც დაუყოვნებლივ პასუხი აფრინა, თანახმანი ვართო.

მართალია, მატჩის ჩატარების ზუსტი თარიღი და მასპინძელი ქალაქი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ თუ ეს შეხვედრა შედგა, ქართველებს ნისლიან ალბიონზე ჩასვლა შემოდგომაზე, სექტემბრის თვეში მოუწევთ.

ალბათ იმასაც იკითხავთ, ინგლისელებმა ქართველების მიწვევა რამ მოაფიქრებინათო. როგორც ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, ბრიტანელებს ჩვენი გუნდის თამაში საფრანგეთის ტურნირზე უნახავთ, საკმაოდაც მოსწონებიათ და მიწვევაც მაშინ განუზრახავთ. წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია, უახლოეს მომავალში კი სფფ-ში ახალ ფაქსს ელიან. ნაკრების სტუმრობის ყველა დეტალიც მაშინ გაირკვევა.

შეგახსენებთ, ქართველი და ინგლისელი ახალგაზრდები აქამდეც დაპირისპირებიან ერთმანეთს. 1998 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ეს გუნდები იტალიასთან ერთად ერთ ქვეჯგუფში იყვნენ. მაშინ თბილისში სტუმრებმა 1:0 იმარჯვეს, ინგლისში კი მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ნაკრებმა, რომელსაც იმ დროს ვლადიმერ გუცაევი ხელმძღვანელობდა, ცხრილში ინგლისელებს გადაასწრო და იტალიის ნაკრების შემდეგ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა.

**ვანო ოქროპირიძე**

# ფიფა ჩვენსკენ, ჩვენ კი მეზობლებისკენ

*ერევანში ნათამაშევი ფრით სტუმარ ქართველებზე მეტად მასპინძელმა სომხებმა იხეირეს. ფიფა კოკა კოლას რეიტინგის პრინციპით, ორი სხვადასხვა ძალის გუნდის ფრის შემთხვევაში მეტი ქულა სუსტს ეწერება.*

*ფიფას ახალი რეიტინგი 10 მაისს გამოქვეყნდება, მანამდე კი ერთის თქმა შეიძლება, 64-ე ადგილზე მყოფ საქართველოს ნაკრებს ერევნული ფრე წინ ვერ წასწევს.*

*სამაგიეროდ, ფიფას ოფიციალურ სანაკრებო მატჩთა ნუსხაში ჩვენთვის სასარგებლო ერთი ფაქტის ნახვა შეიძლება. მსოფლიო საფეხბურთო ორგანიზაციის სავანგებო განყოფილებამ, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა, „ა“ მატჩთა რანგში გაეყვანა სლოვაკ ახალგაზრდებთან საქართველოს მოგება.*

*სლოვაკთა ახალგაზრდული ნაკრები ევროპის 21-წლამდე ჩემპიონატის ფინალისტია. ეს ტურნირი ამ ზაფხულს სლოვაკეთშივე ტარდება და რაკი მასპინძლები ოთხეულში მოხვედრით ოლიმპიადის საგზურის მოპოვებას გეგმავენ, ცხადია, სერიოზულადაც ემზადებიან. ამ სამზადისის ნაწილი იყო სლოვაკი ახალგაზრდების მონაწილეობა კვიპროსის ბოლო ტურნირში, სადაც საქართველოსაც ეთამაშნენ და 0:2 დამარცხდნენ. ეს 2 თებერვალს იყო, 6-ში სლოვაკეთი კვიპროსზე მოლდოვას ეთამაშა, 10-ში კი ჩილეში ბულგარეთს.*

*ცხადზე ცხადია, ასე უცებ სლოვაკეთი კვიპროსიდან ჩილეს ვერ ჩავიდოდა და ნაფრენ-დაღლილი თანვე ვერ ითამაშებდა. აქ საქმე სხვა რამ არის. ჩილეში სლოვაკეთის ეროვნული გუნდი (სხვა ნაკრები, სხვა შემადგენლობით და მთავარი მწვრთნელით) ჯერ კიდევ 4 თებერვალს გაფრინდა. და მაინც, ფიფამ ასე გადაწყვიტა: კვიპროსზე სლოვაკებს ორი 23-წლამდე ფეხბურთელი ჰყავდათ, ეს კი ოლიმპიური ნაკრების ასაკია და ასეთ ნაკრებთა მატჩებს ეროვნული გუნდის შეხვედრებს ვათვლითო.*

*ერთი სიტყვით, ჩვენც ეს არ გვაძლევს ხელს? ნაკრების წევრებს იმ კვიპროსულ მატჩში მონაწილეობაც დავუთვალეთ და ერთი კვირის წინანდელი ერევნულისაც.*

*და მაინც, სლოვაკეთთან და სომხეთთან მოგება, რუმინეთთან და ისრაელთან ფრე ჩვენს გუნდს დიდად არ დაეტყო, ფიფა კოკა კოლას რეიტინგში დეკემბერთან შედარებით სულ ორი საფეხურით დააწინაურა.*

*სლოვაკების შემთხვევაში გაგვიმართლა — ჩვენი ნაკრების პასივში ოთხი ასეთივე უთანასწორო წაგება: ორ-ორი აზერბაიჯანთან და ლიბანთან, რომლებთანაც ჩვენმა ახალგაზრდებმა დათმეს მატჩები, დიდებს კი ჩაეთვალათ.*

*ერთიცაა, ჩანს, ჩვენს ფედერაციას მეტი ფიქრი და მონდომება მართებს ნაკრების მეტოქეთა შესარჩევად. კი ბატონო, ვეთამაშოთ ამხანაგურად სომხეთს, აზერბაიჯანს, ესტონეთს და მათთანებს. ვიქნებით წაუგებელნი, მაგრამ ეს არც ფიფას რანგ-ლისტში წაგვწევს წინ, რაც პოპულარობის ზრდის (სხვათა შორის სპონსორთა შემოთავაზებებისაც) გარანტიაა და ხომ ვიცით, კბილები არავისთვის მოუკვეთია.*

**ვახტანგ ბჟიძაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ნაკრების

## ყველა მატჩი, ყველა მოთამაშე

| | | |
|---|---|---|
| 27.05.90 | ამ | საქართველო 2:2 ლიტვა<br>გურული, კაჭარავა |
| 02.07.91 | ამ | მოლდოვა 2:4 საქართველო<br>ქეცბაია, დარასელია, მ. ჯიშკარიანი<br>ყაველაშვილი |
| 02.09.92 | ამ | ლიტვა 1:0 საქართველო |
| 17.09.92 | ამ | საქართველო 6:3 აზერბაიჯანი<br>ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია,<br>შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი |
| 22.12.92 | ამ | კვიპროსი 1:0 საქართველო |
| 25.05.93 | ამ | აზერბაიჯანი 1:0 საქართველო |
| 08.02.94 | მტ | სლოვენია 1:0 საქართველო |
| 10.02.94 | მტ | მალტა 0:1 საქართველო<br>ქეცბაია |
| 12.02.94 | მტ | ტუნისი 0:2 საქართველო<br>ყაველაშვილი, კუდინოვი |
| 23.02.94 | ამ | ისრაელი 2:0 საქართველო |
| 11.06.94 | ამ | ნიგერია 5:1 საქართველო<br>რ. არველაძე |
| 26.06.94 | ამ | ლატვია 1:3 საქართველო<br>დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 19.07.94 | ამ | საქართველო 1:1 მალტა<br>შ. არველაძე |
| 07.09.94 | ეჩშმ | საქართველო 0:1 მოლდოვა |
| 12.10.94 | ეჩშმ | ბულგარეთი 2:0 საქართველო |
| 16.11.94 | ეჩშმ | საქართველო 5:0 უელსი<br>ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი |
| 14.12.94 | ეჩშმ | ალბანეთი 0:1 საქართველო<br>შ. არველაძე |
| 29.03.95 | ეჩშმ | საქართველო 0:2 გერმანია |
| 26.04.95 | ეჩშმ | საქართველო 2:0 ალბანეთი<br>შ. არველაძე, ქეცბაია |
| 07.06.95 | ეჩშმ | უელსი 0:1 საქართველო<br>ქინქლაძე |
| 06.09.95 | ეჩშმ | გერმანია 4:1 საქართველო<br>ქეცბაია |
| 11.10.95 | ეჩშმ | საქართველო 2:1 ბულგარეთი<br>შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 15.11.95 | ეჩშმ | მოლდოვა 3:2 საქართველო<br>დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.) |
| 27.03.96 | ამ | კვიპროსი 0:2 საქართველო<br>ქეცბაია, ჯამარაული |
| 24.04.96 | ამ | რუმინეთი 5:0 საქართველო |
| 08.05.96 | ამ | საბერძნეთი 2:1 საქართველო<br>გოგრიჭიანი |
| 01.09.96 | ამ | ნორვეგია 1:0 საქართველო |
| 09.10.96 | მჩშმ | იტალია 1:0 საქართველო |
| 09.11.96 | მჩშმ | საქართველო 0:2 ინგლისი |
| 05.12.96 | ამ | ლიბანი 4:2 საქართველო<br>იაშვილი, კიკნაძე |
| 08:12.96 | ამ | ლიბანი 3:2 საქართველო<br>გახოკიძე, ცქიტიშვილი |
| 30.03.97 | ამ | საქართველო 7:0 სომხეთი<br>შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2,<br>ქინქლაძე, ყაველაშვილი |
| 30.04.97 | მჩშმ | ინგლისი 2:0 საქართველო |
| 07.06.97 | მჩშმ | საქართველო 2:0 მოლდოვა<br>შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 14.06.97 | მჩშმ | პოლონეთი 4:1 საქართველო<br>შ. არველაძე |
| 10.09.97 | მჩშმ | საქართველო 0:0 იტალია |
| 24.09.97 | მჩშმ | მოლდოვა 0:1 საქართველო<br>ქეცბაია |
| 11.10.97 | მჩშმ | საქართველო 3:0 პოლონეთი<br>ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია |
| 06.02.98 | მტ | საქართველო 2:1 ლატვია<br>ჯამარაული 2 |
| 08.02.98 | მტ | საქართველო 3:0 ალბანეთი<br>ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი |
| 10.02.98 | მტ | საქართველო 3:1 მალტა<br>ყაველაშვილი 2, ჯამარაული |
| 02.05.98 | ამ | ტუნისი 1:1 საქართველო<br>ქინქლაძე |
| 30.05.98 | ამ | საქართველო 1:1 რუსეთი<br>ზ. ჯანაშია |
| 12.08.98 | ამ | აზერბაიჯანი 1:0 საქართველო |
| 19.08.98 | ამ | უკრაინა 4:0 საქართველო |
| 05.09.98 | ეჩშმ | საქართველო 1:0 ალბანეთი<br>ა. არველაძე |
| 10.10.98 | ეჩშმ | ლატვია 1:0 საქართველო |
| 14.10.98 | ეჩშმ | საბერძნეთი 3:0 საქართველო |
| 18.11.98 | ამ | საქართველო 3:1 ესტონეთი<br>აშვეთია 2, დ. ჯანაშია |
| 20.03.99 | ამ | საქართველო 0:1 უკრაინა |
| 27.03.99 | ეჩშმ | საქართველო 1:1 სლოვენია<br>ზ. ჯანაშია |
| 28.04.99 | ეჩშმ | საქართველო 1:4 ნორვეგია<br>ზ. ჯანაშია |
| 30.05.99 | ეჩშმ | ნორვეგია 1:0 საქართველო |
| 05.06.99 | ეჩშმ | საქართველო 1:2 საბერძნეთი<br>ქეცბაია |
| 04.09.99 | ეჩშმ | სლოვენია 2:1 საქართველო<br>შ. არველაძე |
| 08.09.99 | ეჩშმ | საქართველო 2:2 ლატვია<br>შ. არველაძე, ყაველაშვილი |
| 09.10.99 | ეჩშმ | ალბანეთი 2:1 საქართველო<br>შ. არველაძე |
| 02.02.00 | კტ | სლოვაკეთი 0:2 საქართველო<br>ქეცბაია, ყაველაშვილი |
| 04.02.00 | კტ | რუმინეთი 1:1 (4:2პ) საქართველო<br>ქეცბაია |
| 06.02.00 | კტ | საქართველო 2:1 სომხეთი<br>ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი |
| 26.04.00 | ამ | სომხეთი 0:0 საქართველო |

სულ: 61 თამაში, 22 მოგება, 9 ფრე, 30 წაგება, ბურთები 81:88

ამ - ამხანაგური მატჩი, ეჩშმ - ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მჩშმ - მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მტ, კტ - მალტის, კვიპროსის ტურნირი

| სახელი | გვარი | ამპლუა | დაბადების თარიღი | კლუბი | ამხანაგური მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 96-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | მსოფლიო 98-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 2000-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | სულ: თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი | ნემსაძე | ნ | 10.05.72 | დინამო | 26 | 0 | 4 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 0 | 3 | 0 | 9 | 0 | 3 | 0 | 47 | 0 | 12 | 0 |
| გოჩა | ჯამარაული | ნ | 23.07.71 | ციურიხი (შვეიცარია) | 21 | 5 | 2 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 42 | 5 | 3 | 0 |
| თემურ | ქეცბაია | ნ | 18.03.68 | ნიუკასლი (ინგლისი) | 17 | 5 | 4 | 0 | 7 | 4 | 1 | 0 | 8 | 2 | 0 | 0 | 6 | 1 | 1 | 0 | 38 | 13 | 6 | 0 |
| გიორგი | ქინქლაძე | ნ | 06.07.76 | დერბი ქაუნთი (ინგლისი) | 14 | 2 | 0 | 0 | 9 | 3 | 1 | 0 | 7 | 1 | 1 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 34 | 6 | 2 | 1 |
| შოთა | არველაძე | თ | 22.02.73 | აიაქსი (ჰოლანდია) | 12 | 5 | 0 | 0 | 10 | 4 | 0 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 | 5 | 3 | 0 | 0 | 33 | 14 | 0 | 0 |
| მიხეილ | ყაველაშვილი | თ | 22.07.71 | ციურიხი (შვეიცარია) | 17 | 6 | 3 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 1 | 6 | 1 | 2 | 0 | 33 | 8 | 6 | 1 |
| მურთაზ | შელია | მ | 25.03.69 | დინამო | 13 | 0 | 4 | 0 | 9 | 0 | 2 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 29 | 0 | 7 | 0 |
| კახა | გოგიჩაიშვილი | ნ | 31.10.68 | ლოკომოტივი | 11 | 1 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 26 | 1 | 2 | 0 |
| კახა | ცხადაძე | მ | 07.09.68 | უგუნდო | 13 | 0 | 3 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25 | 1 | 5 | 0 |
| ლევან | კობიაშვილი | მ | 10.07.77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 23 | 0 | 2 | 0 |
| გიორგი | ჩიხრაძე | მ | 01.10.67 | ლოკომოტივი | 9 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 23 | 0 | 4 | 1 |
| არჩილ | არველაძე | თ | 22.02.73 | ბრედა (ჰოლანდია) | 8 | 2 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 1 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 22 | 4 | 1 | 0 |
| კახა | კალაძე | მ | 22.02.78 | დინამო (კიევი, უკრაინა) | 9 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 9 | 0 | 3 | 0 | 21 | 0 | 4 | 1 |
| დიმიტრი | კუდინოვი | მ | 08.02.63 | თამაში მიატოვა | 12 | 1 | 2 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 20 | 1 | 4 | 0 |
| გელა | შეყილაძე | მ | 14.09.70 | ლიერსი (ბელგია) | 10 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 19 | 0 | 3 | 0 |
| ლევან | ცქიტიშვილი | მ | 10.10.76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 9 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 16 | 1 | 2 | 0 |
| ირაკლი | ზოიძე | მკ | 21.03.69 | ტორპედო | 8 | -8 | 0 | 0 | 3 | -5 | 0 | 0 | 5 | -9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 16 | -22 | 0 | 0 |
| აკაკი | დევაძე | მკ | 28.11.71 | მერანი | 8 | -11 | 0 | 0 | 7 | -8 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 15 | -19 | 1 | 0 |
| გიორგი | გახოკიძე | ნ | 09.11.77 | მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 13 | 1 | 2 | 0 |
| ნუგზარ | ლობჟანიძე | მ | 07.09.71 | უგუნდო | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 4 | 0 |
| გივი | დიდავა | მ | 26.03.76 | დინამო | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 12 | 0 | 2 | 0 |
| დავით | გვარამაძე | მკ | 08.11.75 | კრილია სოვეტოვი (რუსეთი) | 6 | -5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | -8 | 0 | 0 | 12 | -13 | 0 | 0 |
| გიორგი | კიკნაძე | ნ | 26.04.76 | უგუნდო | 6 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 11 | 1 | 1 | 0 |
| გიორგი | დემეტრაძე | თ | 26.09.76 | დინამო (კიევი, უკრაინა) | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 11 | 0 | 0 | 0 |
| ზაზა | რევიშვილი | მ | 23.09.68 | ზალცბურგი (ავსტრია) | 7 | 0 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 11 | 0 | 1 | 0 |
| ნიკოლოზ | ტოგონიძე | მკ | 26.04.71 | ბათუმი | 6 | -9 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | -4 | 0 | 0 | 11 | -13 | 0 | 0 |
| დავით | ჯანაშია | თ | 07.08.72 | ტორპედო | 8 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 10 | 3 | 2 | 0 |
| რევაზ | არველაძე | ნ | 15.09.69 | დინამო | 7 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 1 | 0 | 0 |
| გელა | ინალიშვილი | ნ | 03.10.66 | თამაში მიატოვა | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| ლევან | სილაგაძე | მ | 04.08.76 | ალანია (რუსეთი) | 9 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 1 | 0 |
| გოჩა | გოგრიჭიანი | თ | 12.08.64 | ჟემჩუჟინა (რუსეთი) | 3 | 1 | 1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 1 | 0 |
| გიორგი | დარასელია | ნ | 17.09.68 | ჰაპოელი (ქვარ სავა, ისრაელი) | 7 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| დავით | ყიზილაშვილი | თ | 12.12.70 | თამაში მიატოვა | 8 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| გია | ჯიშკარიანი | ნ | 30.11.67 | თამაში მიატოვა | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 1 | 1 | 0 |
| ზაზა | ჯანაშია | თ | 10.02.76 | ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) | 4 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 8 | 4 | 2 | 1 |
| ბესიკ | ბერაძე | მ | 20.02.68 | სამგურალი | 5 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | ღუდუშაური | ნ | 18.02.73 | თბილისი | 4 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| მამუკა | წერეთელი | მ | 17.01.79 | ალანია (რუსეთი) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 2 | 1 | 8 | 0 | 2 | 1 |
| ალექსანდრე | იაშვილი | თ | 23.10.77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 6 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 7 | 2 | 1 | 0 |
| მიხეილ | აშვეთია | თ | 10.11.77 | ალანია (რუსეთი) | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 |
| თენგიზ | სიჭინავა | ნ | 15.05.72 | დინამო | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 |
| კახა | სიდამონიძე | მ | 17.04.71 | ბათუმი | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| რატი | ალექსიძე | თ | 08.09.78 | ჩელსი (ინგლისი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| სოსო | გრიშიკაშვილი | მკ | 21.12.72 | დინამო | 4 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -1 | 0 | 0 | 5 | -3 | 0 | 0 |
| ზურაბ | მენთეშაშვილი | ნ | 30.01.80 | სკონტო (ლატვია) | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 |
| გია | გურული | თ | 20.05.64 | თამაში მიატოვა | 2 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 |
| ვალტერ | გუჩუა | მ | 06.07.75 | დინამო | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| დავით | ცომაია | ნ | 04.09.67 | უგუნდო | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| ზურაბ | ფოფხაძე | მ | 02.06.72 | კრილია სოვეტოვი (რუსეთი) | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი | კილასონია | ნ | 09.09.68 | გორდა | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ | ფოცხვერია | თ | 12.08.75 | ალანია (რუსეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| ზურაბ | ხიზანიშვილი | მ | 06.10.81 | ლოკომოტივი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| კახა | კაჭარავა | თ | 19.09.66 | თამაში მიატოვა | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 |
| მიხეილ | ჯიშკარიანი | თ | 01.11.69 | სოკოლი (სარატოვი, რუსეთი) | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |
| მამუკა | მაჭავარიანი | მ | 27.11.70 | თბილისი | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ვასილ | სეფაშვილი | თ | 17.02.69 | ჟენისი (ასტანა, ყაზახეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| თემურ | ტუღუში | თ | 24.02.72 | ბათუმი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ზვიად | ჯელაძე | მ | 16.12.73 | ლოკომოტივი (ს.პ. რუსეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| მელორ | ბიგვავა | თ | 17.01.63 | აისბახტალი (გერმანია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| დავით | ჭიჭვეიშვილი | ნ | 23.01.75 | ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გია | ჩხაიძე | მ | 23.02.70 | ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი | ბალაშვილი | მ | 07.08.73 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| რევაზ | ქემოკლიძე | მ | 13.03.79 | დინამო | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| მერაბ | ძოძუაშვილი | თ | 04.11.80 | ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| კახა | კვეტენაძე | ნ | 03.06.70 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ვაჟა | თარხნიშვილი | მ | 26.08.71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| შალვა | ხუჯაძე | მ | 05.10.75 | ბათუმი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ზურაბ | იონანიძე | თ | 02.12.71 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | ნ | 06.08.74 | სკონტო (რიგა, ლატვია) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| დავით | ჩალაძე | თ | 22.01.76 | სკონტო (რიგა, ლატვია) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ბადრი | ახვლედიანი | მ | 19.10.70 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 |
| დავით | ჯანელიძე | მკ | 09.02.73 | ალაზანი | 2 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | -3 | 0 | 0 |
| მალხაზ | არზიანი | მ | 15.08.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ასლან | ბალაძე | მკ | 18.04.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| იური | გაბისკირია | ნ | 01.09.68 | ბნეი (სახნინი, ისრაელი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი | გემაზაშვილი | მ | 06.07.77 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა | გუჯაბიძე | მ | 07.07.71 | მერანი | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | დავითნიძე | მ | 18.07.78 | კოლხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ირაკლი | ვაშაკიძე | მ | 13.03.76 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| როსტომ | თორღაშვილი | ნ | 15.12.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გელა | კეტაშვილი | მ | 27.09.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ | კორღალიძე | თ | 02.09.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| თემურ | კაბისაშვილი | მ | 13.09.67 | ირისტონი (რუსეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე | კაიდარაშვილი | თ | 02.11.78 | კრივბასი (უკრაინა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ | კაციტაძე | მ | 25.02.63 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | მეგრელაძე | თ | 21.07.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლაშა | მონასელიძე | ნ | 02.01.77 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ამირან | მუჯირი | ნ | 20.02.74 | ბათუმი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით | მუჯირი | ნ | 02.01.78 | შერიფი (მოლდოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | ნადირაძე | მ | 11.02.68 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | რევაზიშვილი | ნ | 31.03.77 | შერიფი (მოლდოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა | ტყებუჩავა | მ | 24.11.63 | ჰაკოახი (რამათ განი, ისრაელი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მამუკა | ფანცულაია | თ | 09.02.67 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გია | ფირცხალავა | მ | 03.01.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | ჭანკოტაძე | მ | 04.10.77 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| სოსო | ჭედია | ნ | 09.10.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | ყიფიანი | ნ | 12.08.78 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა | ჩიქოვანი | მ | 12.10.62 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კახა | ჩხეტიანი | ნ | 24.02.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ | ჩხეიძე | მკ | 29.04.68 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ვახტანგ | ხვადაგიანი | მ | 04.04.72 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ | ხიზანეიშვილი | მ | 26.06.81 | დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| სევასტი | თოდუა | მ | 13.05.76 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლევან | მიქაძე | მ | 13.09.73 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გივი | კვარაცხელია | მ | 11.05.79 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | ლომაია | მკ | 08.08.79 | ლოკომოტივი | 1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -1 | 0 | 0 |
| გრიგოლ | ჭანტურია | მკ | 25.09.73 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -2 | 0 | 0 | 1 | -2 | 0 | 0 |
| დავით | ასლანაძე | მკ | 16.11.76 | ლოკომოტივი | 1 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -4 | 0 | 0 |

საქართველოს 11 ჩემპიონატი მეორე ეტაპი — 10 ტური ანონსი

# ცხვრებს გიორგობისთვის ითვლიან

## იმერეთი საქართველოს გალისიაა?

დღეს ხუთი მაისია. გიორგობის წინა დღე, მურთაზ ხურცილავას დაბადების დღე, კიდევ... კიდევ საქართველოს მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის მორიგი, მეათე ტურის დღე.

ჰოდა, მკითხველს დამდეგ გიორგობას ვულოცავ, მურთაზ ხურცილავას დაბადების დღეს, ტურზე კი რა გითხრათ, თუკი თვლით, რომ ქართული ფეხბურთი ჯერაც დღესასწაულია — გილოცავთ, თუ არა და, რას ვიზამთ — უკეთეს მომავალს დაველოდოთ (თქვენც და მეც).

მეთერთმეტე ეროვნულს ჩვენში იშვიათი ხილი, ინტრიგა დაებედა და ისე მოხდა, ბოლო ტურის დამდეგამდე გაჰყვა. ჩვენი ფეხბურთის ლიდერები ერთმანეთისთვის არაფრის დათმობას არ აპირებენ, და სავარაუდოდ, 30 მაისამდე ბევრს ვერაფერს დაასკვნის დაინტერესებული კაცი. განა მარტო ჩემპიონობა — პრიზიორობაშია საქმე, პირველ ლიგაში დასარჩენ გუნდებსაც გვარიანი ოფლის ღვრა ელით და ინტრიგაო, რომ ვთქვით, თსუ და „სამგურალი" არიან მისი შემოქმედი.

ახლა კი უშუალოდ მეთერთმეტე ეროვნულის მეორე ეტაპის მეათე ტურის მატჩებზე. ტურში უდავოდ ერთი მატჩია ცენტრალური და გამოსაყოფი — „ბათუმი" — „დინამო". ამ შეხვედრამ ბევრ რამეს უნდა გასცეს პასუხი — გააგრძელებს თუ არა „დინამო" ფრეების ციკლს, დროებითია თუ არა „ბათუმის" ჩავარდნა, ისარგებლებს თუ არა „ტორპედო" უშუალო კონკურენტების ჯახით... ერთი სიტყვით, მატჩია და რა მატჩი.

„ბათუმში" მთლად რიგზე ვერ არის ყველაფერი, წინა ტურში „ტორპედოსთან" მშრალი და დიდი ანგარიშით მარცხის შემდეგ შეგირდებზე გამწყრალმა ჯანი კარნევალიმ ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი სკამზე დასვა (სათასო შეხვედრაში „ლოკომოტივთან") და გზა ახალგაზრდა მოთამაშეებს მისცა. სათასო მატჩში ამან ნაყოფი ვერ გამოიღო, „ბათუმი" კვლავ დამარცხდა, მაგრამ ცხადია, გარკვეულ დასკვნას გააკეთებდნენ დროებით შერისხული ფეხბურთელები და „დინამოს" გვარიანი ბრძოლის გადახდა მოუწევს.

მარადი ჩემპიონის რიგებში ვალტერ გუჩუა ვერ ითამაშებს. გუჩუამ სათასო შეხვედრაში ორი ყვითელი (შესაბამისად წითელი) ბარათი მიიღო და დისკვალიფიკაციაც სხვა რაღაა. დიდი დანაკლისია უვალტერობა ჩემპიონისთვის, ის და თენგიზ სიჭინავა ხომ „დინამოს" ცენტრში უპირატესობას განაპირობებენ და ახლა ბოლო დროს მშვენიერ ფორმაში მყოფ სიჭინავას გაუჭირდება ბათუმელ ნახევარმცველებთან ბურთისთვის ბრძოლა.

კარნევალის მოტივაცია გასაგებია, იტალიელმა მასზე ბლომად გაცემული ავანსები უნდა გაამართლოს. დასამტკიცებელი ბევრი აქვს ოთარ კორღალიძესაც — ბოლოს და ბოლოს მან შეძლო სტაბილური შემადგენლობის თავმოყრა და ახლა საქმე შედეგზეა.

მატჩი უთუოდ დაძაბული უნდა გამოდგეს. „ბათუმი" ყოველთვის თანაბრად ეთამაშებოდა მარად ჩემპიონს. აქამდელი თამაშების მიხედვით უპირატესობა „დინამოს" მხარეს კია, მაგრამ წარსულმა თავისი წაიღო და ახლა აჭარელებსაც არანაკლები ამბიციები აქვთ. ვნახოთ, ვინ ვის, პროგნოზის მაგიერ კი ლამაზი შეხვედრის ხილვის გარანტიას შემოგთავაზებთ. რაც შეეხება პროგნოზს, გული ფრისკენ კი იწევს, მაგრამ მაინც თავს ვიკავებ — ფეხბურთს და ფეხბურთელებს რას გაუგებ კაცი.

პროგნოზი თუ გნებავთ, ასპროცენტიანი და ულალატო, თსუ — „არსენალის" შესახებ შემეკითხეთ. მოიგებენ სტუდენტები. მოიგებენ იმიტომ, რომ მეტად სჭირდებათ სამი ქულა, წინ იყურებიან უნივერსიტეტელები და, რაც მთავარია, უკნიდან „სამგურალის" სუნთქვა ესმით. დარჩენილ ხუთ ტურში კაციამ და მისმა ბიჭებმა სულ მცირე, თერთმეტი ქულა უნდა დააგროვონ, რათა თავი ქუდქვეშ და ადგილი მზის ქვეშ ჰქონდეთ.

„არსენალი" კი, ბედკრული „არსენალი", არმიამ აფხაზეთივით მიაგდო. ძნელია სხვის პრობლემებზე ჰონორით წერა — საუბარი, მაგრამ არმიული კლუბის მესვეურებს ერთი კი ესაყვედურებათ — არ უნდა დაედოთ ამ თავისთავადი გუნდის ცოდვა. აკლდა ქართული ფეხბურთის ისტორიას „ერთწლიანი" გუნდები, თუ რაშია საქმე?

„ა" ზონაში ერთი იმერული დერბი გაიმართება — სამტრედიაში „იბერია" ლიდერ „ტორპედოს" უმასპინძლებს. სანამ ამ შეხვედრაზე და სტუმარ-მასპინძლის შანსებზე ვიტყვით რასმე, ამასწინანდელ „სარბიელში" დაბეჭდილი ესპანური პრიმერადივიზიონის მიმოხილვა გავიხსენოთ. „ისინი ხევენ" ერქვა მიმოხილვას და მასში გალისიურ დერბიზე, კერძოდ „სელტა" — „დეპორტივოს" შეხვედრაზე იყო მოთხრობილი. მაშინ კატალონიელთა სასარგებლოდ გალისიელმა გალისიელის ტყავი დახია და, როგორც ამბობენ, „ტორპედოც" რთულ მატჩს უნდა ელოდეს იქვე, ყურისძირში. ეს „ბათუმთან" გამარჯვების შემდეგ ყიფიანმაც განაცხადა და თუ ვინმე ფიქრობს, ქუთათურები სამტრედიაში მხოლოდ გაისეირნებენ, ეშლება — „ტორპედოს" მოდუნების უფლება აღარ აქვს. მისი კალენდარი უშუალო კონკურენტებისაზე უკეთესი სულაც არ არის და რა დროს სეირნობაა, თუ ძმები ხართ. „ტორპედოსავით" მოგებაზე დაიგეშება „კოლხეთიც". მას ევროსარბიელზე მოსახვედრად საკმაოზე მეტი ჩამორჩენის დაძლევა სჭირდება, ბოლო დროს ხელიც გვარიანად გამოილეს პორტელებმა და „სიონსაც" ვეება მოქცევა ელის ფოთში. ვნახოთ, ფოთელთა მეცხრეტალღისხელა გამარჯვების წყურვილს როგორც დახვდებიან, სიონელები. საერთოდ, ტყებუჩავა და კომპანია შინ ჩინებულად ირჯებიან და არა გვგონია, თუნდაც არნახულად ძლიერმა „სიონმა" რაიმე წინაალმდეგობა შეუქმნას ერთაოზ ბრეგვაძესავით ფართო შარაგზაზე დამდგარ კოლხებს.

„ა" ზონის მეოთხე შეხვედრა გორში გაიმართება. „დილა" „ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლებს. ეს მატჩი პირველ წრეში უნდა გამართულიყო, მაგრამ მოგეხსენებათ იგი პრეზიდენტის გორში წინასაარჩევნო ვოიაჟს დაემთხვა და გუნდებმაც სტუმარ-მასპინძლობა გაცვალეს. გორულმა შეხვედრამ იმაზე უნდა გაგვცეს პასუხი, თუ რამდენად რეალურია ფოთის „კოლხეთის" ევრომარაქაში გარევა. ვეტერინარები მშვენივრად გამოიყურებიან მეორე ეტაპზე და მასში დაგროვილი ქულებით პირველ ადგილზეც იმყოფებიან (არაოფიციალურ ჩათვლაში). „დილა" არხეინი გუნდია, მან იცის, როდის, როგორ და რისთვის იბრძოლოს და ამოძრავებთ, ახლა, როცა წიწილები დათვლილია და საფეხბურთო გორის ციხეც აღებული...

აზრი აქვს „ვიტ ჯორჯიასთან" ჯახს? რატომაც არა, აქამდე მათი მინდორზე გარჯა მოვალეობის მოხდას უფრო ჰგავდა და ეს ყველაზე მეტად გორელებმა უწყიან. ასე რომ, ველოდოთ „თეთრ-მწვანე ორდენისა" და გორელების დაძაბულ ბრძოლას.

შაბათს მეორე ეტაპის ერთ-ერთი ინტრიგოსანი „სამგურალი" სათასო მეომარ „ლოკომოტივს" იწვევს. რკინიგზელებს სამ დღეში „ბათუმთან" თასზე მატჩი ელით და ლოგიკის მიხედვით არ უნდა გამოიდონ თავი (ყოველ შემთხვევაში, „ბაიერნი" ასე იქცევა-ხოლმე). ვერ ვიწინასწარმეტყველებ, ძოძუაშვილი მეორე შემადგენლობას ჩაიყვანს წყალტუბოში თუ არა, მაგრამ „ლოკომოტივთან" შესახვედრად ამაზე უკეთეს დროს „სამგურალი" ვერც წარმოიდგენდა. ის კი, დარჩება თუ არა „სამგურალი" პირველ ლიგაში ყველაზე მეტად მათ გადასაწყვეტია და რახან სურვილი გულში ამოუჭრიათ, უნდა იომონ — განმარტო „ლოკომოტივთან", სხვებთანაც. თუმცა, თუ რეალური სიძლიერის მიხედვით ვიმსჯელებთ, „ლოკომოტივის" დამარცხება უნდა გაუჭირდეთ იმერლებს. თასზე „ბათუმთან" რკინიგზელებმა ისეთი თამაში გვიჩვენეს, თითებს ჩაიკვნეტდა კაცი და საზოგადოებრივი აზრი მაშინ მერე ერთთავად „ლოკომოტივის" [...] ქებაშია.

„ხობი" სენაკში „თბილისს" დაუხვდება. ორი განწირული, უმოტივაციოდ დარჩენილი გუნდის შესახებ აქამდეც გვითქვამს. ერთადერთი მიზეზი, რისთვისაც გუნდებმა შეიძლება თავი გამოიდონ, ბოლო ადგილის არც თუ სახარბიელო პერსპექტივაა და ბრძოლას აქაც უნდა ველოდოთ.

დაბოლოს, კიდევ ერთი ბევრისარმთქმელი მატჩი — „გორდა" — „მერანი". თუმცა... თუმცა, არც ასეა საქმე, „გორდას" ჯერ არ მოუგია „მერანისთვის". აქამდე ჩატარებული ცხრა შეხვედრიდან ოთხი „მერანმა" მოიგო, ხუთი ფრედ დამთავრდა და, როგორ გგონიათ, კილასონიებით გაძლიერებული „გორდა" რევანშზე აღარ იფიქრებს? მე თქვენ გეტყვით, ტაშს არ დაუკრავენ რუსთავში, ან არ მოუწონებს ვინმე.

ისე, „მერანსაც" აქვს თავისი მოტივაცია, მას ხომ ჯერ არც წაუგია (მეორე ეტაპზე). სერგო გაბელაიამ ახალი სპონსორის მეშვეობით მშვენიერი გუნდი შემოიკრიბა ირგვლივ. ესაა, ხანდახან გოლი არ გააქვთ მერანელებს (მაგალითად „სამგურალთან") და ვინ იცის, რუსთავშიც ასე არ მოუვიდეთ...

ასეთი ამბებია. აღდგომა დღეს არ ითამაშეს ქართველებმა ფეხბურთი, მაგრამ გიორგობა დღეს ტური დაამთხვიეს და ვნახოთ, ვის გაულიმებს ყოვლადძლიერი.

თუ წიწილებს შემოდგომაზე, ცხვრებს გიორგობას ითვლიან და ახლა გამოჩნდება, ვის მეტი ცხვარი ჰყავს დაკლული.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ლოკომოტიველმა მამუკა რუსიამ (შუაში) „სამგურალს" პირველი ეტაპის მატჩში გაუტანა



„ბათუმის" ბომბარდირი ლევან ხომერიკი „დინამოსთან" მატჩისას

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 23:9 | 14 | 35 | 5 | 4 | 1 | 0 | 16:2 | 14 | 13 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 4 |
| 2 | დინამო | 9 | 3 | 6 | 0 | 10:2 | 8 | 32 | 5 | 2 | 3 | 0 | 6:1 | 5 | 9 | 4 | 1 | 3 | 0 | 4:1 | 3 | 6 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 4 | 0 | 9:4 | 5 | 31 | 5 | 2 | 3 | 0 | 5:3 | 2 | 9 | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 10 |
| 4 | ბათუმი | 9 | 5 | 1 | 3 | 14:7 | 7 | 29 | 4 | 3 | 0 | 1 | 11:2 | 9 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 7 |
| 5 | კოლხეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:8 | 0 | 25 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:6 | -4 | 2 |
| 6 | სიონი | 9 | 2 | 1 | 6 | 10:17 | -7 | 18 | 5 | 2 | 1 | 2 | 10:9 | 1 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 0:8 | -8 | 0 |
| 7 | დილა | 9 | 2 | 0 | 7 | 9:19 | -10 | 16 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 6 | 5 | 0 | 0 | 5 | 5:15 | -10 | 0 |
| 8 | იბერია | 9 | 2 | 1 | 6 | 5:22 | -17 | 16 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:18 | -16 | 1 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 9 | მერანი | 9 | 6 | 3 | 0 | 10:1 | 9 | 29 | 5 | 3 | 2 | 0 | 6:0 | 4 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 10 |
| 10 | ლოკომოტივი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:2 | 15 | 29 | 5 | 3 | 2 | 0 | 8:1 | 7 | 11 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:1 | 8 | 9 |
| 11 | გორდა | 9 | 6 | 1 | 2 | 16:4 | 12 | 27 | 4 | 4 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:4 | 4 | 7 |
| 12 | თსუ | 9 | 5 | 0 | 4 | 11:10 | 1 | 23 | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 9 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | -2 | 6 |
| 13 | სამგურალი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:6 | 2 | 18 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 4 | 9 | 5 | 0 | 3 | 2 | 1:3 | -2 | 3 |
| 14 | არსენალი | 9 | 3 | 0 | 6 | 11:18 | -7 | 14 | 5 | 3 | 0 | 2 | 10:11 | -1 | 9 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | -6 | 0 |
| 15 | თბილისი | 9 | 1 | 1 | 7 | 6:18 | -12 | 11 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | -2 | 4 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:12 | -10 | 0 |
| 16 | ხობი | 9 | 1 | 0 | 8 | 9:29 | -20 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:14 | -9 | 3 | 5 | 0 | 0 | 5 | 4:15 | -11 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

მეორე ეტაპი

10 ტური

## «ა» ზონა

ბათუმი. „დინამო“. 6 მაისი. 18 საათი

### ბათუმი — დინამო

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. მიმინოშვილი
დისკვალიფიცირებულნი: გელა ქორიძე (ბათუმი), გუჩუა (დინამო)

გორი. „ცენტრალური“. 6 მაისი. 18 საათი

### დილა — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში
დისკვალიფიცირებულნი: თოდუა (ვიტ ჯორჯია)

ფოთი. „ფაზისი“. 6 მაისი. 18 საათი

### კოლხეთი — სიონი

მსაჯები: მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ყველა თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებულნი: ხუჭუა, ტრაპაიძე (კოლხეთი)

სამტრედია. „ეროსი მანჯგალაძე“. 6 მაისი. 18 საათი

### იბერია — ტორპედო

მსაჯები: ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

## «ბ» ზონა

მცხეთა. „არმაზი“. 5 მაისი. 18 საათი

### თსუ — არსენალი

მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ურუშაძე, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი); თ. ლაცაბიძე (სურამი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებულნი: ერაძე (თსუ)

წყალტუბო. „26 მაისი“. 6 მაისი. 18 საათი

### სამგურალი — ლოკომოტივი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი); თ. ლაცაბიძე (სურამი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე
დისკვალიფიცირებულნი: სუხიაშვილი (სამგურალი), ხიზანიშვილი, ჯულელი (ლოკომოტივი)

რუსთავი. „ფოლადი“. 6 მაისი. 18 საათი

### გორდა — მერანი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); სფფ-ის ინსპექტორი: ლ. ყიფიანი
დისკვალიფიცირებულნი: კარიაული (მერანი)

სენაკი. „ეგრისი“. 6 მაისი. 18 საათი

### ხობი — თბილისი

მსაჯები: გ. ასკაროლლი; გ. მარლიშვილი (ორივე ქარელი), ლ. რაზმაძე; ზ. ანიაშვილი (ორივე გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია
დისკვალიფიცირებულნი: არავინ



6-ზე დაწყებულ მატჩებს ეგებ „ტორპედოს“ სტადიონივით პროჟექტორები დასჭირდეს

# უტიტულო რეკორდსმენი

ვარლამ კილასონიას თითქმის ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის მებრძოლ კლუბებში უწევდა თამაში. ასე იყო საქართველოში, რუსეთსა და უკრაინაშიც. ყველგან დიდი ყურადღებითა და პატივისცემით სარგებლობდა, თვითონაც ხომ წყნარი, ულალატო, საქმისადმი ერთგულია. ფეხბურთის კაცია, ფეხბურთისთვის თავდადებული. შეუძლებელია, მისმა თამაშმა გულგრილი დატოვოს ადამიანი, მას გულშემატკივარზე ზემოქმედების რაღაც განსაკუთრებული უნარი აქვს. — მახსოვს, გაგიჟებული სანკტ პეტერბურგელი ქომაგები ვარლამის მეუღლეს, ნატოს ართმევდნენ ავტოგრაფებსო, იხსენებს მისი თანაგუნდელი სანდრო ბურნაძე. გივი ნოდიას გაწვრთნილ სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივისა“ და მთლიანად რუსული ფეხბურთის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს კილასონიას. მის მიერ ერთ მატჩში გატანილი 7 გოლი დღემდე რეკორდული შედეგია რუსეთისთვის. ამბიციურ გუნდებში თამაშის ტრადიცია ამას წინათ დაარღვია კილასონიამ. სხვაგვარად არც შეეძლო, რუსთავის, მშობლიური ქალაქის გუნდს უჭირდა და მასაც არ უყოყმანია, ძმაც გვერდით ამოიყენა და ორივე უანგაროდ, ენთუზიაზმის ხარჯზე დაეხმარა „გორდას“ რჩეულთა შორის ადგილის შენარჩუნებაში. თუმცა ეს დროებითი იყო და ეროვნული პირველობის გასრულების შემდეგ ვარლამი „გორდას“ დატოვებს...



ნუგზარ [illegible] ფოტო

„გორდას“ კაპიტანი ვარლამ კილასონია და თბილისელი ზვიად პაპიძე

— ვფიქრობ, ამ კლუბში ჩემი მისია ამოვწურე. ვალდებულიც ვიყავი, „გორდას“ დავხმარებოდი, გუნდს არ ულხინდა და მისი გადარჩენა მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. მადლობა თანაგუნდელებს, რომ გვერდში ამომიდგნენ... ისე, ცოტათი საკვირველიცაა, როგორ შეძლო უხელფასო, გაჭირვებულმა გუნდმა ამ ძნელი ამოცანის გადაჭრა.

**— „გორდას“ საქმე თითქოს სასიკეთოდ უნდა წასულიყო. უკვე სამი თვეა, სოლიდურ ინვესტორს ელით რუსთაველები. რა ხდება ამ მხრივ?**

— იმედი მართლაც იყო, სააქციო საზოგადოება „აზოტს“ სურდა კლუბის პატრონობა. ჩვენც, ფეხბურთელებსაც შეგვხვდნენ. სამჯერ კრებაც ჩატარდა. იმედი მოგვეცა, ასეთ შემთხვევაში სერიოზულ მიზნებზეც შეიძლებოდა საუბარი, მაგრამ ფუჭი გამოდგა ყოველივე. „აზოტს“ სტადიონთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა და ალბათ, ტრადიციულად „გორდა“ ისევ უპატრონოდ დარჩება.

**— თითქოს ქალაქის მერია ცდილობდა ამ პრობლემის მოგვარებას.**

— თუ არ ვცდები, სტადიონის თაობაზე მერიამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში მეტალურგიული ქარხნის წინააღმდეგ, მაგრამ დღემდე არაფერი გადაწყვეტილა და უკვე აღარც მჯერა, რომ რამე შეიცვლება. ამასობაში დრო გადის, საზღვარი კი ფეხბურთელთა მოთმინებასაც აქვს...

**— ვიცი, რომ პროტესტის ნიშნად „გორდა“ ერთი-ორჯერ თამაშსაც არ აპირებდა...**

— ფეხბურთელებმა ჩემ თხოვნას გაუწიეს ანგარიში, თანაც არის ერთი პიროვნება, რომელსაც გუნდზე გაწეული ამაგი წყალში ვერ ჩავუყარეთ. ქვემო ქართლის პოლიციის უფროს ალექსანდრე ბუკიაზე მოგახსენებთ. ამ კაცის წყალობით გუნდს საჭმელ-სასმელი არ მოჰკლებია, ერთი-ორჯერ რომ ხელფასები დაგვირიგდა, ესეც ბუკიას დამსახურებაა. აი, ასე, როგორღაც ვამთავრებთ ამ სეზონს. მართალია, გუნდი მომავალ ჩემპიონატში რჩეულთა შორის ითამაშებს, მაგრამ აქვს კი აზრი ასეთ თამაშს? ეს იმას ნიშნავს, რომ „გორდას“ კატასტროფა კიდევ ერთი წლით გადაიდო. გარწმუნებთ, ასეთ პირობებში მყოფი გუნდი სამომავლოდ აუცილებლად დაემშვიდობება პირველ ჯგუფს. ამ შემთხვევაში კი რუსთავი უფეხბურთოდ დარჩება. ძალიან ცუდია, როცა ვიღაცის პირადულ მიზნებს გუნდი ეწირება. იმის მაგივრად, რომ ფეხბურთში ფულის დაბანდების მსურველ ხალხს ხელს უწყობდნენ, პირიქით, პრობლემებს უქმნიან. ასე ფეხბურთი ვერ განვითარდება.

**— თქვენი გეგმები როგორია?**

— არ მიყვარს, მოქმედ ფეხბურთელს ვეტერანს რომ ეძახიან. სამწუხაროდ, ჩვენში არის ასეთი ტენდენცია. ვეტერანი თადარიგში გასულზე ითქმის, მე კი ვთამაშობ. 32 წლის ვარ და 2-3 წელი კიდევ გამოვჩნდები მოედანზე, ვგრძნობ, რომ მეტის გაკეთება შემიძლია... სეზონის ბოლოს, ალბათ, „გორდას“ დავტოვებ. სინდისი სუფთა მაქვს, ეს გუნდი დარჩა პირველ ჯგუფში; მე კი ჩემ გზას მოვნახავ. ქართული გუნდებიდან აქამდეც მქონდა მოწვევები და სამომავლოდ ნებისმიერი მათგანის წინადადებას სერიოზულად განვიხილავ. ისე, გამოგიტყდებით, სოლიდურ კლუბში თამაში მსურს, უტიტულოდ ხომ ვერ დავტოვებ ფეხბურთს. ცოტათი კურიოზულიცაა, მაგრამ „გორდას“ გარდა დღემდე სადაც მითამაშია, ყველგან მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოდით. ასე იყო „ალაზანში“, „კახეთში“, რუსულ და ქართულ „ლოკომოტივებშიც“, მერე კი რომელი გუნდიც დამიტოვებია, ყველას არევია საქმე. „კახეთი“ და „ალაზანი“ პირველი ჯგუფიდან გავარდნენ, სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივი“ ორი წელია, წვალობს და წლეულს, ალბათ, დატოვებს კიდეც რუსეთის პირველ ლიგას. გაცილებით ადრე გააკეთა ეს კრასნოდარის „ყუბანმა“, უკრაინულ „დნიპროსაც“ არა აქვს საქმე კარგად. ასე რომ, ვშიშობ კიდეც, „გორდას“ რამე არ შეემთხვეს, მაგრამ ხომ გეუბნებით, ასე თუ გაგრძელდა, ამ კლუბს არანაირი სამომავლო პერსპექტივა არა აქვს.

**— ვარლამ, ტიტულები ახსენეთ და მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობაზე არ გიფიქრიათ?**

— როგორ არა, მაგრამ... რა ვიცი, „გორდა“ უკვე „ბ“ ზონაშია, რანგით დაბალ გუნდებს შორის და ჩემს თამაშსაც აღარ აქვს ისეთი ფასი. აი, საუკეთესო რვა გუნდში რომ ვყოფილიყავით, ვინ იცის...

**— ერთი რამ კი მართლაც გამოაჩინა ამ ჩემპიონატმა — ძმები კილასონიების დუეტი უდავოდ საუკეთესოა. თქვენს „თვალდახუჭულ“ პასებზე ლეგენდებსაც ჰყვებიან...**

— გიას მოედანზე ყოფნა შეუცვლელი სტიმულია ჩემთვის. ბავშვობიდან ერთმანეთის მოძებნის თანდაყოლილი ინსტიქტი გვაქვს. სხვათა შორის, ეს უფრო კარგად მინი-ფეხბურთის თამაშისას ჩანს. გიას თითოეული მოძრაობა იმდენად გასაგები და ნაცნობია ჩემთვის, თითქოს უკვე ყოველივე ნანახი მაქვს, გიაც ასეა, ამიტომაცაა, ერთად უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეგვიძლია გუნდისთვის.

**— რა იქნება მაშინ, როცა მართლა ვეტერანი გახდებით?**

— ამაზე ფიქრიც კი არ მსურს. ჩემი საზრუნავი დღეს ფეხბურთის თამაშია, მერე კი... მერეც ფეხბურთისთვის იქნება.

ბაატა კვანტალიანი



REUTERS ლივერპულიდან

ლივერპული — ლესტერი 0:2. ლესტერელი მაზი იზეტი ლივერპულელ ტიტი კამარას გაექცა

## ინგლისი

### გადადებული მატჩები

**ლიდსი 3:1 უოტფორდი**

1:0 ბრიჯისი (20), 1:1 ფოლი (25), 2:1 დაბერი (45), 3:1 ჰაკერბი (52)
ლიდსი: მარტინი, მილსი, რადებე (ვუდგეიტი 46), დაბერი, გ. კელი, ბოიერი, ბაკე, მაკფაილი, კიუელი, ბრიჯისი, ჰაკერბი (ა. სმიტი 80)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
უოტფორდი: დეი, პეიჯი, პალმერი, რობინსონი, ჰიდი, მ. სმიტი, უორდი, პერპეტუინი, ფოლი (მუნი 66), კოქსი, ჰელგუსონი (ვუტერი 66)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: ბრიჯისი, ჰიდი
მსაჯი: ოლკოკი
36 324 მაყურებელი

**ლივერპული 0:2 ლესტერი**

0:1 კოტი (2), 0:2 ჯილკრისტი (48)
ლივერპული: ვესტერველდი, მატეო, ჰიიპია, ენჩოსი, კარაგერი, ბერგერი, ჰამანი (ფაულერი 52), რედნაპი, ტომპსონი (მერფი 74), ოუენი (კამარა 66), ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ლესტერი: არპეშადი, გაპი, ფ. სინკლერი, მ. ელიოტი, ჯილკრისტი, იმპი, იზეტი, ლენონი, სევიჯი, ედი (ოუქსი 90), კოტი (მარშალი 85)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: კოტი, ბერგერი, სევიჯი, ენჩოსი, მერფი, კამარა
მსაჯი: პოლი
43 456 მაყურებელი

ოთხშაბათს გამართული პრემიერლიგის გამოტოვებული მატჩების მნიშვნელობაზე ლაპარაკიც ზედმეტია — „ლიდსი“ და „ლივერპული“ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვიან. ევროპის უპირველეს საკლუბო ტურნირზე ინგლისისთვის სამი ადგილია გამოყოფილი. „მანჩესტერის“ ამბავი, კარგა ხანია, გადაწყდა. „არსენალიც“ ძნელად თუ დარჩება სამეულს მიღმა, მითუმეტეს რომ თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. მესამე გუნდად ყოფნის მეტი შანსი კი აქამდე „ლივერპულს“ უფრო ჰქონდა, მაგრამ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა — ჟერარ ულიეს გუნდი შინ „ლესტერთან“ დამარცხდა.

აღნიშნულ მატჩში ემილ ჰესკიმ პირველად ითამაშა თავისი ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ. მას ბევრიც არაფერი გაუკეთებია და ამის მიზეზი ეგებ სტუმართა მიერ გატანილი სწრაფი გოლიც იყო. მე-2 წუთზე ლესტერელმა ვეტერანმა ტონი კოტიმ „ლივერპულს“ პირველი ბურთი შეუგდო და ორმაგად გაიხარა — ის ხომ ყოფილი ევერტონელია.

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, პრემიერლიგაში საუკეთესოდ მიჩნეული ლივერპულელთა დაცვა იმ დღეს მეტად უნიათოდ ირჯებოდა და შედეგად მეორე ტაიმის დაწყებისთანავე მეორეც გაუშვა. ეს გოლი გასულ ზაფხულს „ოქსფორდიდან“ გადასული ფილ ჯილკრისტისთვის პირველი პრემიერლიგური გოლია. აქვე სტატისტიკასაც გადავხედოთ. ბოლო სამი სეზონია, „ლესტერი“ „ენფილდზე“ „ლივერპულს“ ამარცხებს, რაც ამ მოკრძალებული გუნდისთვის ბრწყინვალე შედეგია. თუმცა რაღა მოკრძალებული — „ლესტერი“ წლეულს ლიგის თასს დაეუფლა და მომავალ სეზონში უეფას თასზე ითამაშებს.

„რაც „ლივერპულის“ მწვრთნელი ვარ, „ლესტერს“ მეოთხედ ვეთამაშეთ. საოცარია, მაგრამ ოთხჯერვე ანგარიში მაგ გუნდმა გახსნა“ — დაიჩივლა ულიემ.

ოთხშაბათს გამართულ მეორე შეხვედრაში „ლიდსი“ საპირველდივიზიონოდ მომზადებულ „უოტფორდს“ მასპინძლობდა. საწყის 25 წუთში ლიდსელთა ფავორიტობა ნაკლებ შესამჩნევი გახლდათ — მაიკლ ბრიჯისის გოლს დომინიკ ფოლიმ მაშინვე საპასუხო მიაყოლა. შემდეგ კი ყველაფერი დალაგდა. მცველმა მაიკლ დაბერიმ და შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ შერაცხულმა დარენ ჰაკერბიმ კიდევ ორჯერ დალაშქრეს მეტოქის კარი და გათამაშების ცხრილში მესამე ადგილზე გამაგრდნენ.

ბრძოლა ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად გრძელდება — „ლიდსი“ თუ „ლივერპული“?

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 36 | 26 | 7 | 3 | 93:44 | 85 |
| არსენალი | 35 | 21 | 6 | 8 | 66:35 | 69 |
| ლიდსი | 36 | 21 | 4 | 11 | 57:42 | 67 |
| ლივერპული | 36 | 19 | 9 | 8 | 51:29 | 66 |
| ჩელსი | 36 | 17 | 11 | 8 | 48:32 | 62 |
| ასტონ ვილა | 36 | 15 | 12 | 9 | 44:32 | 57 |
| სანდერლენდი | 36 | 15 | 10 | 11 | 55:53 | 55 |
| ვესტ ჰემი | 36 | 15 | 9 | 12 | 52:52 | 54 |
| ლესტერი | 36 | 15 | 7 | 14 | 52:51 | 52 |
| ტოტენჰემი | 36 | 14 | 8 | 14 | 53:45 | 50 |
| ევერტონი | 36 | 12 | 13 | 11 | 58:46 | 49 |
| ნიუკასლი | 36 | 13 | 9 | 14 | 59:52 | 48 |
| მიდლსბრო | 36 | 13 | 9 | 14 | 43:51 | 48 |
| ქოვენთრი | 36 | 11 | 8 | 17 | 43:52 | 41 |
| საუთჰემპტონი | 36 | 11 | 7 | 18 | 43:62 | 40 |
| დერბი ქაუნთი | 36 | 9 | 10 | 17 | 44:53 | 37 |
| ბრედფორდი | 36 | 8 | 9 | 19 | 37:65 | 33 |
| უიმბლდონი | 36 | 7 | 11 | 18 | 44:70 | 32 |
| უენსდი | 35 | 7 | 6 | 22 | 30:63 | 27 |
| უოტფორდი | 36 | 5 | 5 | 26 | 33:76 | 20 |

**დარჩენილი მატჩები**

XXXVII ტური

6 მაისი

არსენალი — ჩელსი
ქოვენთრი — შეფილდი
დერბი — ნიუკასლი
ლესტერი — ბრედფორდი
მანჩესტერი — ტოტენჰემი
მიდლსბრო — უოტფორდი
სანდერლენდი — ვესტ ჰემი
უიმბლდონი — ასტონ ვილა

7 მაისი

ლიდსი — ევერტონი

8 მაისი

ლივერპული — საუთჰემპტონი

გამოტოვებული მატჩი

9 მაისი

არსენალი — შეფილდი

XXXVIII ტური

14 მაისი

ასტონ ვილა — მანჩესტერი
ბრედფორდი — ლივერპული
ჩელსი — დერბი
ევერტონი — მიდლსბრო
ნიუკასლი — არსენალი
შეფილდი — ლესტერი
საუთჰემპტონი — უიმბლდონი
ტოტენჰემი — სანდერლენდი
უოტფორდი — ქოვენთრი
ვესტ ჰემი — ლიდსი

## რუმინეთი

21-ე ტური. დინამო — ნაციონალი 1:0; სტიაუა — არჯეში 0:1; ბაკეუ — გლორია 3:2; უნივერსიტატეა — პეტროლული 5:1; ასტრა — ექსტენსივი 1:1; რეშიცა — როკარი 0:1; ფარული — ბრაშოვი 0:0; ონეშტი — რაპიდი 2:5; ჩეჰლაული — ოცელული 3:2

22-ე ტური. ოცელული — სტიაუა 4:5; არჯეში — დინამო 2:3; ნაციონალი — ონეშტი 3:0; რაპიდი — ფარული 0:0; ბრაშოვი — რეშიცა 4:0; გლორია — ჩეჰლაული 5:4; ექსტენსივი — ბაკეუ 0:2; პეტროლული — ასტრა 1:0; როკარი — უნივერსიტატეა 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 32 | 26 | 3 | 3 | 83:34 | 81 |
| რაპიდი | 32 | 20 | 6 | 6 | 61:37 | 66 |
| ჩეჰლაული | 32 | 16 | 6 | 10 | 53:46 | 54 |
| არჯეში | 32 | 15 | 6 | 11 | 42:33 | 51 |
| სტიაუა | 32 | 16 | 3 | 13 | 57:55 | 51 |
| გლორია | 32 | 16 | 2 | 14 | 49:47 | 50 |
| ბაკეუ | 32 | 14 | 6 | 12 | 37:36 | 48 |
| ოცელული | 32 | 14 | 4 | 14 | 54:49 | 46 |
| ნაციონალი | 32 | 14 | 4 | 14 | 56:41 | 46 |
| ასტრა | 32 | 12 | 8 | 12 | 40:38 | 44 |
| როკარი | 32 | 14 | 2 | 16 | 48:49 | 44 |
| პეტროლული | 32 | 13 | 5 | 14 | 47:52 | 44 |
| ბრაშოვი | 32 | 13 | 4 | 15 | 51:42 | 43 |
| უნივერსიტატეა | 32 | 12 | 7 | 13 | 43:38 | 43 |
| ფარული | 32 | 11 | 8 | 13 | 35:43 | 41 |
| ონეშტი | 32 | 8 | 3 | 21 | 34:84 | 27 |
| რეშიცა | 32 | 5 | 8 | 19 | 34:67 | 23 |
| ექსტენსივი | 32 | 4 | 5 | 23 | 25:60 | 17 |

## უნგრეთი

28-ე ტური. ჰონვედი — ტატაბანია 0:0; ჰალადაში — დებრეცენი 3:1; ფერენცვაროში — ნადიკანიჟა 3:0; პეჩი — ნიირშეგი 3:0; ზალაეგერსეგი — დუნაფერი 1:4; ვაშაში — დიოშდიორი 2:0; დიორ ეტო — შიოფოკი 1:1; ვაცი — მტკ 0:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 27 | 19 | 7 | 1 | 62:22 | 64 |
| მტკ | 27 | 16 | 8 | 3 | 55:20 | 56 |
| ვაშაში | 27 | 17 | 4 | 6 | 51:22 | 55 |
| ტატაბანია | 28 | 12 | 11 | 5 | 30:30 | 47 |
| ფერენცვაროში | 28 | 11 | 8 | 9 | 49:33 | 41 |
| დებრეცენი | 27 | 11 | 7 | 9 | 38:34 | 40 |
| უიპეშტი | 27 | 10 | 9 | 8 | 44:33 | 39 |
| დიორ ეტო | 27 | 10 | 8 | 9 | 45:28 | 38 |
| ნიირშეგი | 27 | 10 | 6 | 11 | 29:39 | 36 |
| ზალაეგერსეგი | 27 | 8 | 11 | 8 | 30:26 | 35 |
| ჰონვედი | 28 | 9 | 8 | 11 | 25:33 | 35 |
| პეჩი | 27 | 8 | 10 | 9 | 32:42 | 34 |
| ჰალადაში | 27 | 7 | 5 | 15 | 30:45 | 26 |
| ნადიკანიჟა | 28 | 6 | 8 | 14 | 21:40 | 26 |
| დიოშდიორი | 27 | 5 | 7 | 15 | 23:47 | 22 |
| შიოფოკი | 28 | 6 | 6 | 16 | 22:45 | 21 |
| ვაცი | 27 | 3 | 5 | 19 | 23:70 | 14 |

*„შიოფოკს“ დაკლებული აქვს 3 ქულა.*

### თასის ფინალი

**მტკ 3:1 ვაშაში**

0:1 სილვესტერი (12), 1:1 ტოტი (49ს.კ.), 2:1 ჰალმაი (56), 3:1 კენეშეი (77)
მტკ: ბაბოში, კომლოში, კუტორი, ელეკი, ჰალმაი, სამოში, კენეშეი (ილეა 86), ეროში, გუშატუ (ეგრეში 66), ილეში, ბუსაკი (მადარი 46)
ვაშაში: კოვეშფალვი, მონოში, იუჰარი, ა. ტოტი, ლასლო, ზოვატი, არანიოში (ბეკო 46), სილი (შიმეკი 82), კაბატი, სოვუნმი, სილვესტერი (ტიბერი 79)
მსაჯი: ატილა ჰაიდო
4 000 მაყურებელი

# NOT FOR SALE

# ბატისტუტა ერთია!

სიტყვები, რომელიც ხშირად ჰუმანიტარული დახმარების ყუთებზე გინახავთ და „არ იყიდებას“ ნიშნავს, ახლა გაბრიელ ომარ ბატისტუტას „აწერია“ — „ფიორენტინას“ პრეზიდენტმა ვიტორიო ჩეკი გორიმ მთელ მსოფლიოს განუცხადა, რომ არგენტინელ ვარსკვლავს არავის დაუთმობს.

„ბატისტუტას კონტრაქტის თანახმად ჩვენთან კიდევ რამდენიმე სეზონი აკავშირებს და მისი გაყიდვის სურვილი არ გვაქვს“ — თქვა ჩეკი გორიმ იტალიის სენატში შესვლის წინ, სადაც ქვეყნის ახალჩამოყალიბებული მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებას აპირებდა.

საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო რამდენიმე კვირაა არგენტინელი ვარსკვლავის გარშემო დიდი ამბავია ატეხილი. რომელი აღარ დაასახელეს მის მომავალ გუნდად: „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ინტერი“, „რეალი“...

„რეალის“ მენეჯერი, მავანი სეტიმიო ალოიზიო ამას წინათ ამბობდა კიდეც: „თუ ჩეკი გორი ბატისტუტას გაყიდვას მაინც გადაწყვეტს მწამს, ხუთი-ექვსი კონკურენტი გამოგვიჩნდება, მაგრამ ჩვენი მხრივ არც ფულს დავიშურებთ და არც გასაცვლელ ფეხბურთელს. „რეალთან“ ფერნანდო რედონდოსა და რაულის გარდა მოლაპარაკება ყველაზე შეიძლება“.

რას გულისხმობდა ალოიზიო? ის ეხმაურებოდა ინფორმაციას, რომლის თანახმადაც „ფიორენტინას“ ფერნანდო მორიენტესი სურს. მაგრამ ჩეკი გორი შეუვალია:

„ნათქვამი სიტყვისთვის ცხოვრებაში არ მიღალატია და ახლაც ვამბობ: ბატისტუტა ჩვენთან დარჩება. მას მხოლოდ იმ შემთხვევაში გავყიდი თუ სანაცვლოდ ორ ბატისტუტას შემომთავაზებენ, მაგრამ ასეთი ორი ფეხბურთელი მთელ დედამიწაზე არ არსებობს“.



გაბრიელ ბატისტუტა

## შოტლანდია

**რეინჯერსი 5:2 ჰიბერნიანი**

1:0 ბ. ფერგიუსონი (12), 2:0 ბ. დოდსი (18), 3:0 დენისი (48ს.კ.), 3:1 მილერი (49), 3:2 დ. ლემანი (73), 4:2, 5:2 ალბერტცი (80პ, 86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 33 | 26 | 6 | 1 | 93:24 | 84 |
| სელტიკი | 33 | 19 | 5 | 9 | 83:37 | 62 |
| ჰართსი | 33 | 14 | 8 | 11 | 45:38 | 50 |
| მოზერუელი | 33 | 11 | 10 | 12 | 43:62 | 43 |
| ჰიბერნიანი | 33 | 10 | 11 | 12 | 48:56 | 41 |
| სტ. ჯონსტონი | 33 | 10 | 10 | 13 | 34:41 | 40 |
| დანდი იუნ. | 33 | 11 | 6 | 16 | 33:50 | 39 |
| დანდი | 33 | 10 | 5 | 18 | 41:62 | 35 |
| კილმარნოკი | 33 | 7 | 13 | 13 | 34:43 | 34 |
| აბერდინი | 33 | 7 | 6 | 20 | 36:77 | 27 |

## ლიტვა

მე-7 ტური. ჟალგირისი — ატლანტასი 1:0; კაუნასი — კარედა 2:0; ინკარასი — ბანგა 2:1; პოლონია — ეკრანასი 0:4; დაინავა — ნევეჟისი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 7 | 5 | 1 | 1 | 13:3 | 16 |
| კაუნასი | 7 | 4 | 3 | 0 | 12:0 | 15 |
| ატლანტასი | 7 | 4 | 0 | 3 | 11:7 | 12 |
| კარედა | 7 | 3 | 2 | 2 | 6:6 | 11 |
| დაინავა | 7 | 2 | 3 | 2 | 8:9 | 9 |
| ეკრანასი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:10 | 8 |
| პოლონია | 7 | 2 | 2 | 3 | 7:13 | 8 |
| ნევეჟისი | 7 | 1 | 4 | 2 | 4:10 | 7 |
| ინკარასი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:11 | 5 |
| ბანგა | 7 | 1 | 1 | 5 | 5:11 | 4 |

# სიცოცხლე ფეხბურთზე მეტია

## არგენტინაში ფეხბურთი მოკვდა... ჯერჯერობით ერთი კვირით

გასულ უქმეებზე მთელი არგენტინა „რივერ პლეიტისა“ და „ბოკა ხუნიორსის“ დაპირისპირების მოლოდინში იყო. მაგრამ „სუპერკლასიკა“, როგორც ამ გუნდების მატჩებს ნათლავენ ხოლმე, არ შედგა. და არა მხოლოდ ბუენოსაირესული დერბი, არგენტინის ოთხივე დივიზიონის არც ერთი შეხვედრა არ გამართულა. მიზეზი ასეთი გახლავთ — მოთამაშეებს ფეხბურთი ძალიანაც უყვართ, მაგრამ საკუთარ სიცოცხლეს მეტად აფასებენ. განა მართლები არ არიან?

რამდენჯერ გვსმენია, ბრიტანელი გულშემატკივრები ჩხუბისთავები არიან, ფათერაკებს დაეძებენო. თუმცა სამხრეთამერიკელებთან (ამ შემთხვევაში არგენტინელებთან) შედარებით უცოდველი კრავები არიან. ცხადია, ესეც შემაშფოთებელია, მაგრამ ევროპელი ქომაგები ერთმანეთს ამტვრევენ თავ-პირს, ფეხბურთელებს კი არაფერს ერჩიან. არგენტინაში კი უფრო ფიცხელი ხალხი ცხოვრობს. ისინი ტრიბუნებზე რომ მორჩებიან საქმის გარჩევას, მინდორზე გადაინაცვლებენ და ფეხბურთელებს დაერევიან ხოლმე.

დაახლოებით ერთი წლის წინ არგენტინულმა სასამართლომ დაბალი დივიზიონების მატჩების გადადებაც კი ბრძანა, უსაფრთხოების გარანტიები არ არსებობსო. დღეს კი რა? მაშინდელი თითო-ოროლა ინციდენტი ბატალურმა ომებმა შეცვალა, რისი დასტურიც ორი კვირის წინ გამართული ტურია. ტელევიზიითაც ვიხილეთ, მესამედივიზიონელი „ექსკურსიონისტასი“ — „კომუნიკასიონესის“ მატჩში რაც უქნეს მასპინძელმა ქომაგებმა სტუმარ ფეხბურთელებს. მათ კომუნიკასიონესელები უმოწყალოდ ჩაწი... ხლეს და ათი მათგანი ექიმთა მოსასულიერებელი შეიქ... აქ ყველაზე სერიოზული შემთხვევა ვახსენეთ, თორემ ერთი-ორი ნაცემი მოთამაშე ლამის ყოველ სტადიონზე გორავდა.

მოთმინების ფიალა აივსო. პროლეტარიატის ბელადს თუ დავესესხებით, რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა — ფეხბურთელებს ძველებურად ცხოვრება (თამაში) აღარ შეეძლოთ, ხოლო ხელისუფლებს (ფეხბურთის ფედერაციას) მართვა.

ცხადია, საქმე აჯანყებამდე არ მისულა, მაგრამ უკლებლივ ყველა არგენტინელმა ფეხბურთელმა ქვეყნის ჩემპიონატს ბოიკოტი გამოუცხადა. ეს აქცია გამაფრთხილებელია და ერთ კვირას გასტანს. პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირს (პროფკავშირის მსგავსი ორგანიზაცია) განცხადებაში წერია: „ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის მცდელობა იმისა, რომ არგენტინის მთავრობამ და ფეხბურთის ფედერაციამ მოთამაშეთა უსაფრთხოებისთვის იზრუნონ“.

რას მოიმოქმედებს ხელისუფლება? ფეხბურთი არგენტინული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია და სათანადო ზომებიც, ალბათ, არ დააყოვნებს. გაჭრის? თუ კი, ხომ კარგი, თუ არადა, ფეხბურთელები იმუქრებიან, ტრიბუნებზე მცირეოდენ ჩოჩქოლსაც თუ შევნიშნავთ, შეხვედრას ჩავშლითო. ისევ გავიმეოროთ — მართლებიც იქნებიან.

# ღიმილს ულვაში ვერ ფარავს

## ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. I წრე

**რეალი 2:0 ბაიერნი**

1:0 ანელკა (4), 2:0 იერემისი (33 ს.კ.)
რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, კარანკა, ივან კამპო, ელგერა, რედონდო, მაკმანამანი, რაული, ანელკა (ბალიჩი 80), მორიენტესი (სავიო 61)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ბაიერნი: კანი, ბაბელი, ლინკე, ლიზარაზუ, იერემისი, სალიჰამიჯიჩი (სანტა კრუზი 78), ფინკი, ტარნატი (ვისინგერი 46), შოლი, პაულო სერჟიო, ელბერი (იანკერი 78)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: კარანკა, შოლი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
80 000 მაყურებელი

| | | |
|---|---|---|
| 6 | კარისკენ დარტყმა | 13 |
| 1 | ასცდა | 8 |
| 16 | ჯარიმა | 16 |
| 8 | კუთხური | 6 |
| 7 | თამაშგარე | 1 |
| 27 | ბურთის ფლობა (დროში) | 25 |
| 51 | ბურთის ფლობა (%) | 49 |


REUTERS მადრიდიდან

ტორსტენ ფინკი (№17) და აიტორ კარანკა „სანტიაგო ბერნაბეუს" წვიმიან მინდორზე

ვინ იტყვის რა უთხრა ვისენტე დელ ბოსკემ თავის ფეხბურთელებს მატჩის წინ? ალბათ, თავად დელ ბოსკე, ფეხბურთელები და მათი ახლობლები თუ, რასაკვირველია, დაინტერესდნენ და აამბობინეს. შესაძლოა, ორიოდ სიტყვით ამის შესახებ რომელიმე ესპანურ გაზეთშიც ეწეროს, მაგრამ საეჭვოა სადმე, ვინმეს მთელი სურათი აღეწერა.

აქ ტაქტიკას არ ვგულისხმობთ, ვინაიდან განლაგების დონეზე მისი ამოცნობა ძნელი არაა, ხოლო ამის იქით უიმედო საქმეა. ჩვენ უფრო თამაშისადმი, უფრო სწორედ კი მეტოქისადმი დამოკიდებულება, ფსიქოლოგიური განწყობა გვაინტერესებს. ხომ გახსოვთ რა ამბავი იყო ატეხილი იმის გამო, რომ „რეალი" და „ბაიერნი" მეორე ჯგუფურ ეტაპზე უკვე შეხვედრიან ერთმანეთს და ორივე მატჩი მიუნხენელებმა უსიტყვოდ მოიგეს? ამბობდნენ შურისძიებაზე, ესპანურ თავმოყვარეობაზე და ასე შემდეგ.

და რა ვიხილეთ? აბსოლუტურად მოზომილი, აკადემიური თამაში დაკვირვებული პასებითა და ურთიერთდაზღვევით. ყველაფერი სრულყოფილი ოსტატობით სრულდებოდა, მაგრამ ემოცია, ვთქვათ იმავე „მანჩესტერ" — „რეალის" მეოთხედფინალურ შეხვედრას რომ ახლდა, არ ჩანდა და ეს მადრიდელთა მხრივ სწორი იყო. ამიტომაც ვიკითხეთ, ნეტავ როგორ განაწყო დელ ბოსკემ გუნდი ასეთი ფეხბურთის სათამაშოდ, ეს ხომ არც ისე იოლია, მითუფრო, რომ ეჭვი არაა გარშემო ყველანი, პრესა-ტელევიზიით დაწყებული მოთამაშეთა ოჯახის წევრებით დამთავრებული ფიცხელ შურისძიებას ითხოვდნენ.

მაგრამ დელ ბოსკემ მატჩის წინ ფეხბურთელებს უთხრა ის, რასაც, ალბათ, ჩვენ სრულად ვერ გავიგებთ და თავისი გაიტანა, ჯერ ნიკოლა ანელკას, მერე კი მოწინააღმდეგის, იენს იერემისის ფეხით.

იღბალი? თუ იმას ჩავთვლით, რომ ანელკამ ანგარიში მეოთხე წუთზევე გახსნა ანუ, ფაქტობრივად, მასპინძელთა პირველივე შეტევა გოლით დასრულდა და კიდევ, მეორე ტაიმში ჯოვანი ელბერმა ერთი ხელსაყრელი მომენტით ვერ ისარგებლა, მაშინ იღბალი „რეალის" მხარეს იყო. ავტოგოლიც მივათვალოთ? კი ბატონო, მართალია ეს ავტოგოლი შინაარსით განსხვავდებოდა იმისგან მანჩესტერელმა როი კინმა და ვალენსიელმა მაურისიო პელეგრინომ რომ გაიტანეს, მაგრამ თეორიულად ხომ შესაძლებელი იყო იერემისს ბურთი გალმა გადაეგდო და ასე შემდეგ.

მეორე მხრივ ასე მსჯელობა სწორი არაა, რადგან იღბლის თეორიის თანახმად გამარჯვებულს ყოველთვის, ყველა შეხვედრაში უმართლებს, ზოგი კი იმასაც ამბობს ბედი აუცილებლად უძლიერესს სწყალობსო.

„რეალისა" და „ბაიერნის" ნახევარფინალურ წყვილში უძლიერესის ვინაობას ერთ კვირაში შევიტყობთ, თუმცა ოთხშაბათის თამაშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მასპინძელთა მწვრთნელი, ჩვეულებრივ თავშეკავებული დელ ბოსკე ხშირ ულვაშში კმაყოფილ ღიმილს ვერ მალავდა.

„პირველ ტაიმში მაღალი რიტმითა და ინტენსივობით ვითამაშეთ, რამაც შესვენების შემდეგ გარკვეული ამოსუნთქვის საშუალება მოგვცა. როდესაც მოწინააღმდეგედ „ბაიერნი" გყავს და გოლს არ უშვებ, ეს უკვე დიდი საქმეა. წინ საპასუხო შეხვედრაც გველის, თუმცა იქაც დღევანდელიჯით ვაპირებთ თამაშს" — განაცხადა მან.

„ბაიერნის" თავკაცი ოტმარ ჰიცფელდი კი ცდილობდა სახეზე გულისწყრომა არ გამოხატვოდა. მან ბრძანა: „ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, როგორ უნდა უკეთ თამაში და შინ სწორედ ამას ვაპირებთ. ცხადია 1:2 უკეთესი იქნებოდა და მაინც, უიმედობის შეგრძნებას არც 0:2 იწვევს".

ამ შეხედულებას „რეალის" ბრაზილიელი ნახევარმცველი სავიოც იზიარებს: „ჩვენს წყვილში ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. მე თუ მკითხავთ, ნახევარფინალის უძნელესი ნაწილი ერთ კვირაში გველის. მიუნხენში ჩასვლა და რვა კაცით დაცვაში ჩადგომა ყოვლად დაუშვებელია. „ბაიერნი" ძალიან ძლიერი გუნდია და ასეთი დამოკიდებულების შემთხვევაში აუცილებლად დაგვსჯის".

საპასუხო მატჩი მადრიდელთათვის კიდევ იმიტომ იქნება ძნელი, რომ ორი ყვითლის გამო მცველები, მიჩელ სალგადო და აიტორ კარანკა არ ეყოლება, არადა, მოგეხსენებათ, „სამეფო გუნდი" გრძელი სკამით ვერ დაიკვეხნის. დელ ბოსკეს, ალბათ, ჯერემი ჯიტაპს, ტრავმამოშუშებულ მანუელ სანჩისსა და დაბერებულ ფერნანდო იეროს შორის ექნება ასარჩევი.

მაგრამ, რაც მთავარია „ოლიმპიაშტადიონზე" იქნება რაული, „სანტიაგო ბერნაბეუზე" ორივე საგოლე პასის ავტორი და... თუმცა ამ აღიარებულ ვარსკვლავზე დაწვრილებით ლაპარაკი, აქ, ალბათ, არასწორი იქნება.

**მიხეილ სურგულაძე**



# გზა დაუთმეთ, ტაპი მოდის

## მარსელელი მაგნატის აღზევების და დაცემის ისტორია



1993 წლის 26 მაისი. მარსელის „ოლიმპიკი" ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ. მარცხნიდან დგანან: ბარტეზი, სოზე, დესაი, ფიოლერი, ბოლი; სხედან: ანგლომა, პელე, დეშამპი, ბოკშიჩი, ეიდელი, დი მეკო

მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონი", 1993 წლის 26 მაისი. ჩემპიონთა ლიგის ფინალში ბოლის ერთადერთი გოლით მარსელის „ოლიმპიკი" „მილანს" ამარცხებს და ევროთასის მფლობელი პირველი ფრანგული კლუბი ხდება. მთელი მარსელი ზეიმობს, ოცნება რეალობად იქცა. 1976 წელს „ოლიმპიკმა" საფრანგეთის თასი აიღო და მას შემდეგ მთელი თორმეტი წელი არაფერი მოეგო. 1989 წლიდან კი დაიწყო... ხუთჯერ ზედიზედ ქვეყნის ჩემპიონობა და ზედ ჩემპიონთა თასი. ამ დიდი გამარჯვებების ფონზე თითქოს რა სახსენებელია მიუნხენურ ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე საფრანგეთის პირველობაზე ერთ-ერთ ტურში გამართული „მარსელისა" და „ვალანსიენის" მატჩი, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ მან 90-იანი წლების ყველაზე გახმაურებულ სკანდალს დაუდო საფუძველი.

ერთხელ, 1993-94 წლების სეზონის დასაწყისში, მარსელელმა ჟან-ჟაკ ეიდელიმ წამოაყრანტალა, „ვალანსიენსთან" მატჩი ნაყიდი გვქონდაო და დასძინა, ამ ამბავს ხორხე ბურუჩაგაც დაადასტურებსო (ბურუჩაგა მაშინ „ვალანსიენსში" თამაშობდა). თითქოს გასაოცარია, რად დასჭირდა ევროპის უძლიერეს კლუბს მეტად მოკრძალებული მეტოქის მოქრთამვა (ამჟამად „ვალანსიენსი" მესამე დივიზიონში თამაშობს და გათამაშების ცხრილის შუაში იმყოფება). მიზეზიც მალე გაირკვა, „ოლიმპიკს" „მილანთან" მატჩის წინ გადაღლა არ სურდა. მოკლედ, სკანდალი აგორდა...

მთელი ეს ისტორია ერთი კაცის სახელს უკავშირდება. ბერნარ ტაპის მილიონებიანი მემკვიდრეობა არ მიუღია. მან თავისი იმპერია სხვათა დაუხმარებლად შექმნა და ერთ დღესაც განიზრახა, სუპერკლუბი ჰყოლოდა. თქვა და შეასრულა კიდეც, ზემოთ ჩამოთვლილი ტიტულები (ორჯერ საფრანგეთის თასის აღებაც და 1991 წელს ჩემპიონთა თასის ფინალისტობაც დავუმატოთ) ტაპის გარჯის და მილიონების შედეგია.

შემდეგ იყო სკანდალი და გამოძიება. „ოლიმპიკს" 1992-93 წლების სეზონის საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული ჩამოერთვა და მალე მეორე დივიზიონშიც ამოაყოფინეს თავი, ტაპი კი უფრო შორ გზას გაუყენეს. მისი იმპერია ფინანსური მაქინაციებით ყოფილა ნაშენები და მშვიდობით, ფეხბურთო, პოლიტიკურო კარიერავ და თავისუფლებავ.

გავიდა წლები, ბერნარ ტაპი გაათავისუფლეს. საერთოდ, ასეთი ხალხი უსაქმოდ ვერ ძლებს და ტაპიც კვლავ სუპერკლუბის შექმნაზე ალაპარაკდა. ფრანგულმა „ობსერვატორმა" მისი ინტერვიუ დაბეჭდა, სადაც ყოფილი ტუსაღი ამბობს: „დიახ, მე ვბრუნდები და ეს ძალიან მალე მოხდება. ცხადია, ყველას გაინტერესებთ, თუ რომელ კლუბს ვუკავშირებ ჩემს მომავალს. დღეს ამაზე არაფერს გეტყვით. ერთ თვეში შევხვდეთ და მერე გაგიმხელთ".

ბერნარ ტაპი თანამედროვე ფეხბურთს კარგა ხანს გისოსებიდან უყურებდა და მასზე საკუთარი მოსაზრებაც აქვს: „ბარსელონასა" და „ჩელსიში" თითო-ოროლა ესპანელი და ინგლისელი თამაშობს, უმეტესობა უცხოელები არიან. განა ეს ცუდია? გულშემატკივრებს ისინი უყვართ და ტრიბუნებიც მუდამ სავსეა. ვინ მომწონს? ნიკოლა ანელკა. ამ ბიჭს უზარმაზარი ტალანტი აქვს. მე მას რონალდოზე მეტად ვაფასებ".

დაბოლოს, სანამ ბერნარ ტაპი დიდ ფეხბურთს, ბიზნესს და ეგებ პოლიტიკასაც დაუბრუნდება, მწერლობას მიჰყო ხელი. ახლახან მისი პირველი მოთხრობა გამოქვეყნდა, რომელსაც „მეტად დიდი თვალები" ჰქვია. მასში ერთი ბიჭის ამბავია აღწერილი. იგი დანაშაულებრივ სამყაროში მოხვედრას ფეხბურთის სიყვარულმა გადაარჩინა.

**გიორგი დარჯანია**

# ჰოლანდიის ქომაგი ელისეს მინდვრებიდან

ახლოვდება ევრო 2000 და ეროვნულ გუნდთა ცხოვრებაც ნელ-ნელა, შეპარვით, მეტ და მეტ ყურადღებას იპყრობს. მაგალითად, ვის არ აინტერესებს, რა ხდება მსოფლიოს ჩემპიონის, საფრანგეთის ნაკრების ბანაკში?! დღეს ამაზე შევჩერდეთ და სიტყვა „ჩელსის" მცველს, ფრანკ ლებეფს დავუთმოთ.

„ვგონებ, წარმატებით გამოსვლის ურიგო შანსი არ გვაქვს. კარგი გუნდი გვყავს და არც საკუთარ ძალთა რწმენა გვაკლია. ასეთი ერთსულოვნება იშვიათად სადმე მენახოს" — ამბობს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფალური ფინალის მონაწილე და ვარაუდობს, რომ მისი ქვეყნის გარდა უმაღლესი ევროპული ჯილდოს მოპოვების კარგი შანსი ჰოლანდიელებს, გერმანელებს და ინგლისელებს აქვთ.

ლებეფის აზრით, საკუთარ ძალთა რწმენა ძალიან მნიშვნელოვანია.

„ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატამდე ორი თვე ერთად გავატარეთ და თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი კამათიც არ მომხდარა. შემდეგ, ჩემპიონატზე გამარჯვებამ დაგვანახა, რომ ერთად უდიდესი შედეგის მიღწევა შეგვიძლია, რამაც ერთმანეთისადმი პატივისცემა გაგვიათმაგა. ამით აიხსნება, ახლახან, ბოლო ამხანაგურ თამაშში, სლოვენიასთან 0:2-ს რომ ვაგებდით, პანიკა არ მოგვძალებია და ერთი წუთით არ გაგვჩენია ეჭვი, რომ მოგების ძალა შეგვწევს".

კიდევ ლებეფი დარწმუნებულია, რომ საფრანგეთის ნაკრების ახლანდელ მწვრთნელს, როჟე ლემერს ხშირად უსამართლოდ აკრიტიკებენ.

„ემე ჟაკე მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ძალიან პოპულარული კი გახდა, მაგრამ მანამდე მასაც უზომოდ აკრიტიკებდნენ. ახლა ლემერიც იმავე დღეშია, თუმცა იმედი მაქვს ერთი ხნის შემდეგ მასაც ქებას დაუწყებენ".

მოგეხსენებათ, ევრო 2000-ის D ჯგუფში საფრანგეთის ნაკრების მეტოქეები ჰოლანდია, დანია და ჩეხეთი არიან.

„ჰოლანდიელებს ნამდვილად ვეთაყვანები. იქნებ ბოლო დროს ძველებურად კარგად ვერ თამაშობენ, მაგრამ მაინც ძალიან მაღალი კლასისანი არიან. თან შინ თამაშობენ და ბევრი ძალიან კარგი ფეხბურთელი ჰყავთ. მე თუ მკითხავთ, დღეს მსოფლიოში ყველაზე კარგი მოთამაშე ედგარ დავიდსია. ზოგადადაც ჰოლანდიურ ფეხბურთს უდიდეს პატივს ვცემ, ხოლო ბავშვობაში, არც მეტი არც ნაკლები, მათი ქომაგი ვიყავი".

ლებეფს სწამს, რომ ფრანკ რაიკაარდის ბიჭებს შინაური კედლები დიდ დახმარებას გაუწევს:

„თუ ტრიბუნები მიხვდებიან, რომ გუნდის მეთორმეტე ფეხბურთელის როლს ასრულებენ, ჰოლანდიისთვის შინ თამაში მნიშვნელოვანი უპირატესობა იქნება. ეს საკუთარი გამოცდილებით ვიცი. მსოფლიოს ჩემპიონატზე, თავიდან ხალხს ჩვენი არ სჯეროდა, შემდეგ კი დამოკიდებულება შეიცვალა და ბოლოს ის მივიღეთ, რომ პლანეტის პირველი გუნდი გავხდით. ბოლოს ყველა ჩვენ გვიჭერდა მხარს".

რომელი თავდამსხმელი გაიბრწყინებს ევრო 2000-ზე?

„ჩემი ორი თანაგუნდელიდან, ტიერი ანრიდან და დავიდ ტრეზეგედან ერთ-ერთი. ველი პატრიკ კლუივერტის ბრწყინვალე თამაშსაც, თუმცა ანრის საგანგებო პირობები აქვს, რადგან „არსენალში" ყოველდღიურად მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მწვრთნელის, არსენ ვენგერის ხელმძღვანელობით მუშაობს. ჩემი აზრით ნიკოლა ანელკაც ვენგერის შექმნილია, ახლა კი მწვრთნელი ანრის ქმნის. ისე, ევროპის ჩემპიონატზე ანელკაც გაიბრწყინებდა, მაგრამ „რეალში" იშვიათად თამაშობს და ამიტომ არა მგონია დიდი შანსი ჰქონდეს".

შემდეგ ლებეფმა ნაკრებსა და „ჩელსიში" თანაგუნდელი, დიდიე დეშამპი შეაქო.

„ბოლოხანს დიდიე გააკრიტიკეს, მაგრამ ასეთ ადამიანებს არაფერი ესმით. მე ყველაზე კარგად ვხედავ როგორ მუშაობს ის მოედნის შუაგულში. „ჩელსიში" დენის უაიზს კარგი სეზონი რომ აქვს, დეშამპის დამსახურებაა. წარსულში ხომ უაიზს დაცვაში მალიმალ ჩამორბენა უხდებოდა, ახლა კი იცის — უკან საიმედო კაცია".

ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში საფრანგეთმა სლოვენიას 3:2 მოუგო:

„სლოვენიელები ძალიან ტექნიკურნი ყოფილან, ბურთს კარგად ფლობენ, თუმცა ერთმა გამაკვირვა: ჩვენთან შეხვედრაში წარმოუდგენლად მალე დაიღალნენ. 30 წუთში ამოწურულებს ჰგავდნენ. თუ ფიზიკურ მომზადებაზე იმუშავებენ, შესაძლოა ევროპის ჩემპიონატზე კარგადაც გამოვიდნენ".

და ბოლოს, ფეხბურთსა და ფეხბურთელობაზე:

„მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ქუჩაში ხალხი მადლობას მეუბნებოდა. დააკვირდით, განა ყოჩაღ, გმადლობთ ჩინებული ზაფხულისთვისო. ჩვენ ერი გავაბედნიერეთ. ერთი შეხედვით, თითქოს ინდივიდუალისტები ვართ, მაგრამ იმ ზაფხულს ერთსულოვნებამ ჩემპიონობა მოგვიტანა. 12 ივლისის ღამეს ელისეს მინდვრებზე მილიონობით მოზეიმე ადამიანი რომ დავინახე, მივხვდი, რაც შევძელით".



ფრანკ ლებეფი

## აფრიკა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

### A ჯგუფი

**ანგოლა, ზამბია, ლიბია, კამერუნი, ტოგო**

| | |
|---|---|
| 18.06.00 | ანგოლა — ზამბია; ლიბია — კამერუნი |
| 8.07.00 | ზამბია — ტოგო |
| 9.07.00 | კამერუნი — ანგოლა |
| 28.01.01 | ანგოლა — ლიბია; ტოგო — კამერუნი |
| 25.02.01 | კამერუნი — ზამბია; ლიბია — ტოგო |
| 10.03.01 | ზამბია — ლიბია |
| 11.03.01 | ტოგო — ანგოლა |
| 21.04.01 | ზამბია — ანგოლა |
| 22.04.01 | კამერუნი — ლიბია |
| 6.05.01 | ანგოლა — კამერუნი; ტოგო — ზამბია |
| 1.07.01 | კამერუნი — ტოგო; ლიბია — ანგოლა |
| 14.07.01 | ზამბია — კამერუნი |
| 15.07.01 | ტოგო — ლიბია |
| 29.07.01 | ანგოლა — ტოგო; ლიბია — ზამბია |

### B ჯგუფი

**ნიგერია, სიერა ლეონე, სუდანი, ლიბერია, განა**

| | |
|---|---|
| 17.06.00 | ნიგერია — სიერა ლეონე |
| 18.06.00 | სუდანი — ლიბერია |
| 8.07.00 | სიერა ლეონე — განა |
| 9.07.00 | ლიბერია — ნიგერია |
| 27.01.01 | განა — ლიბერია; ნიგერია — სუდანი |
| 25.02.01 | ლიბერია — სიერა ლეონე; სუდანი — განა |
| 10.03.01 | განა — ნიგერია; სიერა ლეონე — სუდანი |
| 21.04.01 | სიერა ლეონე — ნიგერია |
| 22.04.01 | ლიბერია — სუდანი |
| 5.05.01 | განა — სიერა ლეონე; ნიგერია — ლიბერია |
| 1.07.01 | ლიბერია — განა; სუდანი — ნიგერია |
| 14.07.01 | განა — სუდანი; სიერა ლეონე — ლიბერია |
| 28.07.01 | ნიგერია — განა |
| 29.07.01 | სუდანი — სიერა ლეონე |

### C ჯგუფი

**ალჟირი, სენეგალი, ნამიბია, მაროკო, ეგვიპტე**

| | |
|---|---|
| 16.06.00 | ალჟირი — სენეგალი |
| 17.06.00 | ნამიბია — მაროკო |
| 8.07.00 | მაროკო — ალჟირი |
| 9.07.00 | სენეგალი — ეგვიპტე |
| 26.01.01 | ალჟირი — ნამიბია; ეგვიპტე — მაროკო |
| 24.02.01 | მაროკო — სენეგალი; ნამიბია — ეგვიპტე |
| 9.03.01 | ეგვიპტე — ალჟირი |
| 11.03.01 | სენეგალი — ნამიბია |
| 21.04.01 | მაროკო — ნამიბია |
| 22.04.01 | სენეგალი — ალჟირი |
| 4.05.01 | ალჟირი — მაროკო; ეგვიპტე — სენეგალი |
| 30.06.01 | მაროკო — ეგვიპტე; ნამიბია — ალჟირი |
| 13.07.01 | ეგვიპტე — ნამიბია |
| 15.07.01 | სენეგალი — მაროკო |
| 27.07.01 | ალჟირი — ეგვიპტე; ნამიბია — სენეგალი |

### D ჯგუფი

**მადაგასკარი, კონგოს დრ, კოტ დივუარი, ტუნისი, კონგო**

| | |
|---|---|
| 18.06.00 | კოტ დივუარი — ტუნისი |
| | მადაგასკარი — კონგოს დრ |
| 8.07.00 | ტუნისი — მადაგასკარი |
| 9.07.00 | კონგოს დრ — კონგო |
| 28.01.01 | კონგო — ტუნისი |
| | მადაგასკარი — კოტ დივუარი |
| 24.02.01 | ტუნისი — კონგოს დრ |
| 25.02.01 | კოტ დივუარი — კონგო |
| 11.03.01 | კონგო — მადაგასკარი |
| | კონგოს დრ — კოტ დივუარი |
| 21.04.01 | ტუნისი — კოტ დივუარი |
| 22.04.01 | კონგოს დრ — მადაგასკარი |
| 6.05.01 | კონგო — კონგოს დრ |
| | მადაგასკარი — ტუნისი |
| 30.06.01 | ტუნისი — კონგო |
| 1.07.01 | კოტ დივუარი — მადაგასკარი |
| 15.07.01 | კონგო — კოტ დივუარი |
| | კონგოს დრ — ტუნისი |
| 29.07.01 | კოტ დივუარი — კონგოს დრ |
| | მადაგასკარი — კონგო |

### E ჯგუფი

**გვინეა, ზიმბაბვე, მალავი, ბურკინა ფასო, სამხრეთ აფრიკა**

| | |
|---|---|
| 17.06.00 | მალავი — ბურკინა ფასო |
| 18.06.00 | გვინეა — ზიმბაბვე |
| 9.07.00 | ბურკინა ფასო — გვინეა |
| | ზიმბაბვე — სამხრეთ აფრიკა |
| 27.01.01 | სამხრეთ აფრიკა — ბურკინა ფასო |
| 28.01.01 | გვინეა — მალავი |
| 24.02.01 | მალავი — სამხრეთ აფრიკა |
| 25.02.01 | ბურკინა ფასო — ზიმბაბვე |
| 10.03.01 | სამხრეთ აფრიკა — გვინეა |
| 11.03.01 | ზიმბაბვე — მალავი |
| 21.04.01 | ბურკინა ფასო — მალავი |
| 22.04.01 | ზიმბაბვე — გვინეა |
| 5.05.01 | სამხრეთ აფრიკა — ზიმბაბვე |
| 6.05.01 | გვინეა — ბურკინა ფასო |
| 30.06.01 | მალავი — გვინეა |
| 1.07.01 | ბურკინა ფასო — სამხრეთ აფრიკა |
| 14.07.01 | სამხრეთ აფრიკა — მალავი |
| 15.07.01 | ზიმბაბვე — ბურკინა ფასო |
| 28.07.01 | მალავი — ზიმბაბვე |
| 29.07.01 | გვინეა — სამხრეთ აფრიკა |

*ჯგუფებში გამარჯვებულები ითამაშებენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, იაპონია-კორეაში*

## ფეხბურთის რუკასთან



შოტლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე მარკ ვიდუკას აგენტმა უარყო მოსაზრება, თითქოს ფეხბურთელი „სელტიკის" დატოვებას და „ტოტენჰემში" გადაბარგებას აპირებდეს. გლაზგოური კლუბი მომავალ სეზონში მწვრთნელად ალბათ ჰოლანდიელ გუს ჰიდინკს დანიშნავს და რამდენიმე ახალი ფეხბურთელით გაძლიერდება. ხელმძღვანელობა წამყვანი მოთამაშეების გაყიდვას არ აპირებს. შოტლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ ვიდუკას უკვე არაერთმა წამყვანმა ევროპულმა კლუბმა დაადგა თვალი. გლაზგოური პრესის ცნობით, ინგლისური და იტალიური გუნდები „სელტიკს" 8 მილიონ გირვანქას სთავაზობენ.

**ესპანურ მადრიდის „ატლეტიკოს" სეზონის ბოლოს სავარაუდოდ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დატოვებს. გუნდს პრიმერადივიზიონიდან გავარდნის აშკარა საფრთხე ემუქრება და მხოლოდ სასწაული თუ იხსნის. კლუბის ერთ-ერთ ლიდერ და საუკეთესო ბომბარდირ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს „ლაციომ" მიაპყრო ყურადღება და სულ მალე შესაძლოა გადაიბიროს კიდეც. რომაულ კლუბს სატრანსფერო თანხა არ გაუმხელია. გარდა ამისა, ჰოლანდიელ ფორვარდს მრავალი ევროპული გრანდი იწვევს, კანდიდატებად „მილანს", „ვალენსიას", „პარმას", „ტოტენჰემს" და „მონაკოს" ასახელებენ. „ატლეტიკოსა" და ჰასელბაინკის საბოლოო პასუხი ჯერჯერობით უცნობია.**

გერმანიის ნაკრების ყოფილი მცველი, ვეტერანი თომას ბერთოლდი სეზონის ბოლოს „შტუტგარტს" დატოვებს და თავისუფალი აგენტის სტატუსით სხვა გუნდში გადაბარგდება, მისი მომავალი კლუბი ჯერჯერობით უცნობია. 35 წლის ბერთოლდი 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონია. იგი „შტუტგარტში" 1993 წლიდან თამაშობს. კლუბის ხელმძღვანელობამ გამოცდილ ფეხბურთელს ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო.

**ავსტრიელი სპეციალისტი ჰერბერტ პროჰაზკა ვენის „აუსტრიას" მომავალ ტურში „რაპიდის" წინააღმდეგ მატჩში უხელმძღვანელებს და შემდეგ თანამდებობას დატოვებს. ავსტრიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა გადაწყვეტილება სამშაბათს მიიღო, მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა ქვეყნის თასის ნახევარფინალში „ზალცბურგთან" წააგო. „ვენური დერბი ჩემს აუსტრიულ კარიერაში ბოლო იქნება. მესიამოვნება, თუ ამ მატჩს მოვიგებთ — განცხადა პროჰაზკამ — მჯერა, კლუბის ხელმძღვანელობა ღირსეულ კანდიდატს შეარჩევს".**

ინგლისელმა მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ „ასტონ ვილასთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სპეციალისტი ბირმინგემულ კლუბს 1998 წლის თებერვლიდან ხელმძღვანელობს. მან პოსტზე ბრაიან ლითლი შეცვალა. პრემიერლიგის გათამაშების ცხრილში „ასტონ ვილა" მეექვსე ადგილზეა და გაისად ალბათ უეფას თასზე იასპარეზებს. ბირმინგემელები ინგლისის ასოციაციის თასისთვისაც იბრძვიან და ფინალში „ჩელსის" შეხვდებიან.

**იტალიის ნაკრებისა და „პარმას" მეკარე ჯანლუიჯი ბუფონის თავის გუნდში ხილვა ბევრ ევროპულ გუნდს სურს. მათ შორის ყველაზე ხშირად „ლაციოს" და „მანჩესტერ იუნაიტედს" ასახელებენ. თუ „პარმამ" ბუფონი გაყიდა, მის მაგივრად ალბათ სებასტიან ფრეის შეიძენს. ფრანგი მეკარე „ინტერის" საკუთრებაა, თუმცა ამჟამად განათხოვრებით „ვერონაში" თამაშობს და, სპეციალისტთა აზრით, ჩინებულ სეზონს ატარებს. „პარმას" და „ინტერს" ოფიციალური მოლაპარაკება ჯერჯერობით არ დაუწყიათ. ახალგაზრდა გოლკიპერის გადაბირების სურვილი ცოტა ხნის წინ იტალიის ამჟამინდელმა ჩემპიონმა „მილანმაც" გამოთქვა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასჯა ხორვატულად

გუშინდელ „სარბიელში“ გამცნობდით, რომ ხორვატიის თასის პირველი ფინალური მატჩი სპლიტის „ჰაიდუკსა“ და ზაგრების „დინამოს“ შორის 86-ე წუთზე შეწყდა. მიზეზი ტრიბუნებზე ამტყდარი უწესრიგობანი გახდა. პოლიციამ მოჩხუბართა წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა, რამაც გულშემატკივართა გარდა ფეხბურთელებსაც დაუწვა თვალები.

ხორვატიის ფეხბურთის ასოციაციამ მომხდარზე რეაგირება დაუყოვნებლივ მოახდინა — „ჰაიდუკს“ მომდევნო სამი საშინაო თამაშის გამართვა ცარიელი ტრიბუნების წინ მოუხდება. მატჩის ჩაშლის მომენტში კი მასპინძლები 2:0 იგებდნენ და ეს ანგარიში ძალაში დარჩა.

შეტაკების შედეგად ასმა კაცმა სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო, ხოლო 98 ყველაზე აგრესიული გულშემატკივარი პოლიციაში მიაბრძანეს.

# ლიდსის ზრახვანი

ინგლისური „ლიდს იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და თუ მიზანს მიაღწია, მომავალ სეზონში, ალბათ რამდენიმე ახალ ფეხბურთელს შეიძენს. მიუნხენის „ბაიერნის“ პრესატაშის ცნობით, დევიდ ოლირიმ კარსტენ იანკერი შეიგულა. გერმანიის ჩემპიონთა მენეჯერი ული ჰიონესი კი აცხადებს: „იანკერს „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2003 წელს უსრულდება. მის გაყიდვას ჯერჯერობით არ ვაპირებთ“. „ლიდსს“ კიდევ ერთი ბუნდესლიგელი, ბერლინის „ჰერტას“ ირანელი ფორვარდის ალი დაეის შეძენა სურს, 31 წლის ფეხბურთელმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „ლიდსიდან“ წინადადება მივიღე. პრემიერლიგაში თამაში მსურს და ალბათ გადავალ კიდეც, დევიდ ოლირის ძლიერი გუნდი ჰყავს, მათ რიგებში ასპარეზობა დიდი პატივია“. ინგლისურ და გერმანულ კლუბებს სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით არ გაუმხელიათ.

# გადავა ფლო მანჩესტერში?



ტორე ანდრე ფლო

ნორვეგიელი ფორვარდის, ტორე ანდრე ფლოს აგენტის განცხადებით, მას „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა შეეხმიანა და თავდამსხმელის შესაძლო ტრანსფერზე ესაუბრა. „ფლოს გადაბირებას ბევრი ევროპული გრანდი ცდილობს, მათ შორის „მანჩესტერიც“. ჯერჯერობით ზუსტად ვერაფერს გეტყვით, თუმცა ნებისმიერ წინადადებას განვიხილავთ“ — განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა გუნარ მარტინ ეინერმა.

„ჩელსის“ მთავარი მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი ამბობს: „ფლო, შესაძლოა მართლაც გავყიდოთ, მაგრამ დაბალ ფასზე ნამდვილად არ დავთანხმდებით, თუ რუუდ ვან ნისტელროის სანაცვლოდ 18 მილიონ გირვანქას იხდიდნენ, ნორვეგიელი მასზე ნაკლები რითია“.

# აპრილის ამბანი

ავსტრალიელ კინოვარსკვლავ მელ გიბსონს „მანჩესტერ იუნაიტედზე“ ფილმის შექმნა განუზრახავს, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს თვითონ შეასრულებს. პროექტი თურმე კარგა ხნის დაწყებულია და გადაღებები სეზონის დასაწყისიდან მიმდინარეობს.

ბრიუსელის „ანდერლეხტმა“ ბელგიის ჩემპიონობა 25-ედ მოიპოვა. იქნებ სიმბოლურიც იყოს, რომ პირველობის დასრულებამდე ორი ტურით ადრე „ანდერლეხტმა“ წინა სეზონის ტრიუმფატორი „გენკი“ დაამარცხა და ჩემპიონობა გაინაღდა. ბელგიის ყველაზე ტიტულიანი გუნდი ამ დღეს დიდხანს ელოდა. ხუთი წელი მართლაც დიდი პაუზაა.

გლაზგოს „რეინჯერსი“, ბოლო დროის საუკეთესო შოტლანდიური გუნდი, უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში მეთერთმეტედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. პირველობის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე მან უახლოეს მდევარ „სელტიკს“ 20 ქულით გაუსწრო და მიუღწეველი შეიქნა.

დევიდ ბექემმა თავი გადაიპარსა და... მსოფლიო ალაპარაკდა. ეს ვარცხნილობა დაახლოებით 6,5 მილიონი დოლარი დაჯდა. საქმე ისაა, რომ ბექემსა და ფირმა „ბრილკრიმს“ შორის ახალი შეთანხმება უნდა გაფორმებულიყო, წელიწადში მილიონგირვანქიანი თმის ლაქის, ჟელესა და ამნაირთა რეკლამაში, მაგრამ რად გინდა, დევიდმა თავზე თმა არ დაიტოვა.

ესპანური სატელეკომუნიკაციო გიგანტი „ტელეფონიკა“ აპირებს, უხელმძღვანელოს ევროპის სუპერლიგის პროექტს, რომელიც თავისი არსით ჩემპიონთა ლიგის ამჟამინდელ ფორმატს შეცვლის. შესაძლო მონაწილე გუნდებად ითვლებიან: „ბაიერნი“, „ლევერკუზენი“, „ბორუსია“, „რეალი“, „ბარსელონა“, „მანჩესტერი“, „ლივერპული“, „არსენალი“, „იუვენტუსი“, „მილანი“, „ინტერი“, „აიაქსი“, „პორტუ“ და პსჟ. ლიგა სულ 16 გუნდისგან შედგება, დანარჩენი ორი მონაწილის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

ვინც სათანადო ფორმაში არ იქნება, ევროპის ჩემპიონატზე არ წავიყვანო, აცხადებს ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კევინ კიგანი, რომელიც ევრო 2000-ზე გამარჯვებას აპირებს. გინდაც ალან შირერი გერქვას, თუ ცუდ ფორმაში ხარ, ბელგია — ჰოლანდიაზე ფიქრს თავი დაანებეო, არწმუნებს ნაკრების კანდიდატებს კიგანი.

ზეპ ბლატერმა ერთ-ერთ მორიგ სხდომაზე თანამედროვე ფეხბურთის პრობლემებსა და მომავალ პერსპექტივებზე ისაუბრა. ფიფას პირველმა პირმა საერთაშორისო კალენდრის ჰარმონიზაციის პროექტი წარადგინა, რომელიც 2002 წლიდან უნდა დაიწყოს. ბლატერის თქმით, გარკვეული გეგმაზომიერება ფეხბურთელების გადაღლის პრობლემას მოხსნის და თამაშის სანახაობრივი დონის გაზრდას შეუწყობს ხელს.

თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩის წინ ესპანურმა „ბარსელონამ“ ცხრა ფეხბურთელი სანაკრებო შეხვედრაზე გაუშვა და მთავარ მწვრთნელ ლუის ვან გაალს შემადგენლობის პრობლემა გაუჩნდა. კლუბმა შეხვედრის გადადება მოითხოვა, მაგრამ უარი მიიღო, რის გამოც „ბარსელონამ“ „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ საპასუხო მატჩი არ ითამაშა. ფედერაციამ გუნდი ესპანეთის თასის გათამაშებას მომავალ სეზონშიც ჩამოაშორა და თან ფულადი ჯარიმაც გადაახდევინა.

ინგლისი მომავალი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობას იმსახურებსო, ირწმუნება ფრანგი ვარსკვლავი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი ფეხბურთელი ერიკ კანტონა. „ინგლისი წმინდა საფეხბურთო ქვეყანაა — დასძენს ფრანგი — მსოფლიოში საუკეთესო გულშემატკივრებიც ინგლისელები არიან“.

კარლოს როა, „მალიორკას“ არგენტინელი მეკარე, შესაძლოა კვლავ ფეხბურთს დაუბრუნდეს. შეგახსენებთ, ბრწყინვალედ ჩატარებული სეზონის შემდეგ გოლკიპერი ერთ-ერთი რელიგიური სექტის მიმდევარი გახდა და განაცხადა, სამყაროს აღსასრულის დღე ახლოვდება, რა დროს ფეხბურთია, სულის გადასარჩენად უნდა ვილოცოთო.

ლაციომ რივალდო შეიძინა და „ბარსელონას“ 48 მილიონი დოლარი გადაუხადაო, იუწყებოდა პოპულარული იტალიური გაზეთი „გაძეტა დელო სპორტი“. იქვე რომაელთა პრეზიდენტ სერჟიო კრანიოტის ნათქვამიც ეწერა: „შესაძლოა, „ბარსელონამ“ ეს ინფორმაცია უარყოს, მაგრამ გარწმუნებთ, გარიგება უკვე შედგა“. გავრცელებული ცნობა თავად „ლაციოს“ ხელმძღვანელობამ უარყო. საინტერესოა, საიდან მოიტანეს „გაძეტა დელო სპორტში“ ეს ამბავი.

მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურას, არაერთი



სტამბოლში „გალათასარაის“ ქომაგებმა ორი ლიდსელი მოკლეს

ჯილდოს მფლობელ ფრანც ბეკენბაუერს სოფიის ეროვნულმა სპორტის აკადემიამ საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭა. კაიზერ ფრანცი ბულგარეთში ჩავიდა, სადაც საპატიო სიგელითა და ხარისხით დააჯილდოვეს.

ნიკოლა ანელკა მადრიდის „რეალის“ ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია, თუმცა წლევანდელ სეზონში მაინცდამაინც ვერ გამოირჩევა და ბევრი თვლის, რომ სამეფო კლუბის პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა 35 მილიონი დოლარი ქარს გაატანა, ანელკა რომ იყიდა. ესპანურმა პრესამ საინტერესო ცნობა გაავრცელა. სანსს „იუვენტუსის“ პრეზიდენტ ანიელისთვის შეუთავაზებია, მომეცი ინძაგი, მოგცემ ანელკასო. შედგება გარიგება? საეჭვოა, მაგრამ ვინ იცის...

ოთხი თვის წინ დაპატიმრებულმა მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა ხესუს ხილმა ჯერ იმდენი ქნა, ციხიდან თავდებით დაიძვრინა თავი, ახლა კი პრეზიდენტობაც დაიბრუნა. თუმცა ისიც საკითხავია, რამდენ ხანს დაჰყოფს ხილი თავის სავარძელში — გამომძიებლები ხომ დღემდე არკვევენ, სად აორთქლდა 54 მილიონი დოლარი.

პელე ბრაზილიაში გამეფებულ კორუფციას შეუწუხებია. დიდი ფეხბურთელის განცხადებით, განუკითხაობა და სხვადასხვა სფეროს მაღალჩინოსანთა მლიქვნელობა მისი სამშობლოს სახელს საქვეყნოდ არცხვენს. „ნარკომაფია თითქმის ყველა ქალაქს აკონტროლებს, ბიზნესმენებს არავინ უწყობს ხელს და ეკონომიკა ერთ ადგილზე გაიყინა“ — ამბობს პელე.

ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებს შემოსავლები დაუთვალა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტ ფულს მათ იტალიაში უხდიან, მდიდართა შორის უმდიდრესი კი იუვენტუსელი ალესანდრო დელ პიეროა. წელიწადში ხელფასის სახით იგი 5,6 მილიონს, ხოლო პრემიებისა და რეკლამების ჩათვლით 11 მილიონ დოლარს იღებს. მეორე რონალდოა, რომელიც 9,2 მილიონ დოლარს შოულობს.

რომის სახალხო ბრალმდებელი დოკუმენტაციის ჩხრეკით აპირებს იმის გარკვევას, სამართლიანად ერგო თუ არა არგენტინელ ხუან სებასტიან ვერონს იტალიის მეორადი მოქალაქეობა, რასაც საფუძვლად ფეხბურთელის რომელიღაც წინაპრის იტალიელობა დაედო. გამოძიება კი იმიტომ დაიწყო, რომ იტალიური ფეხბურთის კანონების თანახმად გუნდს უფლება არა აქვს, ერთ შეხვედრაში სამზე მეტი არაევროკავშირელი ათამაშოს, ასეთი კი „ლაციოში“ ოთხია. თუ ვერონს კანონდარღვევა დაუმტკიცდა, ალბათ, მკაცრად აგებინებენ პასუხს.

სიმღერა „She Only Fancies Him Cos He Looks Like David Beckham“ ინგლისურ ჰიტ-ალბუმში შევიდა. პირველად კომპოზიცია „ოლდ ტრეფორდზე“ შესრულდა, „იუნაიტედისა“ და „ვესტ ჰემის“ მატჩის წინ. მასპინძლებმა 7:1 მოიგეს, დამსწრე 61 ათასი გულშემატკივარი კი გოლებთან ერთად ახალმა სიმღერამ აღაფრთოვანა. „იან სანტ პიტერსისა“ და კემპბელ დოუნის ქმნილება ქართულად ასე ჟღერს: „იმ ქალს ის კაცი მხოლოდ იმიტომ ევასა, რომ დევიდ ბექემს ნაგავს“.

ტურნირი, რომელიც 10 ივნისს დაიწყება და 2 ივლისს დასრულდება, ოთხწლეულის საუკეთესო ევროპულ გუნდს გამოავლენს. ევრო 2000-ის თანამასპინძლები, ჰოლანდიელები, გამლებით ემზადებიან. ისინი ჩემპიონატს ახალ ხუთგულდენიან მონეტას უძღვნიან, რომელსაც ნიკელისა და ბრინჯაოსგან ჩამოასხამენ და მასზე ქვეყნის დედოფალ ბიატრისს გამოსახავენ. იოჰან კრუიფი ახალ ფულად ერთეულს პირველი ჩაუშვებს ბრუნვაში.

უცნაური წელიწადია და მეტი არაფერიო, ამბობს „რომას“ თავკაცი ფაბიო კაპელო, თან იტალიურსა და ესპანურ ფეხბურთს შორის სხვაობაზე საუბრობს. ევროთასების დამაგვირგვინებელ ეტაპზე ერთი იტალიური გუნდიც ვერ მოხვდა, ესპანეთმა კი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში სამი წარმომადგენელი გაიყვანა. ბევრი ალაპარაკდა იმაზე, რომ ესპანური ფეხბურთი იტალიურს სჯობს. „ეს სიმართლე არ გახლავთ. უბრალოდ, ესპანელთათვის წარმატებული წელიწადია, იტალიელთათვის კი არა“ — განაცხადა მადრიდის „რეალის“ ყოფილმა მწვრთნელმა.

ფიფას ნაკრები ბოსნიას ეწვია და იქაურ ნაკრებთან საქველმოქმედო ამხანაგური მატჩი ჩაატარა. სტადიონზე შეკრებილმა 25 ათასმა ქომაგმა წარმტაცი სანახაობა ნამდვილად ვერ იხილა. გოლიც ერთადერთი გავიდა — განელი აბედი პელეს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი რობერტო ბაჯომ გაიტანა. შემოსული ფულის ნაწილი სარაევოს ობოლ ბავშვთა თავშესაფარს გადაეცა, რომელიც ფეხბურთელებმა შეხვედრის დაწყებამდე მოინახულეს.

ქალაქი კონსტანცა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს და რუმინეთში კარგ საკურორტო ადგილად ითვლება. იქაურ სტადიონს ცოტა ხნის წინ სახელი გადაარქვეს და „ფარულის“ ნაცვლად „გეორგე ჰაჯი“ უწოდეს. ჰაჯი რუმინეთის საუკუნის ფეხბურთელია და რადგან კონსტანცაში დაიბადა, ამგვარი პატივი სწორედაც რომ დაიმსახურა.

ღამით, 6 აპრილი რომ დადგა, სტამბოლში ორი ინგლისელი — 37 წლის კრისტოფერ ლოფტუსი და 40 წლის კევინ სპეიტი მოკლეს. ისინი „ლიდს იუნაიტედის“ ფანები იყვნენ და გუნდს თურქეთში უეფას თასის ნახევარფინალურ მატჩზე ახლდნენ. ამ ტრაგედიის შემდეგ უეფამ დაადგინა — „გალათასარაის“ გულშემატკივრები ინგლისში არ ჩავლენ და საპასუხო შეხვედრაში „ელანდ როუდზე“ საყვარელ გუნდს ვერ უქომაგებენ.

უფრო მეტად ოდნავ ბოლომდე:

ყრმა რონალდი 2000 წლის 6 აპრილს მილანის ჰოსპიტალ „მადონინაში“ მოევლინა ქვეყანას. ჩვილის მშობლები მილენ დომინგუში და რონალდო სიხარულით ცას სწვდებიან. ბრაზილიელი ვარსკვლავი თავისი შვილის დაბადებას დაესწრო და ექთნებს პატარა რონალდის პირველი სამოსის ჩაცმაში დაეხმარა.

შაბათ დღეს, 22 აპრილს, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „საუთჰემპტონს“ სძლია და ბოლო რვა სეზონში მეექვსედ გახდა პრემიერლიგის ჩემპიონი. სათამაშო კვირა მეტად გადატვირთული გამოდგა. წინა ოთხშაბათს გუნდი მადრიდის „რეალთან“ დამარცხდა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალს მიღმა დარჩა.

ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ესპანურმა ფეხბურთმა გაიბრწყინა. ქვეყნის ერთბაშად სამმა წარმომადგენელმა — „რეალმა“, „ბარსელონამ“ და „ვალენსიამ“ ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 24 მაისს ფინალში ერთი ესპანური გუნდი მაინც ითამაშებს. ნახევარფინალში მოხვდა გერმანიის ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნიც“, რომელიც მადრიდის „რეალს“ დაუპირისპირდა.

ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი ფერენც პუშკაში 7 აპრილს 73 წლის გახდა. იუბილარის პატივსაცემად ამხანაგური მატჩი გაიმართა. ერთმანეთის პირისპირ ქვეყნის პარლამენტარები და პუშკაშის მეგობარი ვეტერანი ფეხბურთელები წარდგნენ. გულშემატკივრებმა „დიდი გუნდის“ ძველი ვარსკვლავები გაიხსენეს, ვისითაც სამართლიანად ამაყობს უნგრელი ხალხი.

ძაღლი ადამიანის მეგობარია, იგი სახლს დარაჯობს, ჩემოდანში ნარკოტიკებს ეძებს და სხვა მრავალ სასიკეთო საქმეს სჩადის. მავანმა არგენტინელმა ქომაგმა კი ოთხფეხა ერთგული ფეხბურთელებზე დაგეშა. არგენტინის მესამე დივიზიონის ერთ-ერთი მატჩის ცქერისას გულშემატკივარს ნერვებმა უმტყუნა და თავისი გუნდის მეტოქე ფეხბურთელს ძაღლი მიუქსია.

წლეულს საფრანგეთის ჩემპიონი „მონაკო“ გახდა. მან პირველობის დასრულებამდე სამი ტურით ადრე გაინაღდა ტიტული და ბოლოს 1997 წელს მიღწეული წარმატება გაიმეორა. ეს გუნდის ისტორიაში მეშვიდე ტრიუმფია.

ჭაბუკი პერუელი ხოსე მიატა ტორესი, რომელიც ერთ-ერთი ქალაქის სტადიონზე მუშაობდა, ტრაგიკულად დაიღუპა. ქვეყნის ჩემპიონატის მატჩის დროს ტრიბუნებზე მძლავრი აფეთქების ხმა გაისმა. მავანის მიერ ნასროლი მაშხალა 17 წლის ტორესს თავში მოხვდა და ადგილზევე გამოასალმა სიცოცხლეს.

ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებულ რონალდოს დაბრუნება უიღბლო გამოდგა. მოედანზე ექვსი წუთის შესულ ბრაზილიელს კვლავ დაუზიანდა ნატკენი მუხლი, იგი საკაცით გაიყვანეს მინდვრიდან. რამდენიმე საათის შემდეგ პარიზში მას ხელახალი ოპერაცია გაუკეთეს. ექიმები წინასწარმეტყველებენ, რომ რონალდო 2001 წლის დასაწყისში ითამაშებს.

ჯერაც ვერ მოეფინა ნათელი კოლუმბიური „ატლეტიკო ნასიონალის“ 33 წლის ფეხბურთელის ანდრეს ესტრადას უგზო-უკვლოდ გაუჩინარების ფაქტს. ცნობილია, რომ იგი შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს, თუმცა ბოროტმოქმედთა ვინაობა გაურკვეველია. გამოსასყიდი თანხის თაობაზე ესტრადას ოჯახს ჯერჯერობით არავინ დაკავშირებია.

ჰოლანდიის პირველობის დასრულებამდე სამი ტურით ადრე პსვ-მ უძლიერესის ტიტული მოიპოვა. ეს გუნდის ისტორიაში მეთხუთმეტე ტრიუმფია. პსვ-ს თავკაცმა ერიკ გერეტსმა თავისი განწრთნილი მესამე გუნდი გააჩემპიონა. წინა სეზონებში იგი ბელგიაში მოღვაწეობდა. ჯერ „ლირსი“ ალაზევა, შემდეგ „გენკი“.

# საქართველოს უფლება: ოთხი გუნდი კორაჩის თასზე

ამ დღეებში სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) გამოაქვეყნა ევროპის ქვეყნების რეიტინგი, რომელშიაც ბოლო სამი სეზონის შედეგებია შეტანილი. ამ რეიტინგის მიხედვით ნაწილდება ქვეყნებს შორის ადგილები ევროთასებზე.

რეიტინგს სათავეში იტალია უდგას (230, 667 ქულა), მიუხედავად იმისა, რომ ამ სეზონში მისმა კლუბებმა ევროთასებზე მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწიეს. მეორეა საბერძნეთი (182,5 ქულა) — მან ესპანეთი ჩააქვეითა მესამე ადგილზე (124,167 ქულა). ბერძნებმა წლეულს ორი ევროთასი მოიგეს: „პანათინაიკოსმა“ — ევროლიგა, აეკ-მა — საპორტას თასი. მეოთხეადგილოსანი ლიტვა (80,802 ქულა) თავის მდგომარეობას პირველ რიგში კაუნასის „ჟალგირისს“ უნდა უმადლოდეს, რომელმაც შარშან ევროლიგაში იმარჯვა. ქულათა სოლიდური რაოდენობა ლიტვას „ლიეტუვოს რიტასის“ საპორტას თასის ნახევარფინალში გასვლამ მოუტანა.

საქართველო ფიბა-ს რეიტინგში 36-ე ადგილზეა 0,117 ქულით. ჩვენს უკან თოთხმეტი ქვეყანაა, ოღონდ ჩასათვლელი ქულები მხოლოდ 37-ე ალბანეთს აქვს — 0,042. ანდორას, სომხეთს, აზერბაიჯანს, დანიას, გიბრალტარს, ირლანდიას, მალტას, მოლდოვას, მონაკოს, ნორვეგიას, სან მარინოს, შოტლანდიას და უელსს ქულები საერთოდ არა აქვთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლო სამი სეზონის განმავლობაში ამ ქვეყნის კლუბებს ევროთასებზე არ უასპარეზიათ.

ცხადია, რაც უფრო მაღლაა ქვეყანა რეიტინგში, მით უფრო მეტი გუნდის გამოყვანა შეუძლია ევროთასებზე. თუმცა, ერთი ქვეყნიდან გუნდების ჯამური რაოდენობა შვიდს არ უნდა აღემატებოდეს. მაგალითად, იტალიას და საბერძნეთს ევროლიგაში სამი გუნდის წარდგენის უფლება აქვთ, საპორტას თასზე და კორაჩის თასზე — ორ-ორის. ლიტვა სამ გუნდს წარადგენს ევროლიგაში, ერთს — საპორტას თასზე, სამს — კორაჩის თასზე.

ფიბა-ს სრულ რეიტინგს და ევროთასებზე ქვეყნების წარმომადგენლობას უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ. მანამდე კი საქართველოზე ვთქვათ. დაბალი სარეიტინგო ადგილის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანას უფლება აქვს კორაჩის თასზე წარადგინოს ოთხი გუნდი. სამწუხაროდ, ევროლიგაში და საპორტას თასზე ქართველებისთვის ადგილი არ მოინახა. ოთხ-ოთხი გუნდის გამოყვანის უფლება, ოღონდ მხოლოდ კორაჩის თასზე აქვთ იმ ქვეყნებს, რომლებსაც რეიტინგში 20-50 ადგილები უკავიათ.

# სამი დღით გვიან, საბოლოოდ გარკვეული სისტემით

საქართველოს ჩემპიონატი

როდის დაიწყება პლეი ოფი? ეს კითხვა სადღეისოდ ყველაზე აქტუალურია კალათბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის. ახლა, როცა შინაურ კალათბურთში ძალიან ბევრი რამ გაირკვა, ქომაგებმა, ცხადია, ნახევარფინალებს მიაპყრეს ყურადღება, მაგრამ მათ თვის ბოლომდე მოცდა მოუწევთ. საქართველოს ეროვნული ნაკრები, მოგეხსენებათ, ახლა დანიაში გასამგზავრებლად ემზადება, სადაც ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე უნდა იასპარეზოს. დანიიდან გუნდი 24 მაისს დაბრუნდება და შინაურ ფრონტზე უმძიმესი ბრძოლების წინ ნაკრების წევრებს დასვენების საშუალება რომ ჰქონდეთ, ფედერაციამ წინასწარ დათქმული 27 მაისის ნაცვლად გადაწყვიტა პლეი ოფის ნახევარფინალები 30-სთვის გადაეტანა. ასე რომ, ეროვნულ გუნდში გამოძახებულ „ბასკოს“, „აზოტისა“ თუ სდასუ-ს კალათბურთელებს დანიური ბატალიების შემდეგ ოდნავ ამოსუნთქვის საშუალება მაინც მიეცემათ.

გარდა ამისა, საბოლოოდ გაირკვა ნახევარფინალების ჩატარების სისტემა. გუნდები ითამაშებენ მიმოსვლით, შინ და სტუმრად. „ბასკო“ ბათუმში, „აზოტი“ კი რუსთავში გამართავს შეხვედრებს. ცხადია, აქეთაც ეწვევიან თავიანთ დედაქალაქელ მოწინააღმდეგეებს, შესაბამისად, სდასუ-ს და სტუ-ს.

რაკი „ბასკომაც“ და „აზოტმაც“ რეგულარულ ჩემპიონატში მეტოქე გუნდებზე უკეთ იასპარეზეს, მათ პლეი ოფში მოედნის უპირატესობა მიენიჭათ. ბათუმელებიც და რუსთაველებიც პირველ შეხვედრებს სტუმრად ჩაატარებენ, მომდევნო ორს საკუთარ კედლებში გამართავენ, შემდეგ, თუ საჭირო შეიქნა, ისევ თბილისში ჩამოვლენ და თუ მეხუთე, გადამწყვეტი მატჩიც აუცილებელი გახდა, კვლავ შინ იწვევენ მეტოქეებს.

პლეი ოფის ნახევარფინალი ფედერაციამ თავიდანვე სამ მოგებამდე დააწესა და ეს აღარ გადაუთქვამს. ასევე სამ გამარჯვებამდე გასტანს ფინალური დაპირისპირებაც.

**გიორგი ბიჭაშვილი**

# გორული 32

*გუშინწინ ვერის ბაღში VII-XII ადგილებისთვის მოთამაშე გუნდებმა მეორე წრე დაიწყეს.*

3 მაისი

**დინამო 92:75 სსუ**

**შევარდენი 81:65 ასკ**

**თსუ 74:60 გორი**

4 მაისი

**დინამო 90:66 ასკ**

**გორი 90:58 შევარდენი**

**თსუ 119:73 სსუ**

„გორმა“ „პერსონალური მიღწევა“ გაიმეორა — სადებიუტო სეზონში მეორედ იმარჯვა 32 ქულის სხვაობით. ნოემბერში ქართლელებმა სწორედ ამდენით მოუგეს ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონ „ვითას“ (111:79), გუშინ კი მათ „შევარდენსაც“ იგივე დამართეს.

საქართველოს ჩემპიონატი

**7 ტური**

**VII-XII ადგილები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 28 | 16 | 12 | 2441:2364 | 44 |
| დინამო | 29 | 13 | 16 | 2223:2318 | 41 |
| შევარდენი | 29 | 12 | 17 | 2052:2223 | 40 |
| სსუ | 29 | 5 | 24 | 2069:2660 | 34 |
| ასკ | 29 | 3 | 26 | 2064:2649 | 32 |
| გორი | 28 | 4 | 24 | 1697:2062 | 28 |

*გორს დაკლებული აქვს ოთხი ქულა, შევარდენს და დინამოს — თითო-თითო*

# სუპროლიგა 2000-2001

FIBA SuproLeague

# „უაილდ ქარდებისთვის“ ბრძოლა დაიწყო

2000-2001 **წლების** სუპროლიგაში (ევროლიგის შემცვლელი შეჯიბრება) 22 ადგილი, ქვეყნების მიხედვით, უკვე განაწილებულია. დარჩენილ ორ ადგილს სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა) თავის შეხედულების მიხედვით გამოუძებნის მფლობელებს. ამგვარი, ე.წ. „უაილდ ქარდების“ გაცემის წესი სიახლეა, ფიბა-მ პირველად მიმართა ამ ხერხს ევროპის საკლუბო კალათბურთის არსებობის მანძილზე.

სუპროლიგაში ერთი ქვეყნიდან მაქსიმუმ სამ კლუბს შეუძლია ასპარეზობა. საბერძნეთს, ლიტვას და იტალიას სუპროლიგაში სამ-სამი ადგილი გარანტირებული აქვთ, ამიტომ „უაილდ ქარდებისთვის“ ბრძოლაში ისინი მონაწილეობას ვერ მიიღებენ. „უაილდ ქარდს“ ვერ მიიღებს სლოვენიაც, თუმცა სუპროლიგაში მას ერთი ადგილი დაჯავშნული აქვს. სლოვენია ფიბა-ს რეიტინგში მე-13 ადგილზეა (სუპროლიგაში ადგილი რეიტინგში 1-12 ადგილებზე მყოფებს ეკუთვნით), მაგრამ მხსნელად საბერძნეთი მოევლინა: ამ ქვეყანას სუპროლიგის ოთხი საგზური მოუგროვდა, რის გამოც ფიბა-მ მისი კუთვნილი, მაგრამ ზედმეტი ადგილი რეიტინგში მე-13 სლოვენიას უბოძა.

ამ დღეებში ფიბა-მ იმ ქვეყნებს მიმართა, რომლებსაც სუპროლიგაში ერთი ან ორი ადგილი უკვე განაღდებული აქვთ. ყველა ამგვარ ქვეყანას უფლება ეძლევა წარუდგინოს ფიბა-ს ორ-ორი კლუბი, რომლებიც, ეროვნული ფედერაციების აზრით, იმსახურებენ ადგილს სუპროლიგაში. ამრიგად, „უაილდ ქარდებისთვის“ ბრძოლაში ესპანეთი, საფრანგეთი, თურქეთი, იუგოსლავია, ისრაელი, რუსეთი, ხორვატია და გერმანია ჩაებნენ.

ფიბა-მ არც რეიტინგში მე-13 ადგილზე ქვემოთ მყოფები დაივიწყა და ანალოგიური წინადადებით მიმართა ჩეხეთს, ბელგიას, ინგლისს, ფინეთს, ჰოლანდიას, პორტუგალიას, სლოვაკეთს, შვედეთს და შვეიცარიას.

ფიბა განიხილავს წარმოდგენილი კლუბების კანდიდატურებს და ამის შემდეგ გასცემს ორ „უაილდ ქარდს“, დაახლოებით 25 მაისისთვის.

# სოხუმში დაბადებულს სელტიქსი ეპატიჟება

**ათენის** აეკ-ის და საბერძნეთის ნაკრების ცენტრ იაკოვოს ცაკალიდისს კარგი სეზონი ჰქონდა. გუნდთან ერთად საპორტას და საბერძნეთის თასები მოიგო, ამჟამად კი თანაქალაქელ „პანათინაიკოსს“ ებრძვის ქვეყნის ჩემპიონატის ფინალში გასასვლელად. ცაკალიდისი აეკ-ის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, 21 წლისაა და მისი სიმაღლე 218 სანტიმეტრია. ასეთ კაცს უყურადღებოდ ვინ დატოვებს? ჰოდა, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ათზე მეტი კლუბის წარმომადგენლებმა უკვე გააბეს წინასწარი მოლაპარაკება ცაკალიდისთან და მის აგენტთან.

ყველაზე მეტად „ბოსტონ სელტიქსი“ აქტიურობს. მისი წარმომადგენლები უკვე ბევრჯერ იმყოფებოდნენ აეკ-ის მატჩებზე, ამჟამადაც საბერძნეთში არიან და აეკ — „პანათინაიკოსის“ შეხვედრებზე დასწრებას აპირებენ. ამასთანავე, „სელტიქსმა“ დაუფარავად განაცხადა ცაკალიდისის დასაკუთრების სურვილი და დასძინა, თუკი კალათბურთელი თანახმა იქნება, ჩვენ მისი აყვანისთვის მზად ვართო.




საპორტას თასის ფინალი. იაკოვოს ცაკალიდისმა ბოლონიის „კინდერს“ ჩაუტენა

ცაკალიდისს ამ ზაფხულს უმთავრდება კონტრაქტი აეკ-თან, რის შემდეგაც თავისუფალი აგენტი ხდება. კალათბურთელი ამბობს, რომ აპირებს ნბა-ს წინასადრაფტო შეკრებაზე გამგზავრებას, მაგრამ სანამ ამას გააკეთებს, მანამდე აეკ-ის ხელმძღვანელებს დაელაპარაკება.

აეკ-ს კი ასე ადვილად არ ეთმობა ცაკალიდისი. ამბობენ, კლუბს მისთვის ოთხლიანი და ძველთან შედარებით გაცილებით დიდთანხიანი კონტრაქტი აქვს გამზადებული, რომლის დეტალებსაც კალათბურთელის აგენტი აზუსტებს. თავის მხრივ, ცაკალიდისის აგენტმა სტივ კოსტალასმა ნათელი ვერ მოჰფინა საქმეს: „მართალია, იაკოვოსის კონტრაქტს ვადა გასდის, მაგრამ აეკი სერიოზულად ფიქრობს მის შენარჩუნებას ერთი ან რამდენიმე წლით“.

კომენტარი აეკ-ის ვიცე-პრეზიდენტ იანის გრანიცასს თხოვეს, მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღეს: „ამჟამად ერთადერთი რამ გვაინტერესებს — საბერძნეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში „პანათინაიკოსთან“ წარმატებული თამაში. დანარჩენ ამბებზე ფიქრისთვის არ გვცალია“.

ცაკალიდისი, უეჭველია, იპოვის თავის გზას. მისი მონაცემების და ოსტატობის პატრონს გუნდის გამონახვა არ გაუჭირდება. ჩვენ კი ისღა დავამატოთ, რომ იაკოვოს ცაკალიდისი საქართველოში, სოხუმშია დაბადებული და გაზრდილი. კალათბურთის თამაშიც აქ დაიწყო, მაგრამ ტომით ბერძენი, 90-იანი წლების დასაწყისში ოჯახთან ერთად ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდა. მისი საკალათბურთო ნიჭი და უნარიც სრულად საბერძნეთში წარმოჩნდა.

სწრაფად და შეღავათიან ფასებში ვასრულებთ
დიზაინერულ, საპროექტო, სამშენებლო,
სარემონტო და შენობის გამაგრებით სამუშაოებს
Tel. 96 56 67

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)



სიეტლი — იუტა. მატჩის გმირი გერი პეიტონი (მარჯვნივ) და იუტელი ჯონ სტოკტონი

# პეიტონმა ორკესტრი დაადუმა

**დასავლეთი**

3 მაისი

| | |
|---|---|
| იუტა | 2 |
| სიეტლი | 2 |

**სიეტლი 104:93 იუტა**

სიეტლი: პიეტონი (35 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა, 6 ჩაჭრა), ბერი (16), ლუისი (20), ბეიკერი (18), გრანტი (6); ფოსტერი (6), ვილიამსი (3), პერსონი (2)

იუტა: სტოქტონი (13 ქულა, 12 პასი), ჰორნაჩეკი (16), რასელი (26), მელოუნი (23 ქულა, 14 მოხსნა), პოლინაისი (4); პადჯეტი (5), ოსტერტაგი (3), ეისლი (3), გილიამი

ცუდი დღე ადგათ დასავლელ ბობოლებს. ჯერ იყო და „საკრამენტომ“ მოუგო მეოთხე თამაში „ლეიკერსს“ და სერიაში ანგარიში გაათანაბრა, ერთი დღის შემდეგ კი „საკრამენტოს“ არც ვლადიმერ სტეფანიას „სიეტლი“ ჩამორჩა და „იუტასთან“ 2:2 გახადა სერიის ანგარიში. „სონიქსის“ მეორე წრეში თამაში უტოპიიდან რეალობად იქცა. ჯერ კიდევ პლეი ოფის დაწყების წინ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ „ზებგერითები“ კარლ მელოუნსა და მის „ჯაზს“ ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდნენ. სოლტ ლეიკ სიტიში „იუტას“ ორი იოლი გამარჯვებაც თითქოს „სიეტლის“ აღსასრულის მომასწავებელი იყო, მაგრამ საქმე მეხუთე, გადამწყვეტ თამაშამდე მივიდა, „იუტა“ კი შოკშია.

გერი პეიტონმა და მისმა თანაგუნდელებმა დაამტკიცეს, რომ მათაც შეუძლიათ თამაში და მათი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია. ორ სიეტლურ მატჩში, განსაკუთრებით მეორეში, „ჯაზის“ ხმა „ზებგერითების“ გრიალმა შთანთქა.

სტეფანიას გუნდის ამ ორივე გამარჯვების უპირველესი გმირი, რაღა თქმა უნდა, 30 წლის გერი პეიტონია, რომელსაც წლეულს საუკეთესო სეზონი ჰქონდა თავის ათწლიან კარიერაში. პლეი ოფში იგი პირდაპირ კაშკაშებს. 35 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა, 6 ჩაჭრა, აი, პეიტონის სტატისტიკა. ეს სამმაგი დუბლი პეიტონისთვის საპლეიოფო კარიერაში პირველია, თასისთვის ბრძოლაში მას ამგვარი მატჩი ჯერ არ ჩაუტარებია. ეს სტატისტიკის მიხედვით, ისე კი პეიტონმა „სიეტლს“ თამაში მოაგებინა. ეს სათქმელადაა იოლი, თორემ „იუტას“ დამარცხებას რომ ყოველი მეორე ვერ ახერხებს, ამას რაღა თქმა უნდა.

მატჩის გმირმა არც სხვა თანაგუნდელების გარჯა დაივიწყა — „ჩვენ რომ მეხუთე თამაშიც ისე ჩავატაროთ, როგორც ამ საღამოს, რაღა უნდა გაგვიჭირდეს. ყველაფერი უფრო იოლია, როცა ყველა კარგად თამაშობს“ — თქვა სიეტლელთა ლიდერი. მართლაც, „სიეტლმა“ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. „სონიქსი“ ბრწყინავდა გუნდურ და ინდივიდუალურ თამაშშიც, როგორც მეტოქის, ასევე საკუთარ ნახევარზე, დაცვაში კი საერთოდ შეუდარებელი იყო.

„იუტას“ ურიგოდ არ დაუწყია. პირველი მეოთხედი თანაბარ ბრძოლაში გაილია და სტუმრები სამი ქულითაც იყვნენ წინ, მაგრამ აი, დაიწყო მეორე თორმეტწუთეული და მასთან ერთად „ჯაზის“ კოშმარიც. მასპინძელთა ზემძლავრი დაცვით გაბრუებული სტუმრები სროლასაც იშვიათად ახერხებდნენ და თანაც არაზუსტად, ბურთი არა და არ ჩადიოდა მასპინძელთა კალათში. „ჯაზმა“ თითქმის ყველა შეტევა გააფუჭა. ფარზე „სიეტლი“ ბატონობდა, ყველა აცილებული ბურთი მასპინძელთა კერძი ხდებოდა. ბებერი გრანტი და ჭაბუკი ლუისი ბურთებს აფარებდნენ, პეიტონი და ბერი ჭრიდნენ, „იუტა“ უბრალოდ შოკში იყო. ასეთი ცუდი მეოთხედი „ჯაზს“ არსებობის მანძილზე არ ჰქონია. სტუმრებმა თორმეტწუთეული 7:24(!) დათმეს. თავიდან „იუტა“ ვერც მომდევნო მეოთხედში გამოფხიზლდა და მესამე პერიოდის შუაწელს სხვაობამ 17 ქულას უწია — 65:48.

მკაცრმა დაცვითმა თამაშმა გვარიანად დაღალა „სიეტლი“. „იუტაც“, როგორც იქნა, გამოფხიზლდა და მესამე მეოთხედიდან სხვაობამ კლება იწყო. ბოლო მეოთხედის მეხუთე წუთზე ოქროსხელება ჯეფ ჰორნაჩეკმა თავისი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო და „იუტა“ ორ ქულამდე წამოეწია „სონიქსს“ — 80:82, მაგრამ სხვაობის ბოლომდე გაქვითვა ველარ მოახერხა. აქ პეიტონმა ორი, ლუისმა კი ერთი საჯარიმო ჩააგდეს, იუტელმა გრეგ ოსტერტაგმა ერთი საჯარიმოთი უპასუხა და დადგა პეიტონის ჯერიც. მან სამქულიანით და საჯარიმოთი ზედიზედ ექვსი ქულა მიითვალა (სულ პეიტონს ბოლო მეოთხედში 15 ქულა მოუგროვდა) და თავისიანები 91:81 დააწინაურა. ამ სხვაობის დაფარვა კი „იუტასთვის“ შეუძლებელი აღმოჩნდა — იგი უკვე საბოლოოდ გატეხილიყო.

ძლეულმა სტუმრებმა სხვა რომ ვეღარაფერი მოახერხეს, უხეშობით სცადეს ფონს გასვლა. კარლ მელოუნი ფარქვეშ შეჭრილ პეიტონს ეუხეშა, რამაც მათი წაკინკლავება გამოიწვია. მსაჯებმა ორივე მოჩხუბარი ტექნიკურებით „დაასაჩუქრეს“. მაგრამ ამან იუტელთა ლიდერი ვერ დააშოშმინა და მატჩის დამთავრებამდე 24 წამით ადრე თამაშიდანაც გავარდა. მსაჯებმა არც მელოუნის თანაგუნდელები — ჰორნაჩეკი და ოსტერტაგი „გაანაწყენეს“ და თითო ტექნიკური მათაც არგუნეს. თავის შეგირდთა მღელვარება „იუტას“ მწვრთნელ ჯერი სლოუნსაც გადაედო. ამ ღირსეულმა კაცმა თავი ვერ შეიკავა და მსაჯებთან კამათისთვის ასევე ტექნიკური ჯარიმა მიიღო. აბა, რა ძნელი მისახვედრია, რომ ამ ტექნიკურების ზღვამ „სიეტლს“ გამარჯვება გაუადვილა.

სერიის მეხუთე და გადამწყვეტი შეხვედრა 5 მაისს სოლტ ლეიკ სიტიში გაიმართება.

**ირაკლი ფირაშვილი**

**იტალია**

პლეი ოფის მეოთხედფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| კინდერი | 3 |
| ვიოლა | 2 |

**კინდერი 61:43 ვიოლა**

პლე ოფის ნახევარფინალი
(სამ მოგებამდე)

ფორტიტუდო — მიულერი
კინდერი — ბენეტონი

# დივაცი: წლის ქველმოქმედი

ევროპულ საკალათბურთო ასოციაციაში მრავალი ოფიციალური ტიტულის გარდა არსებობს არაოფიციალურიც — ყველაზე ქველმოქმედი მოთამაშე. ტიტული ჯონ კენედის სახელობისაა, 1975 წლიდან თამაშდება და მისი მფლობელის ვინაობას პროფესიულ კალათბურთზე მწერალთა ორგანიზაცია ასახელებს. წლეულს ეს პატივი „საკრამენტო კინგზის“ იუგოსლაველ ცენტრ ვლადე დივაცს ერგო. იგი მოედანზე ერთი ახირებული და ჯაჯღანა კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მას თურმე უზარმაზარ სხეულში კეთილი გული უძგერს და მზადაა, მსოფლიოს ლამის ყველა გაჭირვებულს დახმარების ხელი გაუწოდოს. 216-სანტიმეტრიანი თეთრი დევკაცი განსაკუთრებით მგრძნობიარეა ბავშვთა მიმართ და მუხლჩაუხრელად შრომობს, რომ უპატრონო ბავშვებს გაჭირვება ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს. ცხადია, დივაცი ამას იმიტომ არ აკეთებს, რომ რაღაც ტიტული დაისაკუთროს.

ამ ერთი წლის განმავლობაში დივაცმა უამრავი კეთილი საქმე გააკეთა. იგი გახლავთ ორგანიზაციის — „სპორტი ნარკოტიკების წინააღმდეგ“ ნებაყოფლობითი ელჩი და ბევრსაც მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყნებში. ამას წინათ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში იმყოფებოდა, სადაც მთავრობათა წარმომადგენლებს შეხვდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო უპატრონო ბავშვთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

დივაცს არც თავისი მშობლიური, აოხრებული იუგოსლავია დავიწყებია. იგი ფონდ G7-ის ერთ-ერთი დამაარსებელია, სხვა ექვს ცნობილ იუგოსლაველ კალათბურთელებთან ერთად. ფონდი ეხმარება უპატრონო ბავშვებს, აგრეთვე მათ, ვინც იუგოსლავიის დაბომბვის შედეგად მშობლები და სახლკარი დაკარგეს. მან და მისმა მეუღლემ, ანამ, ბელგრადელი ბავშვი იშვილეს, ვისი მშობლებიც ომს ემსხვერპლნენ. დივაცის ინიციატივით იუგოსლავიის ნაკრებმა თამაშიც გამართა. თანხა (დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი) ობლებისთვის ტანსაცმელის და სხვა აუცილებელი ნივთების შეძენას მოხმარდა. დივაცმა საკუთარი სახსრებით ამერიკაში შეიძინა ათეული ათასი სათამაშო და იუგოსლავიაში ბავშვებს შობის დღესასწაულზე გაუგზავნა. ძნელია მის ყველა საქველმოქმედო საქმეზე საუბარი.

დივაცი ერთადერთი კეთილი კაცი როდია ნბა-ში, ასე რომ, ყველაზე ქველმოქმედი მოთამაშის ტიტულს სხვა ნომინანტებიც ჰყავდა — რეი ალენი (მილუოკი), ეისი გრინი (ლეიკერსი), აარონ მაკკი (ფილადელფია), რობერტ პეკი (დალასი), ჯეისონ ვილიამსი (ნიუ ჯერსი), ჯერომ ვილიამსი (დეტროიტი). ნომინანტთა სიაში გახლდათ აგრეთვე „შარლოტის“ ყოფილი უკანახაზელი ბობი ფილზი, რომელიც რამდენიმე თვის წინ ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

**ივანე კობიაშვილი**



ვლადე დივაცი

**საფრანგეთი**

პლეი ოფის მეოთხედფინალი
(ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ლიმოჟი | 2 |
| ლე მანი | 1 |

**ლიმოჟი 80:72 ლე მანი**

| | |
|---|---|
| პო ორტეზი | 2 |
| პსჟ | 1 |

**პო ორტეზი 75:64 პარი სენ ჟერმენი**

პლე ოფის ნახევარფინალი
(ორ მოგებამდე)

ვილერბანი — სტრასბური
პო ორტეზი — ლიმოჟი

**ესპანეთი**

პლეი ოფის მეოთხედფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 1 |
| უნიკახა | 2 |

**უნიკახა 56:54 ბარსელონა**

| | |
|---|---|
| კახა სან ფერნანდო | 1 |
| ტაუ | 2 |

**ტაუ 59:50 კახა სან ფერნანდო**

| | |
|---|---|
| რეალი | 3 |
| კანარიასი | 0 |

**კანარიასი 51:53 რეალი**

| | |
|---|---|
| ესტუდიანტესი | 3 |
| პამესა | 0 |

**პამესა 81:94 ესტუდიანტესი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 30-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 5 მაისი | | | |
| 001 | კარლსრუე-ზანქტ პაული | 3,1 | 3,1 | 1,8 |
| 002 | ალემანია-კობუსი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| | 6 მაისი | | | |
| 003 | ფორტუნა-ბოხუმი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | 7 მაისი | | | |
| 004 | ნიურნბერგი-ფიურტი (17$^{45}$) | 1,4 | 3,4 | 6,5 |
| 005 | ნიურნბერგი-ფიურტი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,2 |
| 006 | ოფენბახი-ბერლინი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 007 | მაინცი-კიკერსი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 008 | ქემნიცი-ობერჰაუზენი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | 8 მაისი | | | |
| 009 | ჰანოვერი-კიოლნი | 2,2 | 3,0 | 2,9 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 37-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6 მაისი | | | |
| 010 | მანჩესტერი-ტოტენჰემი (15$^{30}$) | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 011 | მანჩესტერი-ტოტენჰემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,2 |
| 012 | არსენალი-ჩელსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 013 | ქოვენთრი-უენსდი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 014 | დერბი-ნიუკასლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 015 | ლესტერი-ბრედფორდი | 1,9 | 3,4 | 3,0 |
| 016 | მიდლსბრო-უოტფორდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 017 | მიდლსბრო-უოტფორდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 018 | სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 019 | უიმბლდონი-ასტონ ვილა | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| | 7 მაისი | | | |
| 020 | ლივერპული-საუთჰემპტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 021 | ლივერპული-საუთჰემპტონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 8 მაისი | | | |
| 022 | ლიდსი-ევერტონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 023 | ლიდსი-ევერტონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 46-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 7 მაისი | | | |
| 024 | ბარნლი-ქრიუ (17$^{30}$) | 1,6 | 3,3 | 4,4 |
| 025 | ბირმინგემი-გრიმზბი (17$^{30}$) | 1,25 | 4,0 | 9,0 |
| 026 | ბირმინგემი-გრიმზბი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,8 |
| 027 | ბლექბერნი-მანჩესტერ სიტი (17$^{30}$) | 3,2 | 2,7 | 2,1 |
| 028 | ბოლტონი-ნორვიჩი (17$^{30}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 029 | ბოლტონი-ნორვიჩი 0:1 | 1,8 | 2,9 | 3,2 |
| 030 | ფულემი-ჰადერსფილდი (17$^{30}$) | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 031 | იფსვიჩი-უოლსოლი (17$^{30}$) | 1,3 | 4,4 | 6,5 |
| 032 | იფსვიჩი-უოლსოლი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 033 | პორტ ვეილი-ვულვერჰემპტონი (17$^{30}$) | 4,4 | 3,6 | 1,55 |
| 034 | პორტსმუთი-ქუინზ პარკი (17$^{30}$) | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 035 | შეფილდი-სუინდონი (17$^{30}$) | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 036 | სტოკპორტი-ნოტინგემი (17$^{30}$) | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 037 | ტრანმერი-კრისტალ პალასი (17$^{30}$) | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 038 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი (17$^{30}$) | 1,8 | 3,2 | 2,8 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 46-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6 მაისი | | | |
| 039 | ბლეკპული-ჩესტერფილდი | 1,25 | 4,0 | 4,0 |
| 040 | ბორნმუთი-უიგანი | 4,0 | 3,4 | 1,65 |
| 041 | ბრენტფორდი-კოლჩესტერი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 042 | ბრისტოლი-პრესტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 043 | კემბრიჯი-უიკომბი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 044 | კარდიფი-როვერსი | 3,2 | 3,5 | 1,7 |
| 045 | ლუტონი-ოლდემი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 046 | მილუოლი-ოქსფორდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 047 | მილუოლი-ოქსფორდი 0:1 | 1,6 | 3,0 | 3,5 |
| 048 | ნოტსი-ბერი | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 049 | რედინგი-სტოკი | 3,5 | 2,8 | 1,9 |
| 050 | სკანთორპი-ბარნსლი | 4,0 | 3,8 | 1,55 |
| 051 | რექსემი-ჯილინგემი | 5,6 | 4,4 | 1,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 46-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6 მაისი | | | |
| 052 | ბრაიტონი-კარლაისლი | 1,8 | 3,4 | 3,0 |
| 053 | ჩესტერი-პიტერბრო | 2,1 | 3,4 | 2,1 |
| 054 | დარლინგტონი-ლინკოლნი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 055 | დარლინგტონი-ლინკოლნი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 056 | ექსეტერი-შრიუსბერი | 2,1 | 3,4 | 2,1 |
| 057 | ჰალიფაქსი-მაკლსფილდი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 058 | ჰალი-ჰართლპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 059 | ლეიტონი-იორკი | 1,9 | 3,1 | 3,5 |
| 060 | მენსფილდი-პლიმუთი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 061 | როჩდეილი-ბარნეტი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 062 | როტერჰემი-სუონსი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 063 | საუთენდი-ჩელტენემი | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 064 | ტორკი-ნორთჰემპტონი | 2,5 | 2,6 | 2,7 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 36-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 5 მაისი | | | |
| 065 | სოშო-გენგამი | 1,8 | 3,0 | 3,5 |
| 066 | ლორიანი-ნიმი | 1,9 | 2,6 | 4,4 |
| 067 | ვალანსი-ნიცა | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 068 | კანი-აიაჩო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 069 | კაენი-შატორუ | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 070 | ლე მანი-ლუანი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 071 | ლე მანი-ლუანი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 072 | კრეტეი-ვასკეალი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| | 6 მაისი | | | |
| 073 | ნიორი-ტულუზი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 074 | გენიონი-ლავალი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 075 | ლილი-ამიენი | 1,5 | 3,6 | 4,7 |

### იტალია. სერია "ა". 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 7 მაისი | | | |
| 076 | ბოლონია-ლაციო | 4,7 | 3,2 | 1,65 |
| 077 | ინტერი-ფიორენტინა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 078 | იუვენტუსი-პარმა | 1,5 | 3,0 | 6,0 |
| 079 | ლეჩე-ტორინო | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 080 | პიაჩენცა-კალიარი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 081 | რეჯინა-ვერონა | 2,2 | 1,8 | 4,0 |
| 082 | რომა-მილანი | 2,4 | 2,8 | 2,8 |
| 083 | უდინეზე-პერუჯა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 084 | ვენეცია-ბარი | 3,0 | 2,9 | 1,8 |

### იტალია. სერია "ბ". 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 5 მაისი | | | |
| 085 | პისტოიეზე-ტერნანა | 1,9 | 2,5 | 4,2 |
| | 7 მაისი | | | |
| 086 | ალძანო-ტრევიზო | 2,0 | 2,6 | 3,6 |
| 087 | ბრეშა-ჩეზენა | 1,4 | 3,8 | 8,0 |
| 088 | კიევო-ატალანტა | 3,4 | 2,0 | 2,6 |
| 089 | ფერმანა-ჯენოა | 4,2 | 2,8 | 1,8 |
| 090 | რავენა-პესკარა | 2,2 | 2,2 | 4,0 |
| 091 | სალერნიტანა-კოზენცა | 1,6 | 2,8 | 6,0 |
| 092 | სამპდორია-ვიჩენცა | 2,2 | 2,4 | 3,6 |
| 093 | სავოია-მონცა | 2,7 | 2,7 | 2,5 |
| | 8 მაისი | | | |
| 094 | ემპოლი-ნაპოლი | 3,0 | 2,2 | 2,6 |

### იტალია. სერია "ც1/ა". 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 7 მაისი | | | |
| 095 | ბრეშელო-კარარეზე | 1,5 | 3,0 | 8,0 |
| 096 | ჩიტადელა-კრემონეზე | 1,5 | 3,0 | 8,0 |
| 097 | კომო-სპალ | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 098 | ლივორნო-რეჯანა | 2,0 | 2,7 | 3,5 |
| 099 | ლუკეზე-პიზა | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 100 | ლუმეცანე-ალბინოლეფე | 1,8 | 2,7 | 4,4 |
| 101 | მოდენა-ლეკო | 1,55 | 3,0 | 7,0 |
| 102 | სიენა-სანდონა | 1,15 | 5,0 | 10,0 |
| 103 | სიენა-სანდონა 0:1 | 1,4 | 3,6 | 3,8 |
| 104 | ვარეზე-მონტევარკი | 1,35 | 2,8 | 9,0 |
| 105 | ვარეზე-მონტევარკი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,4 |

### იტალია. სერია "ც1/ბ". 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 7 მაისი | | | |
| 106 | ანკონა-კატანია | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 107 | არეცო-ასკოლი | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 108 | ატლეტიკო-აველინო | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 109 | დი სანგრო-მარსალა | 1,5 | 3,0 | 8,0 |
| 110 | ფ.ანდრია-კროტონე | 2,7 | 2,7 | 2,5 |
| 111 | გუალდო-ჯულიანოვა | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 112 | ნოჩერინა-პალერმო | 3,0 | 2,5 | 2,5 |
| 113 | სტაბია-ლოდიჯანი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 114 | ვიტერბეზე-ბენევენტო | 1,55 | 3,0 | 7,5 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 36-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6 მაისი | | | |
| 115 | ნუმანსია-ესპანიოლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 116 | რეალი-ალავესი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 117 | ვალენსია-სოსიედადი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 118 | ვალენსია-სოსიედადი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 119 | ბარსელონა-რაიო ვალეკანო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 120 | ბარსელონა-რ.ვალეკანო 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 7 მაისი | | | |
| 121 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 1,75 | 3,3 | 3,4 |
| 122 | ბილბაო-რასინგი | 1,9 | 2,8 | 4,0 |
| 123 | მალაგა-სელტა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 124 | ოვიედო-ატლეტიკო | 1,8 | 3,2 | 3,4 |
| 125 | სევილია-მალიორკა | 3,0 | 3,1 | 1,9 |
| 126 | დეპორტივო-სარაგოსა | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 38-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6-7 მაისი | | | |
| 127 | ტოლედო-უელვა | 2,3 | 3,3 | 2,3 |
| 128 | მერიდა-სპორტინგი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 129 | ატლეტიკო "ბ"-ტენერიფე | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 130 | ლეგანესი-ლევანტე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 131 | ოსასუნა-ვილიარეალი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 132 | კომპოსტელა-ელჩე | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 133 | კორდობა-ეიბარი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 134 | ლას პალმასი-ხეტაფე | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 135 | ლას პალმასი-ხეტაფე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 136 | ლოგრონიესი-ბადახოსი | 1,9 | 3,1 | 3,3 |
| 137 | ლეიდა-ალბასეტე | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 138 | სალამანკა-ესტრემადურა | 2,2 | 2,9 | 3,2 |

### პორტუგალია. 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 5 მაისი | | | |
| 139 | გიმარაეში-სალგეიროში | 1,6 | 3,6 | 3,4 |
| | 6 მაისი | | | |
| 140 | ბელენენსეში-სეტუბალი | 1,9 | 3,3 | 3,0 |
| 141 | სპორტინგი-ბენფიკა | 1,65 | 3,1 | 4,0 |
| | 7 მაისი | | | |
| 142 | ალვერკა-ბოავიშტა | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 143 | კამპომაიორენსე-ფარენსე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 144 | მარიტიმუ-რიუ ავე | 1,6 | 3,5 | 3,5 |
| 145 | ბრაგა-უნიაო ლეირია | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 146 | ლეირია-სანტა კლარა | 1,8 | 3,3 | 3,2 |
| 147 | პორტუ-ამადორა | 1,25 | 4,0 | 7,5 |
| 148 | პორტუ-ამადორა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ჰოლანდია. 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 7 მაისი | | | |
| 149 | აიაქსი-მაასტრიხტი (17$^{30}$) | 1,25 | 4,7 | 7,0 |
| 150 | აიაქსი-მაასტრიხტი 0:1 | 1,75 | 3,5 | 2,7 |
| 151 | ალკმაარი-ვიტესი (17$^{30}$) | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 152 | სიტარდი-როდა (17$^{30}$) | 2,4 | 3,1 | 2,5 |
| 153 | ჰერენვენი-დენ ბოსხი (17$^{30}$) | 1,25 | 4,7 | 7,0 |
| 154 | ჰერენვენი-დენ ბოსხი 0:1 | 1,75 | 3,5 | 2,7 |
| 155 | ნაიმეგენი-ფეიენოორდი (17$^{30}$) | 3,4 | 3,3 | 1,75 |
| 156 | ვალვაიკი-უტრეხტი (17$^{30}$) | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 157 | სპარტა-პსვ (17$^{30}$) | 4,2 | 3,3 | 1,7 |
| 158 | ტვენტე-გრააფსხაპი (17$^{30}$) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 159 | ტვენტე-გრააფსხაპი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 160 | ტილბურგი-კამბური (17$^{30}$) | 1,5 | 3,6 | 3,6 |

### საბერძნეთი. 31-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 6-8 მაისი | | | |
| 161 | კალამატა-იონიკოსი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 162 | ტრიკალა-კავალა | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 163 | არისი-ოლიმპიაკოსი | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 164 | აეკ-აპოლონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 165 | აეკ-აპოლონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 166 | ოფი-პანილიაკოსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 167 | ოფი-პანილიაკოსი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 168 | პაოკ-პანიონიოსი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 169 | ქსანთი-ირაკლისი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 170 | პანათინაიკოსი-პროდეფტიკი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 171 | პანათინაიკოსი-პროდეფ. 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 172 | ეთნიკოსი-პანაჰაიკი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

ჩეხეთი. 28-ე ტური

5 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 173 | ბუდეიოვიცე-ბლშანი | 1,8 | 2,9 | 4,0 |

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 174 | სპარტა-სლავია | 1,8 | 2,9 | 4,0 |

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 175 | დუკლა-ბანიკი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 176 | ბოჰემიანსი-ჰ.კრალოვე | 1,65 | 3,5 | 3,8 |
| 177 | ბრნო-ლიბერეცი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 178 | ტეპლიცე-სიგმა | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 179 | იაბლონეცი-დრნოვიცე | 1,9 | 3,3 | 3,1 |
| 180 | ოპავა-ვიქტორია | 1,9 | 3,0 | 3,5 |

პოლონეთი. 26-ე ტური

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 181 | ლეხი-ვიძევი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 182 | პლოცკი-რაძიონკოვი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 183 | ოდრა-გროცლინი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 184 | ამიცა-სტომილი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 185 | ზაგლებე-პოლონია | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 186 | გურნიკი-რუხი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 187 | ლკს-ვისლა | 2,9 | 3,0 | 2,2 |

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 188 | ლეგია-პოგონი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 189 | ლეგია-პოგონი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

თურქეთი. 32-ე ტური

5 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 190 | ფენერბაჰჩე- ენჩლერბირლიგი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 191 | ფენერბაჰჩე-გენჩლერ. 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 192 | ბურსა-დენიზლი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 193 | გიოზთეფე-ბეშიქთაში | 5,0 | 4,0 | 1,35 |
| 194 | გაზიანთეფი-ტრაბზონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 195 | ადანა-ალთაი | 1,9 | 3,2 | 3,2 |
| 196 | სამსუნი-ერზურუმი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 197 | ანკარაგიუჯიუ-ისთანბული | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 198 | ანთალია-ვანი | 1,05 | 5,6 | 10,0 |
| 199 | ანთალია-ვანი 0:1 | 1,3 | 3,2 | 3,5 |
| 200 | გალათასარაი-ქოჯაელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 201 | გალათასარაი-ქოჯაელი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

შოტლანდია. 34-ე ტური

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 202 | სელტიკი-აბერდინი | 1,25 | 4,0 | 7,5 |
| 203 | სელტიკი-აბერდინი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,6 |
| 204 | დანდი-დანდი იუნაიტედი | 2,3 | 3,1 | 2,6 |
| 205 | ჰართსი-სენტ ჯონსტონი | 1,6 | 3,5 | 4,2 |
| 206 | მოზერუელი-ჰიბერნიანი | 1,9 | 3,1 | 3,4 |

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 207 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 4,4 | 3,8 | 1,5 |

ავსტრია. 32-ე ტური

5 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 208 | ტიროლი-ლუსტენაუ | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 209 | ტიროლი-ლუსტენაუ 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 210 | ბრეგენცი-ზალცბურგი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 211 | გრაცერი-რიდი | 2,1 | 2,9 | 3,3 |
| 212 | ლინცერი-აუსტრია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 213 | რაპიდი-შტურმი | 1,9 | 3,0 | 3,6 |

შვეიცარია. მე-9 ტური

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 214 | სერვეტი-ლოზანა | 2,1 | 2,9 | 3,2 |

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 215 | ივერდონი-ბაზელი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 216 | გრასჰოპერი-ლუცერნი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 217 | გრასჰოპერი-ლუცერნი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 218 | სენტ გალენი-ქსამაქსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 219 | სენტ გალენი-ქსამაქსი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

დანია. 28-ე ტური

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 220 | აკადემისკი-ვაილე | 1,7 | 3,3 | 3,8 |
| 221 | სილკებორგი-ვიბორგი | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 222 | ოდენსე-ორჰუსი | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 223 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 4,7 | 3,8 | 1,5 |
| 224 | ჰერფიოლგე-ლიუნგბიუ | 1,9 | 3,1 | 3,2 |
| 225 | კოპენჰაგენი-ოლბორგი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

რუსეთი. მე-7 ტური

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 226 | ფაკელი-ცსკა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 227 | როტორი-სპარტაკი | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 228 | ანჟი-კრილია სოვეტოვი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 229 | ნ.ნოვგოროდი-ლოკომოტივი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 230 | დინამო-ურალანი | 1,4 | 3,4 | 6,5 |
| 231 | დინამო-ურალანი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 232 | სატურნი-ალანია | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 233 | ჩერნომორეცი-როსტსელმაში | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 234 | ტორპედო-ზენიტი | 1,7 | 2,9 | 5,3 |

შვედეთი. მე-5 ტური

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 235 | ჰალმსტადი-იორგრიტე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 236 | ტრელებორგი-ჰოკენი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 237 | ფრიოლუნდა-ელფსბორგი | 2,1 | 3,3 | 2,9 |

8 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 238 | აიკ-ჰამარბი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 239 | გიოტებორგი-იორებრო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 240 | ჰელსინგბორგი-გაის | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 241 | სუნდსვალი-ნორჩიოპინგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

ნორვეგია. მე-6 ტური

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 242 | ოდ გრუნლანდი-ვიკინგი | 2,0 | 3,2 | 3,1 |

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 243 | ბოდიო გლიმტი-ბრანი | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| 244 | ბრინი-მოსი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 245 | რუსენბორგი-ჰაუგესუნდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 246 | რუსენბორგი-ჰაუგესუნდი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 247 | სტარტი-მიოლდე | 4,4 | 3,4 | 1,6 |
| 248 | ტრომსიო-ლილესტრიომი | 2,0 | 3,2 | 3,1 |
| 249 | ვოლერენგა-სტაბეკი | 1,9 | 3,4 | 2,9 |

გერმანია. თასის ფინალი (ბერლინში)

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 250 | ბაიერნი-ვერდერი | 1,75 | 3,1 | 3,8 |

საფრანგეთი. თასის ფინალი (პარიზში)

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 251 | კალე-ნანტი | 5,0 | 3,4 | 1,5 |

კალათბურთი

5 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | ლეიკერსი-საკრამენტო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 802 | იუტა-სიეტლი | 1,25 | 12,0 | 3,1 |

ჰოკეი. 1/4 ფინალი

5 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 803 | სან ხოსე-დალასი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 804 | კოლორადო-დეტროიტი | 1,8 | 4,0 | 2,2 |

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 805 | ტორონტო-ნიუ ჯერსი | | | |

7 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 806 | ფილადელფია-პიტსბურგი | | | |
| 807 | დალასი-სან ხოსე | | | |
| 808 | დეტროიტი-კოლორადო | | | |

8 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 809 | ნიუ ჯერსი-ტორონტო | | | |

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

5 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 810 | ლატვია-რუსეთი | 5,6 | 4,4 | 1,1 |
| 811 | აშშ-ბელორუსია | 1,2 | 4,2 | 4,4 |
| 812 | ფინეთი-კანადა | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 813 | ჩეხეთი-იტალია | 1,05 | 6,0 | 8,0 |

6 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 814 | შვედეთი-შვეიცარია | 1,1 | 4,4 | 5,6 |
| 815 | სლოვაკეთი-ნორვეგია | 1,4 | 4,0 | 2,3 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ფული უიმბლდონსაც ანათებს



ჯიმი კონორსი

უიმბლდონის ორგანიზატორთა ლოზუნგი — დავეწიოთ და გავუსწროთ ინფლაციას — წლეულსაც უცვლელი დარჩა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეიცვალა მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდის რაოდენობა, რომელიც კიდევ 6,1 პროცენტით გაიზარდა.

თუ შარშანდელმა ჩემპიონებმა, პიტ სამპრასმა და ლინდსი დევენპორტმა, შესაბამისად 455 და 410 ათასი გირვანქა ჩაიჯიბეს, წლეულს იღბლიანი გამარჯვებულები 477 და 430 ათასს მიიღებენ იმავე კონვერტირებად ვალუტაში (რაც ჩვენთვის უფრო ახლობელი დოლარის კურსით რომ გადავიანგარიშოთ, 754 და 679 ათას მწვანეს შეადგენს).

ფემინისტური მოძრაობის აქტივისტთა იმედი, რომ ახალ ათასწლეულში „ოლ ინგლენდ კლაბის" ხელმძღვანელობა დიაცებს იგივე თანხას გადაუხდიდა, რამდენსაც კაცებს, იმედადვე დარჩა.

„თუ პროფესიონალურ სახეობებს გადახედავთ, აშშ-ის ღია პირველობის გარდა ვერსად ნახავთ ისეთ ტურნირს, სადაც კაცებს და ქალებს თანაბრად უხდიან. ჩვენ ვითვალისწინებთ მაყურებელთა და სპონსორთა მოთხოვნებს, სხვა საქმიან ფაქტორებს და უახლოეს მომავალში მსგავს ცვლილებას არ განვახორციელებთ. არ დაგავიწყდეთ, რომ უიმბლდონზე ქალბატონები, ისედაც არცთუ ცოტა ფულს აკეთებენ, თანაც, კაცებისგან განსხვავებით, ბევრი მათგანი წყვილებშიც თამაშობს" — ეს დიპლომატიური ტირადა კლუბის თავჯდომარე ტიმ ფილიპსს ეკუთვნის.

თუმცა, სქესთა თანასწორობისთვის მებრძოლთა გასახარად, გარკვეული სასიკეთო ცვლილებები ისეთ კონსერვატიულ ორგანიზაციაშიც კი შეინიშნება, როგორიც უიმბლდონია.

მაგალითად, თუ კაცების საპრიზო ფონდი მხოლოდ 4,8 პროცენტით გაიზარდა, მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა მაჩვენებელი ამ კატეგორიაში 7,9 პროცენტია. ამ ნამატის ლომის წილს ის მანდილოსნები მიიღებენ, რომლებიც პირველივე წრეში გავარდებიან.

კიდევ ერთი ცვლილება ქალების საკვალიფიკაციო ტურნირს შეეხება. წლეულს მასში 64-ის ნაცვლად 96 ჩოგბურთელი იასპარეზებს და ძირითად ბადეში მოსახვედრი 8 კი არა, 12 საგზურისთვის იბრძოლებს.

ალბათ, ცოტამ თუ იცის, რომ უიმბლდონზე მოთამაშეებს სხვადასხვა ხარჯის დასაფარავად ყოველდღიური ჯამაგირიც ეძლევათ. წლეულს, განურჩევლად სქესისა, ძირითადი ბადის ჩოგბურთელს 155 გირვანქა ერგება დღეში, საკვალიფიკაციო ტურნირის მონაწილეს — 80.

„ოლ ინგლენდ კლაბის" თავკაცებს წლევანდელ მრგვალ თარიღთან დაკავშირებით ტურნირის პირველ შაბათს ჩემპიონთა ალლუმის მოწყობა გადაუწყვეტიათ, რომელზეც გასული წლების გამარჯვებულებსა და ფინალში დამარცხებულებს იწვევენ.

მიპატიჟებულთა შორისაა ლეგენდარული ბიორნ ბორგიც. იგი უიმბლდონის მწვანე კორტებს თითქმის ოცწლიანი შესვენების შემდეგ ესტუმრება. აი, ზოგიერთმა კი ლონდონში ჩასვლაზე წინასწარ განაცხადა უარი, მათ შორის ამერიკელმა ჯიმი კონორსმა და ფინალში ორჯერ გაწბილებულმა ივან ლენდლმა.

ბოლოს კი 90-იანი წლების ჩემპიონთა კუთვნილ საპრიზოებსაც გაეცანით (გირვანქა).

| კაცები | | ქალები |
|---|---|---|
| 230 000 | 1990 | 207 000 |
| 240 000 | 1991 | 216 000 |
| 265 000 | 1992 | 240 000 |
| 305 000 | 1993 | 275 000 |
| 345 000 | 1994 | 310 000 |
| 365 000 | 1995 | 328 000 |
| 392 500 | 1996 | 353 000 |
| 415 000 | 1997 | 373 500 |
| 435 000 | 1998 | 391 000 |
| 455 000 | 1999 | 409 500 |
| 477 500 | 2000 | 430 000 |

# ამას სიკვდილი, იმას...



ენდრიუ ილი

ორლანდო. აშშ. „კაცების სათიხნარო ჩემპიონატი". მწვანე თიხნარი. საპრიზო 350 ათასი $

სეზონის მეორე დიდი სლემის ტურნირის — „როლან გაროსისთვის" ხეირიანად მოსამზადებლად საუკეთესო ჩოგბურთელ კაცთა უმეტესობა კარგა ხანია, ევროპაში გადაბარგდა. ორლანდოში ამ კვირაში მხოლოდ ნარჩენები ასპარეზობენ და იქაური პირველობაც იოტისოდენ ინტერესს არ გამოიწვევდა, პირველ წრეში მომხდარი ერთი სერიოზული ინციდენტი რომ არა.

ერთმანეთს, ტურნირზე პირველად განთესილი ავსტრალიელი ენდრიუ ილი და ფრანგი ენტონი დიუპუი ხვდებოდნენ. ტემპერამენტული ილი, გამარჯვების აღსანიშნავად მაისურას შემოხევა რომ სჩვევია, მეორე სეტის დასაწყისში ძალიან გაალიზიანა მეტოქემ, რომელიც გათამაშებებს შორის უჩვეულოდ დიდ დროს ისვენებდა.

„სააბაზანოში წასვლას და უკან მოსვლას მოვასწრებ, სანამ ეს მზად იქნება" — წამოიყვირა ერთ მომენტში ყველას გასაგონად ავსტრალიელმა.

გეიმებს შორის შესვენებისას დიუპუი მეტოქის სკამს მიუახლოვდა, ილი წამოდგა და ერთმანეთზე ლამის ცხვირით მიბჯენილებმა კარგა ხანს იკამათეს.

მოგვიანებით ავსტრალიელმა განაცხადა, დიუპუი დამემუქრაო: „მან მითხრა, რომ მატჩის შემდეგ მომკლავდა, თანაც ეს სამჯერ თუ ოთხჯერ გამიმეორა. მთავარი მსაჯი იქვე იყო, მაგრამ შენიშვნაც კი არ მიუცია მისთვის, არადა, მაშინვე დისკვალიფიკაციით უნდა დაესაჯა. მომხდარმა ჩემზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა. მე მოვითხოვე, ის მოკვეთონ ან დიდი თანხით მაინც დააჯარიმონ".

ფრანგმა აღიარა, რომ ილის საქციელმა ძალიან გააღიზიანა, თუმცა იუარა, სასიკვდილოდ არ დავმუქრებივარ. მე უბრალოდ ვუთხარი, მატჩის შემდეგ კორტის გვერდზე გავსულიყავით და იქ გაგვერჩია საქმეო.

თავად შეხვედრა დიუპუიმ მოიგო, რომელმაც ერთი მატჩპოინტი მეორე ხელის ტაი-ბრეიკზე გადაარჩინა, სამიც გადამწყვეტი სეტის ბოლოს და თითქმის სამსაათიან ორთაბრძოლაში 3:6, 7:6 (8:6), 7:6 (7:4) იძალა.

მატჩისშემდგომ შეხლა-შემოხლაზე, ძმაბიჭების ჩარევასა და ხელის აღებაზე არაფერს იუწყებიან.

**პირველი წრე: რამონ დელგადო** (პარაგვაი) — ჟან-მაიკლ გემბილი (2, აშშ) 5:7, 7:5, 6:4; **ჯანლუკა პოცი** (3, იტალია) — ალექსანდრ პოპი (გერმანია) 6:3, 6:2; **პოლ გოლდსტაინი** (5, აშშ) — რონალდ აგენორი (ჰაიტი) 6:2, 6:1; **ნიკოლას მასიუ** (6, ჩილე) — ლორენს ტილმანი (იტალია) 6:2, 6:3.

მალიორკის ღია პირველობა. ესპანეთი. თიხნარი. საპრიზო 500 ათასი $

**პირველი წრე: ევგენი კაფელნიკოვი** (1, რუსეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:4, 5:7, 6:1; **მარსელო რიოსი** (2, ჩილე) — ხუან ბალსელსი (ესპანეთი) 7:6 (7:3), 7:6 (7:3); **ალბერტო ბერასატეგი** (ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (3, ესპანეთი) 6:4, 4:6, 6:3; **მარატ საფინი** (4, რუსეთი) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:4, 7:6 (7:4); **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — მარკ-კევინ გელნერი (გერმანია) 6:3, 6:4; **მიქაელ ტილსტრომი** (შვედეთი) — ფრანსისკო კლავეტი (7, ესპანეთი) 6:4, 6:3.

ჰამბურგი. გერმანია „მეტი ბარკლის თასი". თიხნარი. საპრიზო 550 ათასი $

**პირველი წრე: ტატიანა პანოვა** (რუსეთი) — ბარბარა შეტი (5, ავსტრია) 6:3, 1:0 — ტრავმა; **ანა კურნიკოვა** (6, რუსეთი) — ანა სმეშნოვა (ისრაელი) 6:3, 6:2; **ანკე ჰუბერი** (6, გერმანია) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:3, 4:6, 6:0; **ამანდა კუტცერი** (8, სამხრეთ აფრიკა) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:0, 6:4; **ირინა სპირლეა** (რუმინეთი) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:2, 6:3; **მაგუი სერნა** (ესპანეთი) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 6:4, 1:6, 7:6 (9:7).

**ავთანდილ სვანიძე**



# ტუა ბუააა?




დევიდ ტუა

შაბათს კიდევ ერთი ამერიკელის, მაიკლ გრანტის წამქცევმა მსოფლიოს დე-ფაქტო უდავო ჩემპიონმა ლენოქს ლუისმა კი თქვა, მომერიდონო, მაგრამ... ამ წელიწადში კიდევ ორჯერ მოუწევს ტიტულთა დაცვა.

ფედერაციისა (იბფ) და საბჭოს (ვბკ) ბრიტი ჩემპიონი ივლისის დასაწყისში სამხრეთაფრიკელ ფრანსუა ბოტას შეხვდება ლონდონში, საშემოდგომოდ კი ჩანს, კიდევ ერთი მოწინააღმდეგე ეყოლება — ეს გახლავთ ფედერაციის №1 პრეტენდენტი დევიდ ტუა. ოკეანეთში შობილ შავყვითელა ტუას ახალი ზელანდიის პასპორტი აქვს, 28 წლისაა და 35 მოგებით (1 წაგების წინააღმდეგ) იწონებს თავს. როგორც ჭეშმარიტი მძიმეწონოსანი, ტუა ამერიკაში იბრძვის და მოღვაწეობს. ის გახლავთ მძლავრი მარჯვენა ჯებისა და ორიგინალური შემტევი სტილის შემძლე კაცი. გრანტთან და ნიგერიელ აიკ იბეაბუჩისთან ერთად, სწორედ ტუა ითვლება უტიტულო მძიმეწონოსანთა საუკეთესო სამეულის წევრად.

მეორეს მხრივ, ტუას წაუგია იბეაბუჩისთან, გრანტი კი იოლად წაუქცევია ლუისს.

ამის მიუხედავად კრივის მეისტორიენი ამბობენ, რომ ტუა ყველაზე ნაღდი პრეტენდენტია. გიჟმაჟ იბეაბუჩისთან ოხრულმა დათვლამ წააგებინა ქულებით, გრანტი კი მას სამ-ოთხ რაუნდსაც ვერ გაუძლებს. თანაც, გრანტისგან განსხვავებით, ტუა მით უფრო სახიფათოა, რაც უფრო დიდხანს გრძელდება ბრძოლა.

ტუას ბანაკმა ხმაურით გამოიწვია ლუისი. ლას ვეგასიდან ტელეინტერვიუ გამართა მისმა მენეჯერმა დენ გუსენმა, რომელმაც თქვა: „ფედერაციამ სანოემბროდ დაგვითქვა ვადა. ლენოქსი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ დევიდს ასცდენოდა. დევიდი კი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ლენოქსს შეხვედროდა. ახლა სადღა წაგვივა..."

თავად ტუამ აღნიშნა, რომ გრანტი ალალბედა მოკრივეა და რომ ლუისის დამარცხება გონივრული ჩხუბით შესაძლებელია. „მისი პირდაპირი დარტყმები იოლი ასაცილებელია, მე თავბრუს დავახვევ მას. კარგ შოუს გთავაზობთ" — თქვა ტუამ.

ასეა, თუ ისე — განაცხადი მზადაა და საეჭვოა ლუისმა უკან დაიხიოს.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# მარათონელი ცოლის გზაზე



ატო ბოლდონი

ატო ბოლდონი ცუდ ფორმაშია. ტრინიდადელმა მორბენალმა ამ დღეებში მცირე ანტილის კუნძულების ორიოდე ქალაქი მოინახულა და იქ გამართული სერთაშორისო ტურნირებიდან უკმაყოფილო დაუბრუნდა პორტ-ოფ-სფეინს. მარტინიკაზე ბოლდონმა 200-მეტრიანი გარბენი 20,30-წამიანი შედეგით მოიგო და ფეხი ასტკივდა. ამის გამო მხოლოდ მეორე იყო გვადალუპეს ტურნირზე. ორივე შეჯიბრმა ტრინიდადელს უკმარისობის გრძნობა დაუტოვა. „ვერც მოსახვევში გავიქეცი წესიერად და ვერც სწორ ბილიკზე. საწყენია" — განუცხადა მან ჟურნალისტებს და დასძინა, რომ სიდნეის ოლიმპიადამდე საქმის გამოსწორებას აპირებს. ბოლდონი, რომელიც 200 მეტრზე რბენაში სამი წლის წინ, ათენში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ბოლო ხანს მუდამ ამერიკელი მორის გრინის ჩრდილში იყო მოქცეული და ახლა გვადალუპეზე ვიღაც ბრაიან ლუისმაც რომ გადაუსწრო, სახიფათო სიმპტომია.

ამასობაში ამერიკელ მძლეოსანთა მსოფლიოში უპირველესი კოჰორტა კიდევ ერთი გამორჩეული მორბენლით შეივსო. მაროკოელმა მარათონელმა ხალიდ ხანოუჩიმ, რომელსაც ესპანურ ფირმაში მომუშავე ამერიკელი ცოლი ჰყავს და რომელიც უკვე შვიდი წელია, შტატებში ცხოვრობს, როგორც იქნა, იქაური მოქალაქეობა მიიღო და სიდნეის ოლიმპიადაზე ამერიკის სახელით უნდა გამოჩენა. ამ საქმეს ამერიდან ხელს თითქმის ვერაფერი შეუშლის — ხანოუჩიმ გუშინწინ ერთგულების ფიცი დადო, საზეიმოდ დაჰპირდა ოკეანისგაღმელებს, რომ მათი ქვეყნის ნამდვილი შვილი იქნება და ყველა საჭირო ვალდებულებებს გაანაღდებს...

ალარც ის წესია საწუხარი, რომ მოქალაქეობა შეცვლილმა პირმა ოლიმპიადაზე გამოსასვლელად ორივე ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტთა თანხმობა-მოწონება უნდა წარადგინოს სოკ-ში, თუ არა და სამი წელი იცადოს. ამერიკელები ამ ამბის მოგვარებას თავის თავზე იღებენ და ერთადერთი დაბრკოლება ისაა, რომ ხანოუჩიმ ჯერ ნაკრებში მოსახვედრად აუცილებელი წინასწარი შეჯიბრებები უნდა მოიგოს და კონკურენტები ჩამოიცილოს. ჩვენც ვნახეთ დაბრკოლება! კაცი რომ მარათონს ორ საათში, ხუთ წუთსა და 42 წამში გაირბენს (ხანოუჩის საუკეთესო შედეგია), რომელ ნაკრებში ვერ უნდა მოხვდეს?

# უროს მსხვერპლი

ტრაგიკული ცნობა მოვიდა ჩეხეთიდან. ქალაქ ტურნოვის სამძლეოსნო კლუბში მიმდინარე მცირე მასშტაბის შეჯიბრზე მომხდარ უბედურ შემთხვევას 18 წლის გოგონა შეეწირა. უროს სატყორცნი ზონიდან დაახლოებით ათი მეტრის დაშორებით მჯდომ მორბენალს, ზუზანა კრეკოვას, საუკეთესო ჩეხი უროს მტყორცნელის ვლადიმირ მასკას ხელიდან გატყორცნილი შვიდკილოგრამიანი სიმძიმე თავსა და კისერში მოხვდა. კრეკოვამ გონება დაკარგა და მოგვიანებით ჰოსპიტალში გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. მას იმედისმომცემ მორბენლად მიიჩნევდნენ, წლის დასაწყისში ჩეხ იუნიორთა ჭერქვეშა პირველობაზე 800-მეტრიანი დისტანცია მეხუთეს გაულევია. როგორც სამძლეოსნო კლუბის დირექტორი მირკო გრაეფი აცხადებს, შეჯიბრის მსვლელობისას უსაფრთხოების ყველა ზომა დაცული იყო და მომხდარი მხოლოდ უბედური შემთხვევით უნდა აიხსნას.

**დავით გულუა**

## ფყალბურთი

*დღეს „ლაგუნა-ვერეს“ საწყლოსნო კომპლექსში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იწყება. ჩვენს ჯგუფში მასპინძლების გარდა რუმინელები და ლიტველები ითამაშებენ, ხოლო უკრაინელებმა თბილისში ჩამოსვლა იუარეს. პირველ-მეორე ადგილოსნები შუა ზაფხულში გერმანიაში ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ. მისი მონაწილე ათი გუნდი უკვე ცნობილია — წინა პირველობის ცხრა საუკეთესო და მასპინძელი გერმანია. შესარჩევმა ეტაპმა კიდევ ექვსი ნაკრები უნდა გამოავლინოს (დანარჩენი ორი ჯგუფის თამაშებს სტამბოლი და პრაღა უმასპინძლებს)*

# ევროპამ საქართველო გაიხსენა, საქართველომ — წყალბურთი

ლიტვის ნაკრები თბილისში გუშინ ჩამოვიდა და დიდუბის მანეჟში დაბინავდა. ჩვენი არ იყოს, ფულთან ისინიც მწყრალად ყოფილან და ეკონომიურად იაფი ეს ვარიანტიც თავად შეურჩევიათ. რუმინელები შუალამისას უნდა ჩამოფრენილიყვნენ და სასტუმრო „აჭარაში“ დაბინავებულიყვნენ. ტურნირის დელეგატია ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის წყალბურთის ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე, ფრანგი ალფონსე ანჟელა, მსაჯები ჩეხი ივო მარეხი და ჰოლანდიელი გერტ ნონეკესი.

საქართველოს ნაკრებისთვის მზადების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იყო რუსეთის თანატოლთა ღია ჩემპიონატში მონაწილეობა, სადაც ჩვენებურები მეოთხე ადგილზე გავიდნენ.

მწვრთნელებმა სოსო მაისურაძემ და ბორის მეგედმა გუნდში ეს წყალბურთელები მიიწვიეს: რევაზ გიორგაძე, მიხეილ ოგანეზოვი, გიორგი მაზიაშვილი, პავლე ჯაფარიძე, გიორგი არაზაშვილი, გიორგი მაისურაძე, ოთარ ქიქოძე, დავით რამინიშვილი, თამაზ მანძულაშვილი, ივანე გოშაძე, ირაკლი დოკვაძე, ბექა ჩიგოგიძე, ლევან კალანდაძე, როინ ცაგარელი და გიორგი და არჩილ კუჭუხიძეები.

ცოტა უცნაურად გვეჩვენება ის, რომ ნაკრების თავკაცი სოსო მაისურაძე ამ დღეებში ჭაბუკთა ნაკრებთან ერთად მოსკოვში იმყოფება. ის ამ გუნდის მთავარი მწვრთნელიცაა და რუსეთის ღია პირველობაზე ახლავს თავის შეგირდებს. მაისურაძის არყოფნაში (იგი მოსკოვიდან დღეს ჩამოვა), გუნდს მეორე მწვრთნელი ბორის მეგედი წვრთნის.

დღეს „ლაგუნა-ვერეზე“, 17 საათზე, ტურნირის საზეიმო გახსნის ცერემონიალია, ზუსტად ერთ საათში კი პირველ მატჩში რუმინელები ლიტველებს შეხვდებიან. ხვალ, 12 საათზე, ჩვენი ნაკრებიც ჩაებმება ბრძოლაში — ბალტიისპირელებს დაუპირისპირდება, ზეგ კი, იმავე დროს, რუმინელებს გაეჯიბრება.

**ირაკლი თავაძე**

## რაგბი

# ვისთვის გაავდრდა ბათუმში?

ამინდის ჭირვეულობამ ბათუმის ოთხთა საერთაშორისო ტურნირის, „ბათუმი 2000 — ალორძინების“ ორგანიზატორებს გეგმები აურია. წვიმის გამო ტურნირის გახსნის ცერემონიალიც ჩაიშალა და პირველი შეხვედრაც. გუშინწინ „დათვები“ და თბილისური „ლოკომოტივი“ უნდა შებმოდნენ ერთმანეთს, გუშინ კი — „ყოჩები“ და კრასნოიარსკის „სიბ-ტიაჟ-მაში“, რომელიც „კრასნი-იარის“ ნაცვლად ესტუმრა ბათუმს.

ჰოდა, რადგან სხვა გზა არ იყო, ტურნირის ორგანიზატორებმა ყველაფერი 4 მაისისთვის გადაიტანეს. პირველი შეხვედრა, „დათვები“ — „ლოკომოტივი“ ანგისას სტადიონზე გაიმართა და ყველასთვის მოულოდნელი შედეგით (პირველ რიგში კი ბათუმელთათვის) დამთავრდა. თბილისელებმა დაძაბულ, უშელავათო ბრძოლაში დაჯაბნეს ტურნირის მასპინძლები და გაიმარჯვეს — 14:11 (8:8).

შეხვედრის დასაწყისში ბათუმელები დაწინაურდნენ ნუგზარ ძაგნიძის არეკნით, თუმცა სულ მალე რკინიგზელებმა თამაში გამოასწორეს და მას შემდეგ, რაც ანდღულაძის საჯარიმოსა და აბაშიძის ლელოს წყალობით წინ გავიდნენ, მატჩის სადავეები ხელიდან აღარ გაუშვიათ. მართალია, ხონელიძემ საპასუხო ლელო გაუტანა თბილისელებს, მაგრამ ანდღულაძემ ისევ იძალა და კიდევ ორი წარმატებული საჯარიმო დარტყმა შეასრულა.

მეორე შეხვედრაში, რომელიც „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ტურნირის საზეიმო გახსნის დამთავრებისთანავე, კრასნოიარსკელებმა „ყოჩები“ დაამარცხეს — 33:19 (25:7). თავი გამოიჩინა რუსეთის ნაკრების წევრმა გრაჩოვმა, რომელმაც 3 ლელო დაუდო თბილისელებს, ერთიც გარანინმა მიუმატა, კარაბელნიკოვმა კი ყველა გარდასახვა და ერთი არეკნიც უნაკლოდ შეასრულა. „ყოჩებმა“ 3 ლელო (ცხვედიანის ორი და პეტრიაშვილის ერთი) და ორი გარდასახვა (ტეფნაძე) მიითვალეს და საბოლოოდ მხოლოდ 19 ქულა მოაგროვეს.

დღეს შესვენებაა. ხვალ „დათვები“ — „ყოჩების“ შეხვედრით მესამე ადგილის მფლობელი გამოვლინდება, ზეგ კი „დინამოზე“ ფინალია. ერთმანეთს „ლოკომოტივი“ და „სიბ-ტიაჟ-მაში“ დაუპირისპირდებიან.

**ზაზა ბენიძე**

## ოლიმპიზმი

# ტიმორი ხუთ რგოლში შეღწევას ლამობს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც თავის რიგებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებზე მეტ ქვეყანას აერთიანებს.

გაერთიანებული ერების მიერ მართვადი ინდონეზიის ყოფილი პროვინცია აღმოსავლეთ ტიმორს, რომელიც ამჟამად დამოუკიდებლობის ჩამოყალიბების პროცესშია, ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის დიდი სურვილი აქვს, მაგრამ სოკ-ი არამართებულად მიიჩნევს მათთვის ასეთი საშუალების მიცემას, რადგან ქვეყანა არ აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს.

სოკ-ი იტყობინება, რომ ასეთი გაღატაკებული ქვეყანა ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს იმ ძირითად კრიტერიუმებს, რომლებიც საშუალებას იძლევა მისი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ასაღიარებლად. ამასთან, სოკის წესდების თანახმად, ქვეყანა სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა იყოს თავის ტერიტორიაზე სულ ცოტა ხუთი მოქმედი სპორტული ფედერაციით.

სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ გაეროს მიერ მოწყობილი დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შემდეგ ინდონეზიის გვარდიამ და მილიციამ მიწასთან გაასწორა ტერიტორიის უმეტესი ნაწილი, რასაც სპორტული ნაგებობებიც შეეწირა.

აღმოსავლეთ ტიმორის არაოფიციალური საგარეო საქმეთა მინისტრის, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატის ხოსე რამოს-მორტას თქმით, მათ იმედი ჰქონდათ, რომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ტიმორი პირველად გამოვიდოდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მისივე თქმით, მათ მხოლოდ ოლიმპიადის გახსნა-დახურვის ცერემონიალებზე მონაწილეობა სურთ, ისიც გაეროს დროშის თანხლებით.

**გიგა გურასაშვილი**

## ჰოკეი

PLAY OFF

მეოთხედფინალი

# ეშმაკთა განდევნის სამი ხერხი

3 მაისი

აღმოსავლეთი

**ნიუ ჯერსი — ტორონტო 2:2**

**ნიუ ჯერსი — ტორონტო 2:3**

1:2 0:0 1:1

1:0 გომესი 1'41 (3); 1:1 ჰოგლუნდი 10'01 (2); 1:2 ტაკერი 16'02 (4); 2:2 ლემიე 54'14 (1); 2:3 კაბერლე 58'25 (1)

მას შემდეგ, რაც წინა მატჩში ტორონტო განადგურდა, ბევრს სერიის ბედი გადაწყვეტილი ეგონა. დაუჯერებელია — ეს შეხვედრაც ნიუ ჯერსის სრული ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით წარიმართა, ანგარიშიც მასპინძლებმა გახსნეს, მოგებით კი სტუმრებმა მოიგეს და ვფიქრობთ, ეს ერთბაშად სამმა ფაქტორმა განაპირობა. ჯერ ერთი, კანადელებმა, როგორც იქნა, ნავსი გატეხეს და ცხრა უგოლო დებიუტის შემდეგ პირველ პერიოდში გაიტანეს. ისიც საგულისხმოა, რომ ეს შეძლო მათმა პირველმა, მათს სუნდინის სამეულმა, რომელსაც სერიის პირველ სამ მატჩში გასაქანი არ მისცეს ნიუ ჯერსის მცველებმა. „ნეკერჩხლების“ პირველივე გაახრებული შეტევა იონას ჰოგლუნდის მეკარესთან პირისპირ გასვლით დასრულდა და შვედმა ოსტატურად მოუგო დუელი მარტინ ბროდოს. სულ ექვს წუთში ტორონტოელთაგან ამ სერიაში უდავოდ საუკეთესო დარსი ტაკერმა დიდებული პაუზით მოატყუა გოლკიპერი, იგი ყინულზე დააწვინა და მშვიდად, აუღელვებლად შეაგდო შაიბა. მეორე მიზეზი სერიის ბედის შემობრუნებისა კერტის ჯოზეფის საიმედოობა გახლდათ. კანადელთა მეკარემ ყველა დარტყმა მოიგერია (სულ — 34), ასაღებიც და აუღებელიც. და მაინც, მთავარი ტორონტოელთა დაცვის ჩინებული თამაში იყო. არცთუ მარჯვე უკანა ხაზის მოთამაშეებმა ვაჟკაცურად გაუძლეს მეტოქის გამუდმებულ ზეწოლას. ისინი დიდებულად იცავდნენ თავიანთი კარის მისადგომებს და „ეშმაკებს“ დამატებაზე გამორჩევის არანაირ შანსს არ უტოვებდნენ.

დასავლეთი

**დეტროიტი — კოლორადო 1:3**

**დეტროიტი — კოლორადო 2:3**

0:0 1:1 1:1 0:1

0:1 კლემი 23'37 (1); 1:1 ჰოლმსტრიომი 28'46 (3); 2:1 კოზლოვი 49'20 (2); 2:2 ანდრეიჩუკი 55'33 (3); 2:3 დრური 70'21 (3).

დეტროიტს აგერ უკვე მეორედ ვერ გადაულახავს კოლორადოს ბარიერი. სერიის მეოთხე შეხვედრაში „წითელფრთიანებმა“ ანგარიშის გათანაბრების შანსი გაუშვეს ხელიდან და ახლა მეტოქეს 1:3 ჩამორჩებიან. არადა, მათ სულ 5 წუთი აშორებდათ სანუკვარ მიზნამდე... ისევე, როგორც წინა სამ მატჩში. მეტოქეები ამჯერადაც ფრთხილობდნენ, რაც გასაკვირი სულაც არ არის — ისინი ხომ კარგად იცნობენ ერთმანეთს და ისიც ესმოდათ, რომ ნებისმიერი შეცდომა შეიძლებოდა ძვირად დასჯდომოდათ. ამიტომაც იყო, რომ სახიფათო მომენტები იშვიათად იქმნებოდა. 49-ე წუთამდე გუნდებმა თითო გოლი გაიტანეს, მაგრამ აქ ადამ დედმარშმა იმის გამო, რომ პეტ ვერბიკი დააშავა, ორმაგი ჯარიმა მიიღო და კინაღამ დაღუპა თავისიანები. მასპინძლებმა უმალ გამოიყენეს ეს შანსი და მათგან საუკეთესო სერგეი ფიოდოროვის (2 პასი) დარტყმის შემდეგ დამატებაზე ვიაჩესლავ კოზლოვმა იხეირა. კოლორადო ანდრეიჩუკმა იხსნა. დედლაინზე რეი ბურკთან ერთად გუნდში მისული ფორვარდი აქამდე სახელოვან მცველზე ნაკლებად გამოირჩეოდა, მაგრამ ბედის ირონიით სწორედ მაშინ, როცა ბურკი ტრავმის გამო ვერ გავიდა ყინულზე, ანდრეიჩუკმა იყოჩაღა. 55-ე წუთზე 36 წლის ვეტერანმა გოლეადორმა სახელოვანი წარსული გაიხსენა და წამით დაასწრო დეტროიტელთა მეკარე კრის ოსგუდს. ოვერტაიმში კი თავად დედმარშმა გამოისყიდა შეცდომა. მან მასპინძლები სამი ხელსაყრელი მომენტის გაფუჭებისთვის დასაჯა — თავისსავე ზონაში ერთბაშად ორ მეტოქესთან ჭიდილში იმარჯვა და დრურს საგოლე პასი მიაწოდა.



REUTERS დეტროიტიდან

კრის დრურიმ ის შაიბა გაიტანა, კოლორადოს დეტროიტთან რომ გაამარჯვებინა

მსოფლიოს ჩემპიონატი. სანქტ პეტერბურგი. რუსეთი

# რუსებმა პელუზოს აკოცონ

ჩემპიონატის დაწყებამდე ვინ წარმოიდგენდა, რომ მასპინძელს, ფავორიტად შერაცხულ რუსეთის ნაკრებს მეორე ეტაპზე თამაში სანატრელი გაუხდებოდა და ამერიკელების საფრანგეთთან მოგებული მატჩი გადაწყვეტდა მის ბედს. ამისთვის რუსებმა მაიკ პელუზოს უნდა უთხრან მადლობა, კაცს, რომელიც ორი წელია, დაემშვიდობა ნჰლ-ს. მას რომ 45-ე წუთზე საფრანგეთთან გამარჯვების გოლი არ გაეტანა, რუსები საკვალიფიკაციო რაუნდს ვერ ეღირსებოდნენ. და ეს მაშინ, როცა ჯგუფებში მოასპარეზე ოთხი გუნდიდან მეორე ეტაპზე სამი (!) გადის.

რუსების პირველი მარცხი ამერიკელებთან ბევრმა შემთხვევითობად მიიჩნია, თუმცა მასპინძლები კვლავ შერცხვნენ, ამჯერად შვეიცარიელებთან. მათმა მწვრთნელმა რალფ კრიუგერმა, რომელსაც რუსებთან თამაშის სპეციალისტს უწოდებენ, მრავალჯერ ნაცადი წმინდა დაცვითი ვარიანტი აირჩია. ამიტომ რუსები მეტოქის მრავალრიცხოვან და მჭიდრო დაცვის წინააღმდეგობას წააწყდნენ. როგორც გაირკვა, მათ პირველი მატჩის შემდეგ სწორი დასკვნები ვერ გამოიტანეს და ისევ უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. რუსთა თავკაცების უნიათობაც გვაკვირვებს. მათ ჩემპიონატის წინ ერთბაშად 14 ნჰლ-ელი შეუერთდათ. ზოგიერთმა საკონტროლო მატჩებშიც ვერ მოასწრო გამოსვლა, გუნდის წევრები შეუთამაშებლები იყვნენ, ალექსანდრ იაკუშევი კი, იმის ნაცვლად, რომ სამივე თამაშში ერთი და იგივე სამეულები გამოეყენებინა, ექსპერიმენტებს გადაჰყვა და თავგზა აუბნია შეგირდებს.

შვეიცარიელებთან მატჩში რუსებს, განსაკუთრებით პირველი და მეორე პერიოდის დასაწყისში ბევრი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ რეტო პავონი ჩინებულად იცავდა კარს. რუსებმა გოლებიც დიდი გაჭირვებით გაიტანეს, სამაგიეროდ, მოპოვებულ უპირატესობას იოლად ფლანგავდნენ. ხოლო როდესაც შვეიცარიელები დაწინაურდნენ, განერვიულდნენ და ინდივიდუალურად ცდილობდნენ ფონს გასვლას.

ასეა თუ ისე, რუსეთი, ისევე როგორც სხვა რვა გუნდი (ფინეთი, სლოვაკეთი, აშშ, შვეიცარია, ჩეხეთი, ნორვეგია, კანადა, შვედეთი), მომდევნო ეტაპზე გავიდა, თუმც მას ნოლი ქულით დაიწყებს. მოგეხსენებათ, საკვალიფიკაციო ეტაპზე, შესაბამისად, A-D და B-C ჯგუფების პირველი სამი გუნდი შეამხანაგდება. გუნდები ამ ეტაპს ჯგუფებიდან გასულ სხვა მეტოქეებთან მატჩებში მოგროვილი ქულებით დაიწყებენ. აღსანიშნავია, რომ კანადელებიც, რუსების დარად, უქულოდ დარჩნენ, მათი ნორვეგიასთან მარცხი პირველი ეტაპის ერთ-ერთ სენსაციად იქცა.

**სამველ ლარიბიანი**

4 მაისი

A ჯგუფი

**ლატვია — უკრაინა 2:1**

0:1 1:0 1:0

0:1 ლიტვინენკო 10'21; 1:1 ვიტოლინში 23'09; 2:1 ტამბიევსი 54'08

**შვედეთი — ბელარუსი 7:0**

4:0 0:0 3:0

1:0 ანდერსონი 5'25; 2:0 ნორდი 11'48; 3:0 ტარნგვისტი 14'57; 4:0 მოდინი 16'31; 5:0 სედინი 48'58; 6:0 ლინდკვისტი 51'02; 7:0 სედინი 51'16

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 3 | 0 | 0 | 17:3 | 6 |
| ლატვია | 2 | 0 | 1 | 9:7 | 4 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 2 | 10:16 | 2 |
| უკრაინა | 0 | 0 | 3 | 6:16 | 0 |

B ჯგუფი

**იტალია — ავსტრია 3:0**

1:0 1:0 1:0

1:0 ძარილო 6'03; 2:0 საკრატინი 24'23; 3:0 ძარილო 59'33

**ფინეთი — სლოვაკეთი 2:2**

1:1 1:0 0:1

1:0 კაპანენი 2'26; 1:1 პრეუსი 8'59; 2:1 კაპანენი 28'39; 2:2 პარდავი 58'59

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 2 | 1 | 0 | 10:5 | 5 |
| ფინეთი | 1 | 2 | 0 | 11:5 | 4 |
| იტალია | 1 | 0 | 2 | 6:12 | 2 |
| ავსტრია | 0 | 1 | 2 | 3:8 | 1 |

REUTERS მონტე კარლოდან



მონაკო — ლე ავრი 5:2. მასპინძელი მარკო სიმონე სტუმართა მეკარე ერიკ დელუმოს ტყუილად არ აწუხებდა

## საფრანგეთი

XXXII ტური

**ლიონი 2:1 ბასტია**

0:1 ნე (16), 1:1 ვიოლო (45), 2:1 ლეგლი (48)

**მარსელი 2:2 ნანსი**

1:0 პუჟე (31), 1:1 ვიარი (52), 2:1 პერესი (75), 2:2 მენირი (84)

**ბორდო 1:2 ლანსი**

0:1, 0:2 ნუმა (26, 35), 1:2 ზიანი (65)

**სტრასბური 1:0 სენტ ეტიენი**

1:0 ალექსი (38)

**ოსერი 4:0 რენი**

1:0 გივარში (40), 2:0 მარლე (56), 3:0 გივარში (59), 4:0 დიომედი (65)

**მეცი 3:1 ტრუა**

1:0 არპინონი (4 ს.კ.), 2:0 ტოი (39), 2:1 ლანგი (78), 3:1 ბატიკლი (79)

**მონაკო 5:2 ლე ავრი**

1:0 სიმონე (20), 2:0 გალიარდო (46), 2:1 ბუზელინი (68), 3:1 სიმონე (70), 4:1 ტრეზეგე (76), 4:2 კუსტოვიჩი (79), 5:2 ტრეზეგე (83)

**ნანტი 1:0 სედანი**

1:0 ტურე (61)

**პსჟ 3:0 მონპელიე**

1:0 რობერი (2), 2:0 ლერუა (67), 3:0 დიუკრო (90)

## შვეიცარია

თასის ნახევარფინალი

**ციურიხი 7:2 დ.დ. (2:2) ლუცერნი**

0:1 ფრეი (7), 1:1 ბარტლეტი (18), 1:2 გიანი (78), 2:2, 3:2 ბარტლეტი (79, 94), 4:2 ფრიკი (98), 5:2 დელ სინიორე (107 პ), 6:2 ჯამარაული (113), 7:2 შასო (116)

## პოლონეთი

თასის ნახევარფინალი

I მატჩები

**ვისლა 2:1 პოლონია**

**ამიცა 5:3 რადომსკო**

## ნორვეგია

V ტური

**ბრანი 2:0 ტრომსიო**

## რუსეთი

თასის ნახევარფინალი

**ცსკა 3:1 სპარტაკი**

## საბერძნეთი

XXX ტური

**პრუდეფტიკი 1:0 პაოკ**

## შვედეთი

IV ტური

**ჰალმსტადი 1:0 ელფსბორგი**

თასის მეოთხედფინალი

**სუნდსვალი 0:1 აიკ**

**გიოტებორგი 1:0 ლულეა**

**გუნილსი 1:0 სილვია**

## დანია

თასის ნახევარფინალი

I მატჩი

**ვიბორგი 1:0 ბრონდბიუ**

# იმრან ხანისა და ბოიკოტისა

პაკისტანის ყველა დროის საუკეთესო მოკრიკეტეს იმრან ხანს სწორედ ამ დღეებში მიანიჭეს „საუკუნის სპორტსმენის“ ტიტული. პაკისტანში ხომ საუკუნის მოკრიკეტე საუკუნის სპორტსმენს ნიშნავს. იმრან ხანი ცოლთან, მზეთუნახავ ჯამიმასთან ერთად დასწრებია ლაჰორში გამართულ ცერემონიალს. ახლა პაკისტანელთა კერპი პოლიტიკოსობს, თუმცა მთელს იმ ქვეყანას იგი კრიკეტის გამო უყვარს — აბა ვინ დაივიწყებს, რომ პაკისტანი მისი კაპიტნობით გახდა მსოფლიოს ჩემპიონი 1992 წელს.

საფრანგეთში კი კრიკეტს არ თამაშობენ. ამის მიუხედავად ერთი ძველი მოკრიკეტის სასამართლო პროცესი ერთ იქაურ ქალაქში, პროვენსში მიმდინარეობს. ასევე ლეგენდარულ ბრიტ მოკრიკეტეს, ან კი ბი-ბი-სის ტელეწამყვან ჯეფრი ბოიკოტს სწორედ აქ ჩაუდენია დანაშაული — თანამეცხედრე მარგარეტ მური უცემია სამი წლის წინათ. მარგარეტმა იჩივლა და დასიებული თავ-პირის ამსახველი ფოტოებიც წარადგინა. ბოიკოტი დამნაშავედ სცნეს. ბოიკოტს ბოიკოტისა და ნაცემს ნაცემისა.







REUTERS ლოს ანჯელესიდან



# თქვენი...

*„ლოს ანჯელეს დოჯერსი“ შინ აგებს „ატლანტა ბრეივზთან“. ერთი შეხედვით ბეისბოლი არა ჩანს ისეთი თამაში, რომ აღშფოთებული გულშემატკივარი მოედანზე გადახტეს და მოწინააღმდეგე გუნდისკენ გაიწიოს. თურმე, არის ასეთი თამაში.*

# სპორტპრემიერი

რა სპორტული ვინმეა ეს იოშირო მორი, იაპონიის ახალი პრემიერ-მინისტრი! მისი სარაგბო ლაღობანი ხომ ცნობილია და ახლა ყველაზე განთქმული იაპონელი ფეხბურთელი ჰიდეტოში ნაკატაც მიუწვევია. მორი (მარცხნივ შუაში) რომში ყოფილა ოფიციალური ვიზიტით და ნაკატაც (მარჯვნივ) ხომ „რომაში“ თამაშობს. სპორტსმენებთან ერთად სადილობა კი ბატონ მორის სასიამოვნოდ უჩანს.




სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli